საზოგადოებრივ-ლიტერატურული ჟურნალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# არილი

ფასი 2 ლარი

1134 /2
2018



2018 / იანვარი

1 (267)

## შალამოვი და შიმშილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარჩევი


| | | |
|---|---|---|
| კათედრა | 1 | მარტინ ვალზერი \| ენა წყვეტს ყველაფერს<br>*გერმანულიდან თარგმნეს ნატალია ნადირაშვილმა და ეკატერინე რაისნერმა* |
| პროზა | 7 | დიმიტრი წიკლაური \| მეფის პირადი ფრინველი |
| | 16 | ცირა ყურაშვილი \| არჩივი |
| | 19 | მაკა ცხვედიანი \| მიტოვებული სახლების სევდა |
| პოეზია | 22 | ალეკო ცქიტიშვილი \| მიმოწერა საკუთარ თავთან |
| | 25 | ნინი ელიაშვილი |
| | 29 | დურმიშხან ტაბატაძე \| სასაცილო ლექსები |
| წიგნის ნადიმები | 33 | მალხაზ ხარბედია \| შალამოვი და შიმშილი |
| პორტრეტი | 41 | ნანა კობაიძე \| თამარ ჯაფარიძე – „ცუდი თარგმანი მწერალსაც კლავს და მკითხველის გემოვნებასაც ანადგურებს" |
| თარგმანი | 47 | ჩარლზ სიმიკი \| პოეტის ფანქარი<br>*ინგლისურიდან თარგმნა თამარ ლომიძემ* |


გარეკანი: მამუკა ტყეშელაშვილი


# არილი

საზოგადოებრივ-ლიტერატურული ასოციაცია
"არილის" ყოველთვიური გამოცემა

The Literary Magazine "Arili"

რედაქტორები
**მალხაზ ხარბედია**
**შადიმან შამანაძე**

მხატვარი **მამუკა ტყეშელაშვილი**

კორექტორი **ინა არჩუაშვილი**

კომპიუტერული უზრუნველყოფა **თამაზ ჩხაიძე**

პროექტის მენეჯერი **ეკა ხარბედია**



სარედაქციო საბჭო

**რატი ამაღლობელი, ია ანთაძე, ანდრო ბუაჩიძე, ლაშა ბუღაძე, თამაზ ვასაძე, გიორგი კეკელიძე, ზურაბ კიკნაძე, ვასილ მაღლაფერიძე, ზვიად რატიანი, ჯიმშერ რეხვიაშვილი, ირაკლი სამსონაძე, გულსუნდა სიხარულიძე, ბაკურ სულაკაური, ირმა ტაველიძე, ქეთი ქანთარია, პაატა შამუგია, ზაზა ჭილაძე.**


არილი - დასასვენებელი სიწმინდეთა
*სულხან-საბა*

არილი - მზის შუქი, რამეზე დამდგარი
*ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი*

არილი - თანამედროვე ქართული ლიტერატურის მარილი
*ხალხური*


ელექტრონული ფოსტა: info@arilimag.ge
ვებგვერდი: arilimag.ge

**გამოდის 1993 წლიდან**



**© ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების გამოყენება "არილის" რედაქციის ნებართვის გარეშე აკრძალულია**



ჟურნალი გამოდის
საქართველოს კულტურისა
და სპორტის სამინისტროს
ფინანსური მხარდაჭერით

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარტინ ვალზერი

# ენა წყვეტს ყველაფერს

*გერმანულიდან თარგმნეს ნატალია ნადირაშვილმა და ეკატერინე რაისნერმა*

*აქ წარმოდგენილი ოდნავ შემოკლებული ტექსტი გახლავთ 88 წლის მწერლის, მარტინ ვალზერის სიტყვა, რომელიც მან წარმოთქვა ბოხუმში, თემაზე „გამოწვევა – მომავალი“.*



ჯერჯერობით შეუძლებელია ისეთი აწმყოს წარმოდგენა, რომელიც მომავალს არ ეხმიანება. რაც უფრო მეტად ვაკვირდებით აწმყოს, მით უფრო ნათლად იკვეთება ის, რაც ცვლილებას ვერ გადაურჩება.

მხსნელად მხოლოდ მომავალი გვესახებოდა ყოველთვის. წინა საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი თეოლოგი კარლ ბართი აღნიშნულ მოვლენას „ამ მუდმივ მომავალს“ უწოდებდა. ვალტერ ბენიამინის, რომელიც სულაც არ ყოფილა თეოლოგი, მომავალი ასე წარმოედგინა: „მხოლოდ მესია აღასრულებს ყველა ისტორიულ მოვლენას“. ადორნო კი ამბობდა: ფილოსოფია მხოლოდ მაშინაა პასუხისმგებლობით სავსე, როცა ცდილობს ყველაფერი ისე აღიქვას, როგორც ეს ხსნის პერსპექტივიდან ჩანსო. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ყველამ, ვინც არ უნდა იყოს ის, და რის ფასადაც არ უნდა დაუჯდეს ამის გაკეთება, მომავალი წარმოსადგენი უნდა გახადოს.

როცა შევიტყვე, „გამოწვევა – მომავალი“ უნდა ყოფილიყო ჩემი გამოსვლის თემა, გონებაში ფრაზა „ენობრივი ქმედება“ ამომიტივტივდა. თავიდან მეგონა, რომ ეს ფრაზა მე თვითონ გამოვიგონე, ჩავთვალე, რომ ის მშვენივრად მიესადაგება თემას „გამოწვევა – მომავალი“. მერე ეს აზრი მეგობრებს გავუზიარე: ენობრივ დიდაქტიკაში გაწაფულ პროფესიონალ ქალბატონსა და ერთ მეტად განათლებულ ანტიკვარს. მეგობარმა ქალმა მითხრა, „ენობრივი ქმედება“ ჩემს პრაქტიკაში მოქმედების ენობრივ კომპეტენციას ნიშნავს, ენობრივი ქმედებით ერთ კათხა ლუდს უკვეთავ თუ უკეთესი მომავლისთვის იბრძვი, ორივე ენობრივი ქმედების განხორციელების უნარს მოითხოვსო. მეგობარმა ანტიკვარმა კი მითხრა, რომ ამ გამონათქვამს ვიცნობო, ისიც გამიმხილა, საიდან, და „ფილოსოფიის ისტორიული ლექსიკონიდან“ ამონარიდი ოთხი გვერდი მომიტანა. სწორედ იქ წავიკითხე, „ენობრივი ქმედების“ თეორიების არსებობის, შთამბეჭდავი წარმოშობის მქონე დიდებული სახელების შესახებ. მოკლედ რომ ვთქვათ, როდესაც რაღაცას ამბობ, ყოველთვის რაღაცას აკეთებ და, როგორც ყველა თეორიის შემთხვევაში, შინაარსზე ლაპარაკი აქაც ზედმეტია.

ორივე მაგალითი ადასტურებდა იმას, რომ „ენობრივი ქმედება“ მე არ მომიგონია. კიდევ ერთხელ დავრწმუნდი იმაშიც, რომ თეორეტიკოსი არ

საქართველოს პარლამენტის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარ. ჩემთვის მნიშვნელოვანი ის კი არაა, რომ აზრის გამოთქმისას მოქმედებ, არამედ ის, თუ რას აკეთებ.

აქ მე სხვა საზოგადოებაში ვიმყოფები. მაგალითად, ნიცშე ამბობდა: „მაშინ, როდესაც ორი დეკადენტური საუკუნის მიჯნაზე გაჩენილ გენიისა და ნებისყოფის წარმოუდგენლად ძლიერ ფორსმაჟორს მსოფლიოზე გაბატონების მიზნით, ევროპის პოლიტიკურ-ეკონომიკური გაერთიანება უნდოდა, გერმანელებმა თავიანთი „განმათავისუფლებელი ომებით" ევროპა ჭკუიდან გადაიყვანეს. წაართვეს მას ნაპოლეონის არსებობის საოცრება და ის, რაც შემდგომ მოხდა და რაც ხდება დღეს, მათ სინდისზეა. მათ სინდისზეა კულტურის უარმყოფელი ყველაზე საშინელი დაავადება და უგუნურება, ნაციონალიზმი... ევროპის პატარ-პატარა ქვეყნებად დაყოფა... მათ ევროპა შეშალეს, დააკარგვინეს გონიერება". ეს სიტყვები ნიცშემ 1888 წელს დაწერა, იმ დროს მის გარშემო ნაციონალიზმი ყვაოდა და მძვინვარებდა. ნიცშე საკუთარ თავს საკმაოდ ხშირად წარმოაჩენდა ევროპელად. ერთ-ერთი მისი გვიანდელი ლექსი ასე მთავრდება:

*„და, აი, უკვე აქ ვდგავარ,*
*როგორც ევროპელი, სხვაგვარად არ ძალმიძს,*
*ღმერთი შემეწიოს!*
*ამინ!"*

შეიძლება ვინმე პოლიტიკურად აქტიურმა, ლეგიტიმურმა პირმა სულაც არ აღიაროს მოქმედებად ის, რასაც მე ენობრივ ქმედებას ვუწოდებ, მაგრამ სხვა რა დავარქვა? არსებობს ავტორების მიერ რეალობის შესაცვლელად გამოგონილი ენობრივი ქმედებები, იმ რეალობისა, რომელიც აწმყოში თავისი არსებობით მომავალს აღარ იმსახურებს.

ნებსით თუ უნებლიეთ, ენობრივ ქმედებები ყოველთვის მიისწრაფვიან იქითკენ, რომ მომავალი ხსნად დაგვისახონ. ამის მაგალითია „კომუნისტური მანიფესტი", ანდა ქრისტეშობის ისტორია.

დავუბრუნდეთ სიტყვებს - ევროპა, ევროპელი. ჩვენ, როგორც მკითხველები, სერვანტესის, დოსტოევსკის, იბსენის, სტრინდბერგის, პრუსტის, პლატონის და სხვათა ნაწარმოებებზე გავიზარდეთ. ლეგიტიმაციის მქონე პოლიტიკოსებს ევროპისთვის სიცოცხლისუნარიანი ფორმის გამოძებნა უჭირთ. გავიხსენოთ ე.წ. ექსპერტებს საბერძნეთის ისევ უკან, დრაჰმისკენ დაბრუნება როგორ სურდათ. როგორ ცდილობდნენ თავიანთი ექსპერტული ცოდნით ხალხი შეცდომაში შეეყვანათ, პანიკასა და შიშს თესავდნენ, რათა შეშინებული ხალხი საბერძნეთისთვის ფულის გადახდაზე დაეყოლიებინათ. მადლობა ღმერთს, მადლობა მერკელს, რომ ასე არ მოხდა. თუმცა, ისევ გაჩნდა ადამიანების შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობა, რაც თავისთავად უკეთესი მომავლისთვის ხელის შეშლას ნიშნავს. უძლური ვიყავი, მაგრამ ენობრივი ქმედებით ვცდილობდი იმის მტკიცებას - ევროპა საბერძნეთის გარეშე მახინჯი ფრაგმენტი იქნება-მეთქი. ამჯერად წარსული აღმოჩნდებოდა მომავლისთვის ხელშემშლელი მიზეზი.

გავიხსენოთ სამოციანი წლები: ამერიკა ომს აწარმოებდა ვიეტნამში. გერმანიის პრეზიდენტმა, ჩვენმა ლეგიტიმურმა წარმომადგენელმა, მისალოცი სიტყვა წაიკითხა იმ დროს, როცა ამერიკელები ჰანოის ბომბავდნენ. მე ბევრს ვმოგზაურობდი და ომის მწარმოებელი ქვეყნისთვის ერთგულების გამოხატვის წინააღმდეგ გამოვდიოდი. მედიებმა კომუნისტად შემრაცხეს. თავდაცვის მინისტრმა მაკნამარამ, რომელიც ვიეტნამში ამერიკულ ჯარზე იყო პასუხისმგებელი, თავის მემუარებში ამ ომს შეცდომა უწოდა.

ის, ვინც არჩევნების გზით არ მოსულა, ენობრივი ქმედების განხორციელებისას რისკზე მიდის. მას ძალაუფლება არა აქვს. ოპონენტების საჯარო გამოსვლებში მხოლოდ მომავალზეა საუბარი. ის, ვინც ენობრივ ქმედებას ახორციელებს, გერმანიაში უფრო მაღალი რისკის ქვეშ იმყოფება, ვიდრე, მაგალითად, აშშ-ში. პოლიტიკურ კორექტულობას, ჩემი აზრით, არსად არ აღიქვამენ ისე მძაფრად, როგორც გერმანიაში.

კომუნისტიდან ნაციონალისტად ისე მაქციეს, რომ არც კი შევცვლილვარ. ამის მიზეზი მხოლოდ ჩემი სიტყვები გახდა: გერმანიის გაყოფას ვერ შევეგუები-მეთქი. ტოლერანტობა ჩვენთან ნორმა არ გახლავთ ინგლისის, საფრანგეთისა და აშშ-სგან განსხვავებით.

კორექტულობას ოდნავ აცდენილი აზრიც კი მაშინვე სკანდალად გადაგვექცევა ხოლმე. და როცა უკვე სკანდალურ პიროვნებად გთვლიან, მაშინღა ხვდები, რას ნიშნავს, ოპორტუნისტად არყოფნა. რას ნიშნავს და იმას, რომ სამომავლოდ გამოუსადეგარი ხარ.

ეს შეიძლება მხოლოდ ერთი ენობრივი ქმედებისას დაგემართოს. როდესაც ჩემგან დაფასებული ჩვენი კანცლერი გერმანელი ჯარისკაცების ავღანეთის ტერიტორიაზე ბრძოლას მიესალმა, მე დავწერე: მას მერე, რაც ჩვენ მე-20 საუკუნეში ჩავიდინეთ, გერმანიას აღარ უნდა ჰქონდეს სამხედრო ქმედებების ჩატარების უფლება-მეთქი. ამასთან დაკავშირებით ერთმა წამყვანმა ინტელექტუალმა ერთ-ერთ გაზეთში ჩემზე განაცხადა: ეტყობა სამხედრო კომპეტენცია ზონტჰოფენის ფოლკსშტურმში მიიღოო. იმ პიროვნებას ამ გაზეთში ძალაუფლება, ე. ი. ლეგიტიმურობა გააჩნდა. აქ ავტორს ძალაუფლების მქონე ექსპერტი უპირისპირდება. მე კი, ჩემი გამოცდილებიდან გამომდინარე, ექსპერტების ატანა არა მქვს.

ვიცი, ჩვენი დემოკრატია სტაბილური არ არის. ჩვენ მიდრეკილნი ვართ მოწოდებების ატაცებისკენ, ისტერიისკენ. 1945 წლის შემდეგ ყველაზე დიდი საშინელება გერმანიის გაყოფა იყო. ეს უკვე გადავიტანეთ. კიდევ ერთხელ გადავრჩით. მაგრამ ამას ენობრივ ქმედებებს, ანუ ინტელექტუალებს კი არა, გდრ-ის მოსახლეობას უნდა ვუმადლოდეთ, რომელმაც დიქტატურა უსისხლო რევოლუციით დაამხო. მაგრამ ვითომ უკვე სრულიად უსაფრთხოდ ვართ?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

როდესაც რამდენიმე წლის წინ უძრავი ქონების კრიზისმა აშშ-დან ევროპისაკენ გადმოინაცვლა, ქალბატონი მერკელი და ბატონი შტაინბრიუკი ერთად დადგნენ კამერების წინ და ამით აგვარიდეს მეორე დღეს ხალხის მასების ბანკომატებთან მივარდნისა და მთელი მათი კუთვნილი ქონების გამოტანის საფრთხე, რასაც შედეგად ტოტალური გაკოტრება და ბანკების ინფარქტი მოჰყვებოდა.

ასეთი საგანგაშო მომენტები ხშირად ყოფილა. ქალბატონი მერკელი და ბატონი შოიბლე ნამდვილად სანდო ადამიანები არიან, მაგრამ ასეთი პიროვნებების არსებობის გარდა გვაქვს კიდევ სხვა რაიმე ხელჩასაჭიდი, მომავალს უშიშრად რომ შევხედოთ? თავს უნდა გამოვუტყდეთ: ამჟამად ხედვის გარეშე ვცხოვრობთ, უტოპიის გარეშე. ჩვენი წარსულის გამო ყველანაირ შორსმიმავალ იდეებს ვუფრთხით. ახლა მომავლის ხედვის გარეშე ცხოვრება უნდა შევძლოთ. ყველამ სათითაოდ უნდა იღვაწოს თავისი ბედნიერებისთვის ისე, როგორც შეუძლია.

მაგრამ გამოწვევები ხომ მუდმივად არსებობს, მათ მხოლოდ ცივი გონებით ხომ ვერ გავუმკლავდებით? დგება დრო, როდესაც ჩვენი არსებობა გამოწვევის წინაშე დგება. სწორედ ასეთ გამოწვევას წარმოადგენს ლტოლვილთა ნაკადი.

მაშინ, როდესაც თან რომანზე ვმუშაობ და თანაც ყოველდღიურად ლტოლვილების არაერთ ისტორიას ვაწყდები, ჩემი რომანის პერსონაჟი, მას თეო შადტი ჰქვია, წერს „მოხსენებას მთავრობისადმი". მოხსენებაში ვკითხულობთ:

*„თეო შადტს ჰგონია, რომ იგი ვალშია იმ საზოგადოების წინაშე, რომელშიც აქამდე იცხოვრა, ამიტომაც მანამ, სანამ გამქრალა, სურს გარკვეული შეთავაზებით გამოვიდეს, ისეთი შეთავაზებით,რომლის სისრულეში მოყვანაც ყველას ასარგებლებს.*

*საქმე ეხება საყოველთაოდ ცნობილ კატასტროფას, საქმე ეხება ადამიანებს, რომლებიც ციხესიმაგრე ევროპასთან ყოველდღიურად იღუპებიან. თეო შადტის აზრით, ეს ტრაგედია დასრულდება, თუკი ყველა, ვისაც გერმანიაში საკუთარი სახლი აქვს, თითო ლტოლვილს შეიფარებს. ერთი ლტოლვილის ადგილი ყველა სახლშია. თეო შადტი ახლა სამი სახლის მფლობელია, ე. ი. სამი ადგილი გააჩნია სამი ლტოლვილისთვის. სახლების მფლობელებმა ერთი წლის მანძილზე საკუთარ ლტოლვილებზე უნდა იზრუნონ. ერთი წლის შემდეგ მათზე პასუხისმგებლობას უკვე სახელმწიფო გადაიბარებს. ამ ერთ წელიწადში სახლის პატრონმა ყველაფერი უნდა გააკეთოს, რაც ჩვენს საზოგადოებაში ლტოლვილის ინტეგრაციისთვისაა საჭირო: ენა, განათლება და სხვ. ამას უნდა დაერქვას სახლების მფლობელთა გაერთიანება დახმარების მიზნით. სახლის მფლობელები ბოლოსდაბოლოს გამოიყენებენ საკუთარ პრივილეგიას, სახლების მფლობელები რომ ჰქვიათ. მაგრამ მანამდე სახელმწიფო, მთავრობა უნდა დათანხმდეს ასეთი გაერთიანების ჩამოყალიბებაზე. ამ [illegible] წინაპირობა, ცხადია, სახლის მფლობელთა მხრიდან საამისო სურვილის გამოხატვა იქნება. არავინ უნდა აიძულონ, თუმცა ყველამ უნდა იგრძნოს, რომ მას სიხარულით მიიღებენ. ამგვარად, ერთი მილიონი ლტოლვილის დროულად დაბინავება მოხერხდებოდა. ამ მაგალითმა შესაძლოა ევროპაზე იმოქმედოს. სახლების მფლობელებო ყველა ქვეყნისა, გაერთიანდით ბოლოსდაბოლოს! ასახელეთ თქვენი გვარები, თქვენი წრე. ამ ყველაფრის გარდა, ეს ტრაგედია ხომ მუქარასაც შეიცავს.*

*დიდი იმედებით,*
*თეო შადტი"*

ეს არის ავტორის მცდელობა, მოერგოს სიტუაციას, რომელსაც გამოწვევად აღიქვამს.

გავიხსენოთ: სანამ სიტყვა გერმანიის წარმოთქმა მხოლოდ ამინდის პროგნოზში დაიშვებოდა, ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანა გერმანიის გაერთიანება იყო. ახლა ისტორიული განზომილების გარეშე ვცხოვრობთ. ბედნიერ სიტუაციაში ვართ - გერმანია თავისი გაევროპელებით ზოგიერთი გენეტიკურად გერმანული ავი თვისებისგან დაცული აღმოჩნდა. ჩვენ ჩვენი მეზობლებისათვის ყველაზე ცუდ შემთხვევაში მოსაბეზრებლები გავხდებით და არა საშიშები. ამით ბევრი ნეგატიური რამ ავირიდეთ თავიდან, მაგრამ ლტოლვილთა ნაკადი თითოეული ჩვენგანისთვის გამოწვევაა.

ჩემი შიშის საფუძველი ისაა, რომ საზოგადოება, რომლის ნაწილადაც თავს ვთვლი, მოულოდნელი კრიზისების გამო შეცდენის საფრთხის წინაშე დგება, დღეს არსებული ტექნიკები ისეთი ძლიერია, როგორც არასდროს, არც ეს ფარული საფრთხეებიც არ ყოფილა დღემდე ასე აქტუალური. მას მერე, რაც ვნახე, როგორ უწევენ პროპაგანდას მასმედიის ხელმძღვანელები თავიანთ ლეგიტიმურობას, როგორც მეოთხე ძალაუფლებას, უსაფრთხოების წარმოდგენა უკვე მიჭირს. თუკი მათ ხელს არ აძლევთ ის აზრი, რასაც ვინმე ბოთო შტრაუსი სრულიად გულუბრყვილო, მაგრამ დიდებული ენით ამბობს, უმალვე ფაშისტად შერაცხავენ. და მას შემდეგ, რაც მთელი ორმოცი წელი იმით იყვნენ დაკავებულები, რომ როგორმე გერმანიის გაყოფა არგუმენტირებულად დაესაბუთებინათ, აზრადაც არ მოსდით, რომ სამომავლოდ მაინც შერცხვეთ ამის გამო.

სინამდვილეში არ არსებობს არანაირი ქმედითი დაცვა, რომელიც მასმედიის ძალაუფლებას შეასუსტებს. ძალაუფლება არის მხოლოდ ის, რაც კანონზე მაღლა დგას, რაც მათ, ვისაც ძალაუფლება აქვს, იმაზე მეტად ასულელებს, ვიდრე ისინი სინამდვილეში არიან. ეს კი კარგია. საბოლოოდ ისინი აუცილებლად დამარცხდებიან. სწორედ ეს მაძლევს „ყველაფრის და ყველას ჯინაზე" ჩემი ოპტიმიზმის საფუძველს.

საბედნიეროდ, ყველა, ვინც ბუნებით ენობრივ ქმედებაზე დაყრდნობით მოქმედებს, ყველანაირი

ეროვნული

ძალაუფლების ბუნებრივი მოწინააღმდეგეა. ჩვენ ვარსებობთ ენის წყალობით, ენის გავლენით და ენის ნიაღში. ენა გახლავთ ასევე წარმატებული ისტორიების საწყობი. ის არის ყველაზე ფაქიზი მორალური ქმნილება. დიქტატურებს სხვა არაფერი გასცემს ისე კარგად, როგორც ენის დამორჩილების სურვილი. ყველა ძალაუფლების მქონე თავს გასცემს საკუთარი ენით. ჩვენ, ვინც ენის გამოყენებით ვმოქმედებთ, წარმოუდგენლად უსუსურები ვართ, მაგრამ მაშინაც კი, როცა ერთმანეთს არ ვიცნობთ, ყველა ვემსახურებით სრულიად ისტორიულ ქმნილებას - ენას. ევროპის ისტორიის წარმატებები განაპირობებულია იმ ქმედებებით, რომლებიც მისმა ენებმა განახორციელეს. ამ ენობრივ სულს სხვადასხვა სახელები აქვს: განმანათლებლობა, ტოლერანტობა, ჰუმანურობა და დემოკრატიაც კი. ეს არის სიტყვები, რომელთაც მუდამ სურთ, ცუდი აწმყო უკეთეს მომავლად აქციონ და აქცევენ კიდეც. მართლაც მგონია, რომ ევროპულ ენათა სიმრავლე ისტორიის ღირსეული მომავლის გარანტიას წარმოადგენს. ამის დასტურად ასიათასობით წინადადებების ციტირება შეიძლება ევროპული ენობრივი ქმედებებიდან.

ამასობაში ყოველდღე ვხედავთ ლტოლვილთა ახალ ნაკადებს. აქამდე განხორციელებული ყველაზე მნიშვნელოვანი ენობრივი ქმედება არის ანგელა მერკელის წინადადება „ჩვენ ამას შევძლებთ!", რომელზეც მისი წარმოთქმის წუთიდან ყველა კამათობს.

რაც უფრო ძლიერი, რაც უფრო განათლებულები არიან ადამიანები, იქნებიან ესენი გამომცემლები თუ პროფესორები, მით უფრო მკაფიოდ გადმოსცემენ ისინი თავიანთ სათქმელს - ვგულისხმობ ხელმძღვანელ თანამდებობაზე მყოფ, ანუ ცნობილ ადამიანებს და არა პიროვნებებს. მე მხოლოდ მათ ფუნქციებზე, მათ სავარაუდო გავლენაზე, ანუ განხორციელებულ ძალაუფლებაზე ვლაპარაკობ.

ისინი ამბობენ: „სწორედ რომ მერკელის პოლიტიკის გამო გადაიქცა ეს ნაკადი ნიაღვრად".

„...სანამ კანცლერის აპარატს გული განაგებს და არა გონება".

„მორალურად შელამაზებულ არაფრის კეთებას აქ პოლიტიკად ასაღებენ".

„ლტოლვილების საკითხის განხილვისას ფიქციაში გაქცევა მთავრობის პროგრამად იქცა".

„გერმანიაში ლტოლვილების შეუზღუდავი და დიდწილად უკონტროლო ჩამოყვანის მერკელისეული პოლიტიკა იგივეა, რაც მევალის მიერ სასამართლოში ფიცის ქვეშ მიცემული ჩვენება".

„ლტოლვილებთან დაკავშირებით მერკელის არასწორი პოლიტიკის წყალობით, გერმანია იზოლაციაში ექცევა ევროპაში".

„რა თქმა უნდა, ხალხს უჩნდება კითხვა: პატივს სცემს თუ არა სახელმწიფო ადამიანების საკუთრებას ხვალ, როცა დღეს უკვე საკუთარ საზღვრებს აღარ იცავს".

„თუ ლტოლვილთა ნაკადი დღევანდელი ოდენობით შენარჩუნდება, მალე მთელი გერმანია გადაივსება".

„ახალ გერმანულ თვითშეგნებას რაღაც თავისებური გადაჭარბებულობა ახასიათებს".

ჩვენ ერთხელ უკვე ვნახეთ, როგორ ცდილობდნენ ყველაზე ჭკვიანი ექსპერტები დავერწმუნებინეთ იმაში, რომ გერმანიის გაყოფა ისტორიული მოვლენაა და ამას უნდა შევეგუოთ. გერმანიის გაერთიანების შემდეგ რაღაც არ მსმენია, რომ ამ ექსპერტებს თავიანთი აზრებისა შერცხვენოდეთ. თუ მოზღვავებული ლტოლვილების გამკლავებას ჩვენ მომავლის შესაფერისად შევძლებთ, რაც სულ მალე მოხდება კიდეც, მაშინ ყველა ამ ცნობილმა ეჭვებით სავსე პირმა მერკელის წინაშე ბოდიში უნდა მოიხადოს.

ახლა მათ შესახებ, ვინც მერკელის პოლიტიკას დადებითად აფასებს. მათ სახელებს მათსავე ფუნქციებთან ერთად ჩამოვთვლი. რაინერ ვენდტი, გერმანიის პოლიციის პროფკავშირის ფედერალური თავმჯდომარე წერს: „პრაგმატული წამოწყებებით შესაძლებელი იქნება ხმელთაშუა ზღვის უსაფრთხო გადაკვეთა კრიმინალური კონტრაბანდის გარეშე, საიმედო რეგისტრაცია და ლტოლვილის სტატუსის მინიჭების სამართლებრივი პროცედურების კომბინაცია".

ნოიკიოლნის რაიონის მერი ქალბატონი ფრანცისკა გიფეი აყალიბებს „ხუთ თეზისს, როგორ შეიძლება ამის დაძლევა". და ის ამას აკეთებს იმის მიუხედავად, რომ იქაური მოსახლეობის 17% უმუშევარია, 24% სიღარიბის ზღვართან ახლოს მყოფი და ბავშვების 75% სიღარიბეში ცხოვრობს. აქ მცხოვრები160 სხვადასხვა ეროვნების 326 ათასი ადამიანიდან 42% მიგრანტია ან მათი შთამომავალი. ნოიკიოლნის სკოლებშიგახსნილია 51 მოქმედი კლასი გერმანული ენის არმცოდნე ბავშვებისათვის. „ლტოლვილების ჩამოსვლა მხოლოდ ერთი ასპექტია, რომელიც ემატება უკვე არსებულ გამოწვევებს", - თქვა ამ რაიონის მერმა 2015 წლის ოქტომბერში. „ახლა კი ისმის ყველაზე მთავარი კითხვა - შევძლებთ ამას? „ჩვენ ამას შევძლებთ!" - ალბათ წლის წინადადებაა, რომელიც ყველაზე მეტ კამათსა და კრიტიკას იწვევს. ეს არის წინადადება, რომელიც თავის თავში ერთადერთ მესიჯს ატარებს: სხვა გამოსავალი არ გვაქვს. ჩვენ ვერ ვიტყვით, ვერ შევძლებთო. ამიტომ საკუთარ თავს უნდა ვკითხოთ, როგორ უნდა შევძლოთ ეს, როგორ უნდა მოვიქცეთ, რომ გამოგვივიდეს".

ერთი კრიტიკულად განწყობილი პიროვნება წერდა: „ჩვენ არ გვაქვს უფლება, იმაზე მეტს დავპირდეთ, ვიდრე შესრულება შეგვიძლია". ამ ფრთხილ გამონათქვამში, რომელიც თითქოს რეალისტურად ჟღერს, მე მხოლოდ იმას ვხედავ, რომ არ შეგვწევს მონაწილეობის მიღების უნარი. არადა, ჩვენ უფრო მეტს უნდა დავპირდეთ, ვიდრე გვგონია, რომ შევძლებთ.

ამ მოვლენის მიმართ ჭკვიანი სკეპტიკოსების ქცევაც ისეთია, თითქოს მათ თავიანთი განათლებული გონებით მისი გაანალიზება და განსჯა შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა

უძლიათ. არადა, მათ საექსპერტო ცოდნაში ვერ ჯდება ლტოლვილთა ასეთი არაორდინარული ნაკადი. მაგრამ სწორედ ეს არაორდინალურობაა ყველაზე მნიშვნელოვანი.

გერმანიამ გაერთიანების შემდეგ უკან მოიტოვა თავისი ისტორიის ყველაზე მშვიდობიანი მეოთხედი საუკუნე. ახლა კი ამ გამოწვევის წინაშე აღმოჩნდა. უკვე გამოჩნდა, რომ ჩვენი დემოკრატია შორსაა ისეთი სრულიად სტაბილური დემოკრატიისგან, როგორიც, მაგალითად, ინგლისშია. მემარჯვენე ექსტრემისტი სიძულვილის მთესველნი და კონსერვატორული ეჭვებით სავსე პიროვნებები თავს წარმოაჩენენ ეროვნული ღირებულებების დამცველებად. სინამდვილეში კი ორივენი, ექსტრემისტებიც და კონსერვატორებიც, ადამიანებში შიშს თესავენ. ერთ გამოკითხვას მეორე მოსდევს. როგორც წესი, არ მაინტერესებს ხოლმე ეს პროცენტებით სავსე გამოკითხვები, მაგრამ ახლა ამ ციფრებს ჩავყურებ და თერმომეტრის ნიშნულებად აღვიქვამ მათ, ვხედავ, რომ ჯერ კიდევ საფრთხეში ვართ. რომ ყველანაირი დემაგოგია ყვავის.

ახლა აუცილებელია გონიერების სამსახურში მდგარი ენობრივი ქმედებები. მათ, ვინც წუხს გერმანულ ღირებულებებზე, ვურჩევდი, წაიკითხონ გოეთეს „დასავლურ-აღმოსავლური დივანი", ან მშვენიერი სტატია „Neue Züricher Zeitung"-ში სახელწოდებით „იყო გოეთე მაჰმადიანი?"

ვიაზრებთ კი იმას, რომ ყოველ საღამოს ხალხთა გადასახლებას ვადევნებთ თვალს? თვალს ვადევნებთ უდიდეს ტანჯვას, რომელსაც, ცოცხლად თუ ვნახავდით, გულგრილად გვერდს ვერასოდეს ავუვლიდით. ჩვენ ამას ვუყურებთ მაშინაც, როდესაც ეს საცოდავი, მობუზული ადამიანები სახეს არიდებენ კამერებს. კამერები ამ ტანჯვას ჩვენი დავალებით აგროვებენ, თითქოს ეგზოტიკური მცენარეების ნაყოფი იყოს. ვუყურებთ, თითქოს ამ ყურებით რაიმე დახმარების მსგავსი მოგვივა თავში. ბავშვები გაფართოებული თვალებით იყურებიან კამერაში. ბავშვის მზერა არასოდეს არის მათხოვრული, ის შესაძლოა მხოლოდ უამრავი უპასუხო კითხვით იყოს სავსე. მერე გადაცემა მთავრდება და ვხვდებით, რომ ყველაზე მეტად სწორედ ბავშვების თვალები დაგვამახსოვრდა.

ეს ხალხთა გადასახლება ევროპისთვის გამოცდა იქნება. საუკუნეების განმავლობაში ჩვენ მსოფლიოს ყველა კუთხისკენ გვქონდა გეზი აღებული, მივაბიჯებდით და გზადაგზა ძალაუფლებასა და პროგრესს ვამკვიდრებდით. ამას კოლონიალიზმი ერქვა. ახლა ეს შემოტევაა ევროპაზე. ყოველი დღე იმის იმედით მიღამდება, რომ ჩვენი საზოგადოება, ჩვენი სახელმწიფო ამ მოულოდნელ შემოტევას ღირსეულად, ადამიანურად უპასუხებს. ნოიკიოლნის მერმა ერთხელ თქვა: „ყველაზე დიდი გამოწვევა ამჟამად ისაა, რომ განათლებაზე ხელი ყველას არ მიუწვდება". მე დავაკონკრეტებ: ეს ენაა და არა განათლება.

ალბათ ეს ჩემი პროფესიიდან გამომდინარე ხდება. მე ვამტკიცებ: რაც არ უნდა გავაკეთოთ ე.წ. ინტეგრაციისათვის, ყველაფერს მაინც ენა წყვეტს.

ამასწინათ მატარებლით მაინციდან მანჰაიმში მივდიოდი. პირველი კლასის ვაგონში ორნი ვისხედით, შავკანიანი ქალი და მე. ქალს წინ სქელი წიგნი ედო, სათაურს ვერ ვხედავდი. არ კითხულობდა, მთელი გზა ტელეფონზე საუბრობდა და თან ისე ხმამაღლა, ისე მკაფიოდ, რომ ჩაწერა დავიწყე. აი მისი ფრაზები: „ხო, მერე ვნახავთ, რა ხდება ... ყოველთვის ხომ კოლეგების ბრალია, ვინც ცდილობს ... თანახმა ვარ ... ეს შენი საქმეა, მე არაფერს მოვიმოქმედებ ... მაშინ ნუ დაიჯერებ, რა ვქნა ... მეც მაქვს ჩემი გამოცდილება ... აი, მართლა სულერთია ჩემთვის. აბა, კარგად". საუბრის დასასრული.

ამ გამართული გერმანულის წყალობით შავკანიანი ქალი გერმანელია. ჩვენიანია. ვინც ასე ფლობს ენას, ის საკუთარ სახლშია. ენის კურსი დასაწყისია, მაგრამ ის, თუ რა არის სიტყვები, და არა მხოლოდ რას ნიშნავს ისინი, ანუ ენასთან დაახლოება, ჩნდება მხოლოდ ნამდვილი, საზოგადოებრივი, ადამიანური გამოცდილებით. ენა არის ქვეყანაში არსებული ყველა საცხოვრებელი პირობის მარაგი. ვინც ენის კურსის გავლის შემდეგ ისევ ბანაკში რჩება, აქ არ ცხოვრობს. მაგრამ რადგან ის არც თავის პირველად სამშობლოშია, მაშინ გამოდის, რომ ცხოვრებითაც არ ცხოვრობს და უბრალოდ არსებობს. ადამიანისთვის ჩვენთან ღირსეული ცხოვრება მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, როდესაც ჩვენს ენას შეითვისებს; ამ შემთხვევაში ყველაზე გაწვრთნილი მემარჯვენე ექსტრემისტიც ვერ აღიქვამს მას საშიშროებად. კონსერვატორმა კი უნდა აღიაროს, რომ ამ მიგრანტთან გერმანული ღირებულებების დაცვა არ სჭირდება. მიგრანტი უკვე აღარ არის უცხოელი. მან არც თავისი წარმომავლობა უნდა დაკარგოს. მას შეეძლება იგრძნოს, რომ ისეთად მიიღეს, როგორიც სინამდვილეშია. მოგვიანებით კი მასაც ჩემსავით საშინელი შეიძლება მოეჩვენოს სიტყვა ინტეგრაცია. გერმანია, როგორც ყველაზე ღია ქვეყანა! ეს როლი ყველაზე მომხიბვლელი, საუკეთესო როლია იმ როლებს შორის, რომლებიც გერმანიას მსოფლიო თეატრში უთამაშია!

სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებმა შთამბეჭდავად ჩამოაყალიბეს, თუ რას ელიან ლტოლვილებისგან. მე ჩემი სფეროს სახელით მინდა ვთქვა: ათ ან ოც წელიწადში გაჩნდება უამრავი ლექსი და რომანი, რომლებიც აღმოსავლეთისა და დასავლეთის შერწყმის ნიადაგზე შეიქმნება. ეს ლექსები და რომანები ჩვენს ენას კიდევ უფრო მეტ გამოცდილებას და მოქნილობას შესძენს, რაც მხოლოდ უნდა გვახარებდეს. მერე და მერე კი, როცა ის ყველაფერი, რასაც ახლა კრიზისად აღვიქვამთ, მაგრამ მომავლის იმედს მაინც გვიტოვებს, უკვე ისტორიის ნაწილად იქცევა. ხოლო ქვეთავს, რომელშიც ამ ამბავზე მოყვებიან, ასე დაასათაურებენ: „ჩვენ ამას შევძლებთ".

*ჟურნალი „შპიგელი" 9 / 2016*

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დიმიტრი წიკლაური

# მეფის პირადი ფრინველი




1.

ჩვენ ყველანი მეფეს ვეკუთვნოდით, აღმართებზე სიარული სასახლის კიბეებზე რომ ჰქონდა ნასწავლი, ძალიან გულჩვილი რომ იყო, სანამ მრისხანება შეიპყრობდა და მისთვის გალობას რომ გვაიძულებდნენ, ვიდრე ეს მრისხანება სისასტიკეში გადაეზრდებოდა. ჩვენც ვგალობდით თავდავიწყებამდე, გულზე კი წარწერებიანი იარლიყები გვებნია. წარწერა ორგვარი იყო - „ფსშ" და „მპფ".

„ფსშ" უსახური, წვრილი, მოფლაშული ასოებით გამოესახათ - ფრინველთა საერთო შემადგენლობას გულისხმობდა. მას რიგითობის აღმნიშვნელი ზოგადი დატვირთვა გააჩნდა. პატარა იარლიყიანი ნაჭერი გვქონდა გულისპირზე მჭიდროდ ჩამოცმული. ფრინველებს მოსვლისთანავე ამით აღბეჭდავდნენ.

„მპფ"-ს უპირატესობა ენიჭებოდა, ლურჯი ხაზებით შემკული განაცხადი ამგვარად ჟღერდა - მეფის პირადი ფრინველები. ისინი უფრო სუფთები, მოვლილები, შეფერილები და გამორჩეულები იყვნენ, მაგრამ იშვიათად თუ გვხვდებოდნენ, ისიც სადღესასწაულო დღეებში.

აქ იმდენი ხანი დავყავით, სხვანაირ ცხოვრებაზე წარმოდგენაც აღარ გვქონდა. უკმაყოფილო მითქმამოთქმა ხშირად გაისმოდაირგვლივ, მაგრამ ეს არც ისე მნიშვნელოვანი იყო. საზოგადოებაში სოციალურ ცვლილებებს მხოლოდ ადამიანები ახდენენ. ისინი რომც ამბოხებულიყვნენ, ჩვენ არც გავახსენდებოდით. ბებერი ფრთოსნების დაღვრემილ სახეებს რომ ვუყურებდი, ეფიქრობდი, ფრინველებს ფრენას თუ აუკრძალავენ, გალობას თვითონ აიკრძალავენ-მეთქი. მაგრამ სულაც არ აღმოჩნდა ასე. სიამოვნებით გალობდნენ, ოღონდ კი ზემდგომთათვის ესიამოვნებინათ. თუმცა ამას თავისი ახსნა ჰქონდა და ამიტომაც ჩვენ მიმართ ველურ ფრინველებს უფრო მეტი მიმტევებლობა უნდა გამოეჩინათ. ჩვენ უკვე სხვა მოდგმის ვიყავით, გალიის მოდგმის. წესიერად ზეცაც არ გვენახა, გისოსები მას შავ უჯრედებად სერავდნენ, თითქოს სანახაობას ულუფებად გვაწვდიდნენ. ჩვენ მორჩილ არსებებად გვაყალიბებდნენ. გალიაში გალობას მთელ ხმოვანებას ტკივილი და მონატრება ანიჭებს. ამას დროთა განმავლობაში მივხვდი. უფროსი თაობის ფრინველებს ჭრელი შესამოსლის არშიები თითქმის გაუცვდათ, ამაყი ბიბილოები შეუჭკნათ, მოხატული ბუმბულები დაეძენძათ და გა-

ეროვნული

უუფერულდათ, ხმა კი გაებზარათ და ბგერები სევდა-ნაღველით გაემსჭვალათ. ერთ ახოვან ჩიტს ვკითხე, აქედან გაქცევაზე რა აზრის ხარ-მეთქი. რას ამბობ, ძლივს მოეისვენე, აქ მინდა აღვესრულოო, მიპასუხა მან. გარეთ რა, გგონია უკეთ იქნები? ყოველი ლუკმისთვის ბრძოლა გიწევს. ერთადერთი წყალია უხვად, თუმცა ძღომას ვერ გაგრძნობინებსო. მაგრამ იქ ხომ თავისუფლებაა, შევეპასუხე მე. თავისუფლება? გაეცინა მას, ყოველი შენი თანამემამულე ფრთოსანი შენი მტერია. იქ ყველა თავისთვისაა თავისუფალი, გულის დასაწყვეტი ამბავია. მე კი მისმა სიტყვებმა დამწყვიტა გული. ნუთუ თავისუფლების დაკარგვამ მეოცნებე ფრთოსნები ქორ-ვაჭრებად გვაქცია-მეთქი. ლეგენდარული აღტყინება მორჩა და სოციალურმა პრობლემებმა იჩინა თავი. და თუ ოდესღაც ჩვენი ღირსება ფრთები იყო, ახლა ნისკარტი გამხდარა. თუმცა მისი პასუხები დამაჯერებლად გაისმოდა, მაგრამ ჩვენს ირგვლივ დაგმანული კედლები და გისოსებით მოსაზღვრული სივრცე ერთადერთ რეალობად რჩებოდა. დედაჩემი გამიწყრა, ენას ნუ ატლიკინებო, ეტყობა ჩვენი ლაპარაკი მოისმინა და ჩემ გამო შიშობდა.

მამაჩემი მიამბობდა, თავისუფლებას ყველაზე დიდ პენსა და ეშხს ცისქვეშეთში თეთრად გაწოლილი ღრუბლები ქმნიან, ტაატით რომ დაცურავენ ქარის მიმართულებით და მინდვრებზე ჩრდილებად გადარბიანო. მოკლედ, თავისუფლებაზე მხოლოდ გადმოცემით მსმენოდა, ისიც ძირითადად მამაჩემისგან. დედაჩემი ამის შესახებ ხმას არ იღებდა. დედაჩემს როზალია ერქვა. სათნო და ჯიუტი ქალბატონი იყო. აქ უკეთესად ვართო, მეტყოდა ხოლმე. მე აქ დავბადებულვარ, მშობლებს კი აქედან შორს, რომელიღაც პროვინციასთან ახლოს ჰქონიათ ბუდე. თავს როგორღაც ირჩენდნენ და ბედნიერებიც ყოფილან ჩემს მოლოდინში, სანამ მოულოდნელად მოხალისე მონადირეების ნადავლად არ ქცეულან. ზადეში გაბმული მიურთმევიათ ძღვნად მეფისთვის. მეფის ახირება ფრინველებით გატაცების შესახებ საყოველთაოდ ყოფილა ცნობილი. ჩვენ მართალია არც ისე ლამაზი, მაგრამ იშვიათი მოდგმის ვიყავით.

თავისუფლება რომ მქონოდა, დიდ ქალაქებს მივაშურებდი. თავზე გადავუფრენდი ელექტროსადენებს და სახურავებს. ჯიხურის გაზეთებს, წიგნების გარეყდებს, სარეკლამო ბანერებს და კედლის აფიშებს დავათვალიერებდი. ვიფრენდი დაღამებამდე... ამაზე დედაჩემმა მიპასუხა, იქ რომ ვყოფილიყავით, ნახევრად მშიერი მეყოლებოდი, აქ კი საკვებიც უხვად გვაქვს და შენი კარიერული პერსპექტივაც ჩანსო. ვერ მივხვდი, რას გულისხმობდა. მაშინ გამანდო, რომ თურმე მეფის პალატაში ჩემს გადანაცვლებაზე ოცნებობდა, რისთვისაც გალობაში მუდმივი ვარჯიში მირჩია, სტვენაში რომ დავხელოვნებულიყავი. აბა, ეს შენი თავისუფლება რაღაა? სულ იმის დარდში უნდა ვიყო, სად ხარ, რამე ხომ არ შეგემთხვა - დამარიგა თავისებურად.

- ჩემთვის თავისუფლება ცის მოხილვაა! - ვუპასუხე შემართებით.

- ცა მეფის სარკმლიდანაც მშვენივრად გამოჩნდება. იქაური გალიები ისეთი ფართო ყოფილა, ზოოპარკის ვოლიერები გეგონება. კვება კი იცი როგორი ჰქონიათ? ზოგჯერ ცხელ რძესაც ხვრეპენ და ხშირად წყლის ნაცვლად თურმე ანწლის წვენს ასმევენ. მათ ჯანმრთელობაზე ისე ზრუნავენ, [illegible]ანები ყოფილიყვნენ. ჩემი ოცნებაა შენს მკერდზე „მპფ" ნარწერა ეხილო! - ამ სიტყვებით დედაჩემმა მთელი ჩემი შემართება დაასამარა.

ამ თემაზე მერეც ბევრჯერ გვილაპარაკია, მაგრამ შედეგი არ იცვლებოდა და მე დავასკვენი, რომ ყველაზე ძვირფასი და ახლობელი არსებები ყველაზე ცუდს გიკეთებენ იმ მოტივით, რომ ყველაზე კარგის გაკეთება სურდათ შენთვის.

- დაუალაგდი ჭკუას! მიწაზე დაადგი ფეხი! იოლ გზებს ნუ ეძებ! მოვალეობა! მოვალეობა! აი, რა არის ყველაზე მთავარი! - მმოძღვრავდა დედაჩემი. მე კი მიკვირდა, თუკი ფრინველი ვარ, ფრენისთვის შობილი და ასეთად უზენაესმა ჩამიფიქრა, მიწაზე რატომ უნდა დამედგა ფეხი? განა უმჯობესი არ იქნებოდა, ფრენაში გავწაფულიყავი, რა არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა სხვა დანარჩენს? მაგრამ დედაჩემი მდგომარეობის სიმყარეს გულისხმობდა. ეშინოდა, ოცნების დევნაში რაიმე ცუდს არ გადავყროდი და ულუკმაპუროდ არ დავრჩენილიყავი. გულისხმობდა აგრეთვე იმას, რომ მუდამ თვალთახედვის არეში ვყოლოდი. სხვა დასკვნა ვერ გამომქონდა. ალბათ ეგონა, თუ არ გამაკონტროლებდა, დავიღუპებოდი. ხომ უნდა ცოდნოდა, რა მიჭირდა და რა მილხინდა! - რაიმე შინაგანით თუ არ დაკავდი, გარემო დამღუპველად ზემოქმედებს! - დამიყვავა ერთხელ - თავისუფლება უსაზღვრო სივრცეა, რომელიც თავის ტლანქ უკიდეგანობაში ჩაგკარგავს, მერე ეძებე ნემსი თივაში!

- აქედან თავის დაღწევა და მოგზაურობა ჩემი ოცნების სფეროს წარმოადგენს - ვთქვი მე - ბედნიერება თავისუფლებაშია! გულით მხოლოდ იქ ვიმღერებდი, უსაზღვრო სივრცეში, სადაც ბგერები სხვა ჟღერადობას შეიძენდნენ.

- ეგ აზრები თავიდან მოიშორე და მეტი აღარასდროს გამაგონო! - დედაჩემს არაფრის გაგონება არ სურდა, გაგულისდა და მოჰყვა ნერვიულად ფრთების ფშვნეტას და საყვედურებს - შენს აღზრდას გადავყევი და ასე უნდა დამიფასო?

მეორე დღეს ხმაც აღარ გაუცია, ძლივს შევურიგდი.

2.

ერთი დაწინაურებული ფრინველი გვაკითხავდა ხშირად, ეგრეთ წოდებული ზედამხედველი. კვადრატული და სასაცილო სახე ჰქონდა, მაგრამ თავის მოსაზრებებს ისე გამოთქვამდა, როგორც დამაგვირგვინებელს. თავის სიტყვას საკითხის ამომწურავ შეჯამებად მიიჩნევდა და კამათის გაგრძელებას საჭიროდ აღარ თვლიდა. ასე იძახდა, გისოსები იმისთვის კი არ არისო, რომ ვინმეს თქვენი გაქცევის ეშინია, არამედ სხვებმა რომ არ მოგაკითხონ და გაცდუნონო. თქვენი მდგომარეობის ყოველ ცოცხალ არსებას შურს. ხშირად გვმოძღვრავდა, სხვებზე მეტი უფლებები ჰქონდა და ამ უფლებებს გაჯგიმული სიარულით და დაბღვერილი სახით გამოხატავდა. თუ რაიმეს იტყოდა, ჯაჯღანით. ამით ხაზს უსვამდა იმ უზენაეს წოდებას, რისთვისაც მიეღწია. ვერც კი გრძნობდა, ფრთების ტყლაშუნი გალიაში რაოდენ ძნელი მოსასმენი იყო. ეს ხომ ფლოსტების ფლატუნს წააგავდა, კუს ნაბიჯით გადაადგილებას, რადგან გალია ფრენის აკრძალვას გულისხმობს და ზეცის უარყოფას. მეფეს კი ისე შეყვარებოდა ფრინველები, რომ სულ ახალ და ახალ პარტიებს იძენდა. მოახალშენე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ებს ლექციათა სრულ კურსს უკითხავდნენ, თუ რაოდენ გაუმართლათ ცხოვრებაში. აწაში კი გაქნილი ორატორები ეხმარებოდნენ. მნიშვნელოვანი იმდენად სიტყვები არ იყო, რამდენადაც განათლების ხარისხის დემონსტრირება.

მე გალიაში დავიბადე, სამეფო კარის მოსაზღვრულ ტერიტორიაზე, კარიბჭესთან ახლო, მეფის პალატებიდან საკმაოდ შორს. სამეფოში შემოსულ სტუმრებს ხშირად ვხედავდი. თვითონ მეფე არ დამინახავს, მაგრამ მისი ამალისთვის ბევრჯერ მომიკრავს თვალი. სამეფოდან გასულს მუდამ უკან მიჰყვებოდა. სამეფო კარზე ურიცხვი რაოდენობის ჩიტი მეფის კაპრიზს წარმოადგენდა. ჩიტების განუწყვეტელ გალობას ბედნიერება მოაქვსო, ურჩია ვილაც ბრძენმა. მეფემაც ბრძანება გასცა, სამეფოში ჩიტების ხმას ადამიანების ხმა გადაეფარა. ხმებიც დახვეწილობის მიხედვით იყო განაწილებული. სრასასახლეში ყველაზე კეთილხმოვანი ან გამორჩეული გარეგნობის ფრინველები ხვდებოდნენ, რომელთა ჰანგები ზღაპრული სამყაროს შემოხეტებას ემსგავსებოდა. მეფის საძინებელს რაც უფრო უახლოვდებოდი, მით უფრო ტკბილი გალობა გაისმოდა. ყველგან გალიები ეკიდა - დარბაზებში, დერეფნებში, სათავსო ოთახებში. გამანაწილებელი გალია, ერთგვარი კარანტინის რეჟიმი, ჩვენ სიახლოვეს მდებარეობდა. მისი გასუფთავებით არავინ იწუხებდა თავს. სასახლეში ასეთი სისტემა მოქმედებდა, ფრინველების მორიგ პარტიას მოყვანისთანავე ამ გალიაში ათავსებდნენ. იქაურობა სკინტლის სუნით ყარდა და წყალში ჩამბალი ხორბლის ნარჩენებიც ბლომად ეპნია, ერთმანეთში რომ იყო აზიზლული და გულს გირევდა. ჩიტები კი საიდან აღარ მოჰყავდათ, უმეტესად აფრიკიდან და სამხრეთ ამერიკიდან, თუმცა ადგილობრივებიც ბლომად იყვნენ. ჭრელები, ელეგანტურები, მაგრამ ველური და გამჭოლი გამოხედვით. ძალიან ლამაზები რომლებიც იყვნენ, მაშინვე მეფის პალატისკენ მიაქანებდნენ. დანარჩენები გულზე სკდებოდნენ, უპირატესობას ყოველგვარი ნიჭისა და ძალისხმევის გარეშე რომ აღწევდნენ. ყველაზე ლამაზ ფრინველებს მეფის აგენტები აღფრთოვანებულნი შეჰყურებდნენ და გაოცებას ვერ მალავდნენ. იყო ერთი რქანისკარტა, ჰიმალაის ბინადარი, თუთიყუშისგან ძლივს რომ განასხვავებდი. იყვნენ ფერადი ჩიტები ინდონეზიის კუნძულებიდან, ძირითადად ბორნეოდან. შრი-ლანკელი ფრთოსნები, ცეილონური ჩაის არომატულ ორთქლზე გაზრდილნი, მედიდურად რომ გამოიყურებოდნენ. მაგრამ ყველაზე მომხიბვლელი მაინც გვიანას ნარინჯისფერი თუთიყუში გახლდათ, სანამ პანამელი ფრინველები გამოჩნდებოდნენ. გვატემალელმა კვეზალმა ყველანი დაჩრდილა, ერთხელ კი ცისფერ ჩხიკვს მოვკარი თვალი და მივხვდი, რომ სილამაზეს საზღვარი არ ჰქონდა. ახლომდებარე გალიებში უფრო ხანგრძლივად ნიბლიებს და ბოლოქანქარებს ტოვებდნენ. მახსოვს მოწყენილი ლალღა, ნოტიო მდელოებზე მეოცნებე და სევდიანი გნოლი, ნაბლისფერი ლაქებით. განა ისინი თავიანთ სამშობლოს ნებაყოფლობით განერიდნენ? თავიდანვე იგრძნობოდა „მპფ"-ს ნევრებად რომ აქცევდნენ. გაყვანის დროს კარიბჭის კარს მძიმედ აღებდნენ. მაშინ მოვკრავდი ხოლმე თვალს უზარმაზარ სივრცეს, რომელიც სამეფოს ტერიტორიას მრავალჯერ აღემატებოდა. მთელი სამეფო მხოლოდ ერთ კონკრეტულ ადგილზე იყო განლაგებული, როგორც გარნიზონი, ან მონასტერი. დანარჩენ სივრცეს უკიდეგანობას მოეცვა.

როცა საუბარი გვეწადა, ერთმანეთს გადავძახებდით ხოლმე, ოღონდ გალობის კილოთი, ადამიანებს ჩვეულებრივი ჭიკჭიკი რომ ჰგონებოდათ. უმეტესად წარმომავლობით ვინტერესდებოდით. ერთმა შავი ხისა და სპილოს ძვლის სანაპირო ახსენა. სამშობლოს ამგვარ სახელწოდებაზე გაგვეცინა. ჩვენი ჭაობიც კი თქვენს ოაზისებზე მრავალფეროვანიაო, იუკადრისა მან. იქ, ოკეანის სანაპიროზე, ერთი ფრინველი მომწონდა, ფერადი იერით და სიცოცხლით აღსავსე. მის დანახვაზე ნერწყვებს ვყლაპავდი, აქ რომ ყოფილიყო, მაშინვე მეფის პალატაში გააქანებდნენ, შესძახა ბრაზით და მეტად ხმა აღარ გაუღია. ერთი კოლიბრი ისეთი პატარა იყო, ძლივს ვამჩნევდით. ის კი გაჰკიოდა, ანტანანარივუს სიახლოვეს ვცხოვრობდიო, ჩემი ბუდიდან გარეუბანიც კი მოჩანდაო, ნეტავ ახლა ისევ იქ ვიყო და იმ დაცარიელებულ მიწაზე ხეტიალის სისათუთეს შევიგრძნობდეო.

მამაჩემს ვკითხე, მეჩვენება თუ ყველანი გაცოფებულნი არიან-მეთქი. ქვეყანაში გაბატონებულ ცხოვრების წესს წყობილება ჰქვიაო, განმიმარტა მამაჩემმა, ჰოდა, თავიანთი ქვეყნიდან გამოსულები წყობილებიდანაც გამოვიდნენო. ბევრი ვერაფერი გავიგე მისი ნათქვამიდან. მამაჩემმა ფილოსოფიური ლაპარაკი იცოდა. უსაზღვრობა ტერიტორიაა უკიდეგანო საზღვრისთვისო. ეს ქვეყანა კი ცოდნის და უმეცრების ბრძოლაა და უმეცრების სანაქებოდ უნდა ითქვას, რომ ხშირ შემთხვევაში გამარჯვება მას რჩებაო, დაამატა ნათქვამს, მომდევნო სიტყვებით კი კიდევ უფრო მეტი თავსატეხი გამიჩინა: სისტემა, განაგრძობდა მამაჩემი, ყოველთვის ჩვენს დაჩლუნგებას ემსახურება და ეს თვისება სისხლში გაგვიჯდა. თვალებშიც ასეთი მზერა გვაქვს და ცხოვრების წესადაც გვექცა. ამ მიზნის ასრულებას ხელისშემშლელი ფაქტორიც გააჩნია და ეს ჩვენი სულია, რომელიც თავისი მნიშვნელობით სხეულს აღემატებაო. გაბრუებული ვტრიალებთ ერთ წრეზე, რადგან ახირებებზე აღმოცენებული ცხოვრება გვტანჯავსო.

- აქ გემით მოგვიყვანეს! - გულამოსკვნით გვიამბო ერთმა - გზაში ათობით ფრინველი მოისრა. დირექციის წარმომადგენლებმა დანაკარგის რაოდენობა აღნუსხეს და სამი ციფრით გამოსახული რიცხვი ჩაწერეს გრაფაში, ჩემი თვალით ვნახე, დახოცილი ფრინველები ზღვაში როგორ გადაყარეს ჭავლით და მანამდე რეცხავდნენ გემბანს, სანამ გამდინარე წყალმა გამჭვირვალე ფერი არ დაიბრუნა. ეჰ, ეს მიწა ფრინველების არ არის, ადამიანებს ეკუთვნის!

- აღნუსხვა რაში ჭირდებოდათ? - შეეკითხა ვილაც.

- საგადასახადო ხარჯების შესამცირებლად, ისედაც ზარალში ვართო. აქტი შეადგინეს, ხელმოწერებით დაადასტურეს და ბეჭდებით დაამოწმეს. მეორე დილით ზღვის აღმოსავლეთი წითლად იყო შეღებილი და ეს ამბავი ცუდად მენიშნა!

ჩემს წარმოსახვაში დედამიწა ვეება სარეცელს ჰგავდა, რომელსაც ჭრელი საბნები ეფარა მივარდნილ ადგილებში მიკერებული ზღვებით და მდინარეებად დალიანდაგებული წვრილი ძაფებით. ყოველი ახალი შეხვედრისას ვხალისობდი. კარანტინის გალიაში ფრინველებს ზოგადად დიდხანს არ აჩერებდნენ, მაგრამ სადაც შემდგომ ადგილს მიუჩენდნენ, იქ უკვე ხან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრძლივად ტოვებდნენ. ეს გალიები იერარქიის საფეხურებს ჰგავდა.

შუაღამისას სიჩუმე დგებოდა, მხოლოდ ხანდაზმული ფრინველები ხვრინავდნენ. ერთხელ კვნესაც გაისმა, ორი მათგანი ვნებას მისცემოდა, როცა სანიტარი შემოჩხლახუნდა და დერეფნის მკვეთრი განათება ჩართო. დიდ უხერხულობაში ჩავარდნენ, თურმე ყველას ეღვიძა და ყურს უგდებდნენ. მთელი საფრთოსნეთი ერთხმად ახორხოცდა. ნუთუ ამ ბგერებს იგივე ხორხები გამოსცემდნენ, რომლებსაც მშვენიერი გალობა შეეძლოთ?! სანიტარმა შუქი გამორთო, მაგრამ უხერხულობამ სიბნელეშიც გასტანა. ერთხელაც ერთ მტრედს შუაღამისას ისტერიული კრუნჩხვები დაეწყო და ისტორიული სამშობლო მოენატრა - ხეივნების მშვიდი შრიალი და ყვავილების მტვერი ოქროსფერ გუმბათებზე. დანარჩენები ოხვრას მოჰყვნენ, დიდხანს აშოშმინებდნენ დაყვავებით, მაგრამ თანაგრძნობაზე მეტად თაეიანთ დროზე ზრუნავდნენ, ძილისთვის რომ ჰქონდათ განკუთვნილი.

სუფთად კი ვიყავით, არაფერი გვეთქმოდა. ჩვენთან თუ ასე კრიალებდა ყველაფერი, მეფის პალატებში რაღა იქნებოდა!.. ჰიგიენურ საშუალებებს ისე შეგვაჩვიეს, ლამის სიშიშვლის შეგვრცხვენოდა. როცა ვგალობდით, ერთმანეთს თვალს ვარიდებდით და მზერა ნისკარტის წვერზე გადაგვქონდა. დეზინფექციის დროს სხვა გალიებში გადავყავდით, ჩვენ გალიებს კი ათასგვარი სარეცხი საშუალებებით რეცხდნენ. ეს მანამდე უნდა მოესწროთ, სანამ ზემდგომებს ეძინათ. სპეციალური დანიშნულების სითხეები პირბადეაკრულ სანიტრებს შემოჰქონდათ და ხვეტდნენ და წმენდნენ იქაურობას. ქაფის და ფხვნილის სუნი დგებოდა, რომელსაც აეროზოლების სურნელით ახშობდნენ და შემდეგ ორპირ ქარში ანიავებდნენ. ამ დროს ბევრი ფრინველი ცივდებოდა და გალობას დროებით წყვეტდა. ბოლოს უკან გვაბრუნებდნენ, ჩემთვის დილეგად ქცეულ გალიაში.

3.

ერთ დილასაც მამაჩემი მკვდარი დაგვიხვდა. იმქვეყნად წაიღო ოცნება თავისუფლებაზე. სახეზე ბედნიერი ღიმილი აღბეჭდოდა, ეტყობა ამ ქვეყანაზე ყველაფერმა მოაბეზრა თავი. ისეთი ნათელი ეფინა, თითქოს მის სიახლოვეს უხილავი ცეცხლი გუზგუზებდა. ნესტიან იატაკზე მშვიდად განისვენებდა და მაღალ ჭერს ცარიელ მზერას არ აცილებდა. პატრივი ჩირადაც არ უღირდა და ღრმად განსწავლული ფილოსოფიავით დუმდა, როგორც დამჭკნარი ბალახი სასაფლაოს ქვაზე. ამგვარი სიმძაფრე ახლდა მის უხმაურო აღსასრულს.

რომელ კილოკავზე აღარ გვისამძიმრებდნენ ფრინველები სხვადასხვა გალიებიდან, ისე კი, რა საკითხავი იყო ერთი უმნიშვნელო ჩიტის ბედი საყოველთაო გნიასსა და ორომტრიალში. დედაჩემი ისეთი მწუხარე იყო, თავისი ახირება აღარც ეხსომება-მეთქი, ვიფიქრე, მაგრამ მისი გადაწყვეტილება შეუვალი აღმოჩნდა. სწორედ იმ ხანებში დირიჟორის აგენტმა ჩამოიარა თანმხლებ პირებთან ერთად, ნიჭიერი მგალობლების აღმოჩენა რომ ევალებოდა, იმან. რეკომენდაციას ვისაც მისცემდა, წყალი არ გაუვიდოდა. ცოფიანი ვინმე კი ჩანდა, თითქოს ამ ქვეყანას კრაზანის გაჩენის დღეს მოევლინა და დიდი ძალისხმევა იქნებოდა საჭირო, მის მზერას სიკეთის და უმანკოების სხივი შესძენოდა. თუმცა დედაჩემმა მაინც შეძლო მოლაპარაკება.

- მაესტრო! - გისოსებს ეცა მწუხარე დედაჩემი - ჩემს შვილს ვერ მომიმზადებ გალობაში? ამას უმორჩილესად გთხოვს ქალი, რომელიც ამ დილას დაქვრივდა! მინდა „მპფ"-ს წევრად აქციოთ!

მწუხარებით დაუძლურებულმა ქალმა მას ძვირფასი კენჭი გადასცა, ფერადი ქვის ნატეხი, ერთადერთი ბიჟუტერია, რომელსაც მუდამ თან ატარებდა, რადგან მამაჩემს ეჩუქნა ნიშნობის დღეს.

- მაესტრო, გემუდარებით, იქნებ შეძლოთ ეს!

მაესტრომ ჯერ საჩუქარს დახედა, მერე მე შემათვალიერა კუშტად და ჩემდა მოულოდნელად თანხმობა განაცხადა. ამის შემდეგ დედაჩემი წესიერად აღარც მინახავს. წასვლისას თბილად გადამეხვია და მითხრა, აბა შენ იცი, შენ ბედს ძაღლი არ დაჰყეფს, ოღონდაც მოინდომე. ანი „მპფ"-ს გიწოდებენ! - რა ექნა, ამ თეთრ ნარწერაზე გიჟდებოდა და ერთი სული ჰქონდა, ჩემს გულზე დაბნეული ენახა - შენს გატაცებას რა თავში იხლი? მამაშენი სულ ზევით-ქვევით დაყიალობდა და ხომ ხედავ, ცოცხალიც აღარ არის! - თითქოს თვალსაჩინო მაგალითი მიჩვენა დასარწმუნებლად - შენ კი ფრაკებში გამოწყობილ ბატონებთან ერთად იგალობებ სამეფო ორკესტრში. ამის შესახებ ბევრი რამ წინასწარ გამოვიკითხე!

- ჩემდა სავალალოდ სიმღერა არასოდეს მყვარებია, დედაჩემო, ფრინველი ორი ნიჭით იშვა - ფრენის და გალობის - მე ყოველთვის პირველი მსურდა, შენ კი მეორეს მაძალებდი! - ვუპასუხე მე და მამაჩემის ნეშტს სევდიანად გადავხედე.

- ერთადერთი ეს საქმე მოგიტანს ბედნიერებას, ოდესმე მადლობას მეტყვი!

დედაჩემის სურვილი, დაძალების მიუხედავად, იმ ფოთოლივით უმანკო იყო, რომელსაც ბავშვის თითები წყვეტენ. იგი თითქოს მწარე წამალს მასმევდა და აინუნშიც არ აგდებდა უარის გამომხატველ თავის კანტურს. მე ხომ წესიერად არაფერი ვიცოდი და მხოლოდ სივრცეში ფრენა მეწადა. ასე გამოვეთხოვე მშობლებს - ცოცხალ დედას და გარდაცვლილ მამას.

დირიჟორის აგენტმა ორიოდე არია მამღერა ხმადაბლა და ბოლოს კბილებში გამოცრა - ჯანდაბას, ივარგებ! - მერე სანუკვარი იარლიყი ჩამომკიდა და მეფის პალატისკენ წამიძღვა. ეს არიები იმიტომ იყო დიდებული, რომ თავისუფლებაში დაიწერა. გზად დედაჩემს დავენახეთ, მწუხარების მიუხედავად სიხარულით რომ აღარ იყო. მან მეზობელი გალიის ორ ფამფაშა ფრთოსანს, ერთმანეთს დეიდაშვილებად რომ ერგებოდნენ, ამაყად გადახედა და აღმოხდა:

- ჩემი შვილი სასახლეში გადაჰყავთ!

- შენი შვილი საუკეთესოა, როზალია! - აფუსფუსდნენ ისინიც.

- მთელი ცხოვრება ამას ვნატრობდი და როგორც იქნა, ახდა! გულდასაწყვეტია „მპფ"-ს ნარწერას ზანზალაკები რომ არ აქვს შებმული. ჟღარუნით გაივლიდა, რომ ყველას სცოდნოდა მის შესახებ! - როცა ამ სიტყვებს წარმოთქვამდა, დედაჩემს ნეტარი მზერა ჰქონდა. ასე მექცა ახირება უზენაეს ოცნებად, რომელსაც მერე დიდი ხანი შევალიე. ვიგალობებდი რაც ძალი და ღონე მქონდა, ან სულაც ასე მოვაჩვენებდი თავს. ჩემი რა მიდიოდა. ისინი იზრუნებდნენ ჩემს სისუფთავეზე, ჩემს გამოკვებაზე და როცა ეს აღარ დამჭირდებოდა, ჩემს დამარხვაზეც.

ელექტრონული ბიბლიოთეკა



4.

უგულოდ თუ იგალობებ, მეფის ჯანმრთელობა გაუარესდება, გამაფრთხილეს მკაცრად. სარკმლიდან კი მართლაც დიდი სივრცე მოჩანდა. უდაბნოს მტვრისგან დამცავი კედლები აეგოთ. კედლებიც ჩარჩოებს ჰგავდა, რომელიც ადამიანებმა გამოიგონეს, რადგან ვერ ძლებენ საზღვრების გარეშე. ფრინველთა ორკესტრი უნიჭიერესი წევრებით იყო დაკომპლექტებული.

- გალობის ნიჭი გაჩენის დღიდან დამყვა! - ამაყად განმიცხადა ერთმა მათგანმა - ამიტომაც მოვხვდი ამ ჯგუფში!

- რა თქმა უნდა, ადამიანთა ორკესტრი გაცილებით დახვეწილია, მაგრამ მეფე ჩვენ გვანიჭებს უპირატესობას! - ამიხსნა მეორემ - თორემ რატომ შეგვყრიდნენ ერთად!

- ბუნებრივი ხმები ურჩევნია. ჩვენ როცა ვგალობთ, ნეტარად დაჰყურებს მაგიდას და სახეს ხელებში რგავს! - თქვა მესამემ.

- ვინ იცის, ტირის კიდეც, მაგრამ მხოლოდ მუშტები და გვირგვინი უჩანს. ასეთი საბრალო პიროვნება ზოგჯერ მრისხანე მონარქის შთაბეჭდილებას ტოვებს! - ხმა ამოიღო მეოთხემ.

- ჰო, მართლაც! ეგ მაგიდა ერთხელ ლამის ნამსხვრევებად აქცია. განრისხებული იყო და ზედ ისე დაარტყა მუშტი, მხოლოდ ფინჯნები გადარჩა, ჭიქები ერთიანად დაილეწა. უნდა გენახა, სანიტრები როგორი გულმოდგინებით ხვეტდნენ იქაურობას! - დაადასტურა მეხუთემ.

ჩიტები ერთმანეთს გულისპირს უშეერდნენ, წამდაუწუმ რომ გამოჩენილიყო ის აბრევიატურა, რომლითაც ყველაზე ამაყები იყვნენ. ზოგადად ლაპარაკი ეკრძალებოდათ, რადგან მათგან მსჯელობას კი არ მოითხოვდნენ, არამედ გალობას, მსჯელობისას საყვედურის კილო ხომ აუფერულებდა იმ მშვენიერ ბგერებს, რომელიც ღღურტულისას ჟღერდა. ამიტომაც იშვიათად იოხებდნენ ერთმანეთში გულს და როცა ზედამხედველი ჩამოივლიდა, ჩუმდებოდნენ, როგორც საერთო დასკვნამდე მისულები. მე გულდასმით ვუსმენდი მათ. ჯგუფის სრულუფლებიანი წევრი ვიყავი და აღარაფრის შეცვლა არ შემეძლო. ამიტომ დიდად აღარც გამომიდია თავი. თუმცა იქ ყველაფერი ელვარებდა და ქათქათებდა, რასაც მარმარილოს კიბის პრიალა ზედაპირიც ირეკლავდა, ხოლო როდესაც გარეთ ვარსკვლავები აენთებოდა, მშვენიერი მოზაიკის შემადგენელი ნაწილები ვეება ფანჯრებიდან ისე მოჩანდა, თითქოს ცელოფანში გახვეული დეტალები ყოფილიყო, ნუთუ ოდესმე ეს მარადიული ნიშნით ალბეჭდილი ფენებიც ნამსხვრევებად იქცეოდა და ყველაფერი გასრულდებოდა?!

სამეფოში ფრინველებს თავისუფლების სიმბოლოდ აღიქვამდნენ და რადგანაც სურდათ ეს სიმბოლო სულ თვალწინ ჰქონოდათ, გალიებში გვათავსებდნენ. თავისუფლებისთვის ხომ უნდა მიეჩინათ საზღვარი. საკენკი, რომელსაც ჯამებით გვაწვდიდნენ, მსუყე და შეფერადებული იყო, რათა ძღომასთან ერთად ესთეტიკური სიამოვნებაც განგვეცადა. სცენა ჩვენთვისაც თვალსაჩინო იყო. იმ ჯამბაზებს ჩვენც ვხედავდით, მეფეს რომართობდნენ, იმ წინასწარმეტყველებს ჩვენც ვუსმენდით, საერთაშორისო ვითარების პროგნოზებს რომ გამოთქვამდნენ. იმ ლამაზმანებს ჩვენც ვადევნებდით თვალს, მეფის წინაშე მგზნებარედ რომ ცეკვავდნენ, თითქოს ცეცხლის ალები ტკრციალებენო, მაგრამ გულში სიცარიელე მრჩებოდა, რომელიც ნელ-ნელა მილევდა ბოლოს.

ჩემი კარიერა მეფის გალიაა. ვზივარ პირველი პირის სიახლოვეს, ვხედავ როგორ ამთქნარებს და იზმორება და ნიშანი მეძლევა, სხვებთან ერთად ჭიკჭიკში რომ ჩავერთო. თუმცა თვალი სარკმლისკენ გამირბის, რადგანაც ცაზე ლეგა ღრუბლები მოჩანან და გულიც იქით მიმიწევს. ძილიც არ გვიწევდა დიდხანს. როგორც კი კაპიტალური რეცხვა მორჩებოდა, უხმაუროდ გადავყავდით გასუფთავებულ გალიაში და ეს მანამ უნდა მოესწროთ, სანამ მეფე გაიღვიძებდა. დი-

რიჟორს ხელები წინასწარ ჰქონდა აპყრობილი და მეფის სახეს დაძაბული მისჩერებოდა, და როგორც კი ის მთქნარებას და ზმორებას აჰყვებოდა, მაშინვე ვიწყებდით გმირული რეპერტუარის შესრულებას. საუცხოო მარშს დავცხებდით და ამას იქამდე ვაგრძელებდით, სანამ მეფეს ღიმილი არ გადაეფინებოდა სახეზე. მერე ცოტა მოვეშვებოდით. უცნაური სახე ჰქონდა მეფეს, კვერთხის მფლობელთა მკვეთრი ნაკვთებით, თუმცა მასზე მომხიბვლელ სახესაც წავწყდომივარ უბრალო ხალხში.

ერთ მნიშვნელოვან დღესასწაულზე მშვენივრად ვიგალობეთ. ისეთ ხმებს გამოვცემდით, თითქოს სიმებიან საკრავს ვაჟღერებდით. ყოველი ბგერით ცას ვუხმობდით. საუცხოოდ გვინდოდა გამოგვსვლოდა. ძალიან გამოვიდეთ თავი. მსგავსი სიგიჟის გარიჟრაჟი აღარც განმეორდებოდა. იქნებ არც იყო საჭირო. იქნებ მშვენიერებას ერთადერთობა ანიჭებს ნთელ ემხს. არ გვქონია იმის შეგრძნება, სასახლის ნიაღში ქვეშევრდომებივით რომ ვცხოვრობდით. ყველანაირი ნყენა მიგვავიწყდა. ძღვამოსილი წამები გვედგა, რომელსაც სალამოს ნიმწუხრის ხმიანობით ჩავანაცვლებდით. სადღაც გარნიზონის დოლი აზრაგუნდებოდა, მერე ყველა ხმა მინყდებოდა და არემარეს ძილი მოიცავდა. თუმცა აქა-იქ ჩიტები მაინც იღლურტულებდნენ, მაგრამ ისინი საუცხოო მელოდიას ვერ შექმნიდნენ.

დილით გუმრიელად გვასაუზმეს. მომღვარით დიდად კმაყოფილები ჩანდნენ. სურნელოვანი მვენი, რომელიც ჩამოგვისხეს, ბლანტი და არომატული აღმოჩნდა. მე კი მაინც არ მტოვებდა გულგატეხილობა. ჩემი ცხოვრება, რომლისგანაც სულ სხვა სიკეთეს ველოდი, მდიდრული სისაძაგლეებით იყო აღსავსე. არსებობს ტანჯვის შეგრძნება, რომ იქ არა ხარ, სადაც დაგადგინეს. დედაჩემი ალბათ ამაყობდა ჩემი აქ ყოფნით, თუმცა ყველაზე მეტად ვისაც ეტრაბახებოდა, შესაძლოა უკვე მიიცვალნენ კიდეც, ან სიბერისგან ისე გამოყრუვდნენ, რომ სხვა რამეც რომ გეამბნა, მაინც თავის კანტურით და გაკვირვების შორისდებულებით უპასუხებდნენ.

ჯობდა ყველაფერი თვითდინებაზე მიმეშვა. ორკესტრში იმდენი შეგვკრიბეს, რას გაიგებდნენ ერთი მათგანის ყალთაბანდობას. ამიტომაც ამბოხის ეს ფორმა მოვიფიქრე: გალობის დროს მხოლოდ პირს გავაღებდი, მთავარი იყო გარეგნულად ვმგავანებოდი მომღერალს, მოჭუტული თვალებით და ღია ნისკარტით, თითქოს რაღაც უმძიმეს ბგერას ვამუშავებდი, მუსიკის ულრმეს ფსკერზე ვიდექი და ბგერათა ნიჟარებიდან ყველაზე დიდრონი და ფაქიზი მარგალიტები ამომქონდა. ამ ქმედებით, ამდენი სიყალბით გაბზრებული ჩემ ჭეშმარიტ სახეს გამოვხატავდი, შინაგან უბედურებას იმით გადავფარავდი, რომ გარეგნულად ბედნიერი გამოვჩენილიყავი. ასეც მოვიქეცი და ეს გრძელდებოდა დიდხანს, მრავალი თვე და კვირა, მაგრამ არა სამუდამოდ.

ერთხელაც მაესტრო დაკვირვებით მომაჩერდა. ეს გამცხრილავი მზერა რამდენჯერმე განმეორდა, ბოლოს კი მკაცრად განმიცხადა თავისი უზადო ბანით, შენ ჩვენ შორის ყოფნას აღარ იმსახურებო. არასწორად შერჩეული პროფესია - სამი სიტყვით გამომიტანა განაჩენი, ხოლო თვალები ისე მომაპყრო, გაფაციცებულ მზერას რომ უწოდებენ. მერე „მპფ" იარლიყი ჩამომაგლიჯა და „ფსმ" იარლიყი ჩამომაცვა თავზე, რომელიც ისე მეჭირა, თითქოს [illegible]ბული ვიყავი. სულის სიღრმეში კი ამ[illegible] [illegible]ლოდ ის მაღელვებდა, დედაჩემს არაფერი გაეგო. ჩემი წარუმატებლობა გულს დასწყვეტდა. იმ ღამესვე გამიყვანეს გრძელი და ბნელი დერეფნით. გასაღებების ჩხარუნი რომ არა, უსათუოდ ჩამთვლემდა. აქეთ უკანასკნელად იმდენი ხნის წინ ვიყავი, ველარაფერს ვცნობდი. ბოლოს ერთი გალიის კარი ჭრიალით შეაღეს და ხელი მიბიძგეს. მერე ისე სწრაფად გაიხურეს, ლამის ფრთა მომყვა.

სიბნელეს თვალი რომ შევაჩვიე, მივხვდი, რომ ჩემსავე გალიაში ვიყავი. მერელა შევნიშნე კუთხეში მიყუჟული დედაჩემი. მიმდებარე გალიაში ხანშიშესული ფრინველი თვლემდა, ალბათ ერთმანეთთან მუსაიფში ჩაეძინათ. დილა რომ გათენდა, ახლოს მივჩოჩდი. დედაჩემი ისევ ჩემზე ლაპარაკობდა, ჩემით ამაყობდა, ჩემი წარმატებებით იყო აღსავსე.

- როზალია! რამდენი ხანია შვილი არ გინახავს?

- სად ცალია ჩემ სანახავად, იმდენი საქმე ექნება. მეფის პირადი ფრინველობა არავის ეგონოს უბრალო წოდება! ისე, ძალიან კი მენატრება, ერთი თვალი რომ შემაელუბინა, მაგრამ მე ხომ ველარაფერს ვხედავ. დღის სინათლეს კაშკაშა სფეროდ აღვიქვამ, ხოლო არსებებს ჩავლილ ჩრდილებად!

გული ამომიჯდა. აქვე იყო, ხელის განვდენაზე, მაგრამ არ მივკარებივარ. მხოლოდ შორიდან ვუმზერდი, ოდნავ ფრთაზეც შევეხე, მაგრამ შეიშმუშნა და განვერიდე. ჩემი ამბავი რაც უფრო გვიან გამჟღავდებოდა, მერჩივნა. გულის ტკენას ვერიდებოდი. ბუმბული გაუხეშებოდა დედას. სადღა იგრძნობოდა ძველი სათნოება! გალიაში ხალვათობა იყო. ირგვლივ ხმადაბლა მოსაუბრე ახალი სახეები ირეოდნენ. მხოლოდ ღამისკენ მომერია ძილი. დილით კი მღელვარე შეძახილი ჩამესმა:

- ქალბატონი მიიცვალა!

- როზალია! - ქვითინებდა გალიის მეზობელი.

ფეხზე წამოვიჭრი და დედაჩემის ღია თვალებს შევეფეთე, ჩემ მილმა რომ გაჰყურებდა ყბადაღებულ სიცარიელეს. მთელი არსებით შევიგრძენი მისი სიყვარული და ცრემლები წამომივიდა. ჩემი ყველაზე უმწეო და გულითადი ქომაგი, როგორღაც რომ გაესრულებინა თავისი ცხოვრება უსაშველო დარდსა და ფიქრებში, მდუმარედ განისვენებდა. მე ვტიროდი, ხოლო შორს მოფუსფუსე ფრთოსნები მხრებს იჩეჩდნენ და ვერ ხვდებოდნენ, რატომ განვიცდიდი ესოდენ მწარედ უცნობი ქალბატონის გარდაცვალებას. მერე მეზობელი გალიის ქალბატონი გამომელაპარაკა, დაინტერესდა, ვინ ვიყავი, ასეთი მონიწებით რომ ვიდექი ნეშტის წინაშე. გარდაცვლილის შვილი ვარ მეთქი, გამოვუტყდი.

- მე ლიდა მქვია. მე და როზალია ბოლო ხანებში დიდი მეგობრები შევიქენით. სათნო ქალბატონი გახლდათ. მაგრამ თქვენ აქ საიდან აღმოჩნდით? თქვენ ხომ მეფესთან მსახურობთ!

- წამოვედი, გული ვერაფრით დავუდე!

- აი, თურმე რას გულისხმობდა დედათქვენი თავის უკანასკნელ სიტყვებში!

ცნობისმოყვარედ მივაჩერდი.

- ასე თქვა, დავლუპე ჩემი შვილი, ჩემი ახირებას გამო მთელ ცხოვრებას გულსგარეთ ატარებსო!

ამის გაგონებაზე ქვითინი ამივარდა. არ ვიცი, ალბათ ასე ერქვა ჩემს ემოციას ადამიანთა ენაზეც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5.

- დღეს უკვე მეჩვიდმეტეა! - ჩაილაპარაკა სანიტარმა. ამ სიტყვებს რომ წარმოთქვამდა, ვერცხლისფერი კბილები უელავდა. გალიებს შორის ბურტყუნით დადიოდა და გასაღებების მთელი ასხმა დაჰქონდა. ხან ერთს მოარგებდა, ხან მეორეს. ვერაფრით იმახსოვრებდა, რომელი რომლის იყო. მერე დედაჩემის სხეულს ხელი დაავლო. სანამ ზურგს შეგვაქცევდა, ნამით ყურადღება მოადუნა. გალიის კარი ჯერ კიდევ ნახევრად ღია იყო. ამით ვისარგებლე და ღრიჭოდან გარეთ გავიჭერი. ჯერ ჭერთან შევიფრთხიალე, რომელიც ძალზე მაღალი მეჩვენა. ძირს რომ ჩავიხედე, ლამის თავბრუ დამეხვა. სანიტარს ჩემთვის არ ეცალა, მეორე სანიტარს უხმობდა, მასავით მოუხეშავს და ზორბას. ეს წუთია, ფრინველი გამექცაო, შესჩივლა. თან ხელებს ისე იქნევდა, თითქოს კრაზანებს იგერიებსო.

- ნუ ნაღვლობ, ვერავინ შენიშნავს!

- მომხსნიან უთუოდ, უსამსახუროდ დავრჩები!

- რას გაიგებენ? მე არაფერს ვიტყვი და ფრინველებმა კი რამდენიც გინდა იგნიასონ!

სანამ ისინი ბჭობდნენ, ფრთების ფართხუნით დერეფანს გავუყევი. სანიტრის მოლოდინში კარიბჭე გაღებული დაეტოვებინათ და ზედ გამოსასვლელში ნაგვის ჩასაყრელი მოზრდილი ურნები ელაგა. გალავნის ერთ-ერთ ქონგურზე შემოვჯექი და მათ გამოსვლას დაველოდე. სანიტარი მალე გამოჩნდა ცელოფნის ლურჯი ტომრით ხელში და მზიდავს გადასცა. მკვდარი ჩიტები ეტყობა შიგნით ეყარა. ნაცრისფერ სამოსში გამოწყობილმა მზიდავმა ურიკა გამოაგორა ზედ დაზვინული ნაგვით. ლურჯი ტომარა ზემოდან დაადო და ჯაყჯაყით შეუყენა გზას. მეც მორიახლო მივყევი, თვალთახედვიდან რომ არ დამკარგვოდა. საკმაო მანძილის გავლის შემდეგ ფიორდთან სვლა შეანელა. ჩვენ ზემოთ წეროების სამკუთხედი ჩანდა, თითქოს შუბის ტყორცნის შენელებული კადრი ყოფილიყოს. დამრეცი კლდის ქვეშ ზღვა იფრქვეოდა და შვერილებს მარგალიტის ქაფად ეხლებოდა. ძირს ვიწრო, გადახურული თაღი იქმნებოდა. სწორედ მის თავზე შეჩერდა და საზიდარი გვერდზე გადახარა. ნაგავი ზღვაში გადაიპნა. მერე ლურჯი ტომარა გახსნა და მკვდარი ფრინველები ფერდობზე გადმობერტყა, ზოგიერთი მათგანი ნაპირზე მიმოყრილ რიყის ქვებს დაენარცხა. კიდესთან შევიცადე და როგორც კი ფრინველები წყალში აღმოჩნდნენ, დაშვება დავიწყე. თოლიებმა სასტიკი ყამყამი ატეხეს და კლდიდან ღრუბლის ქულებივით წამოიშალნენ. გრუნტიც კი ცახცახებდა და მთელი ეს აპოკალიფსური ფიორდი, ფრინველთა ნამდვილ სასაკლაოდ იქცა, სადაც ჯალათებად ისევ ფრინველები გვევლინებოდნენ. ისინი გამყივანი ჭყივილით დაქროდნენ ზღვის თავზე და მკვდარ ფრინველებს ზვირთებში ყრიდნენ. ვერცხლისფერი თევზები გუნდებად ესეოდნენ და თოლიები ბასრი ნისკარტებით აცხრებოდნენ. აი, ეს ბედი ელოდა ბოლოს სამეფოს ყველა ჩიტს, ხოლო როცა ეს მოხდებოდა, მნიშვნელობა აღარ ექნებოდა „ფსმ" წარწერა ექნებოდათ მათ თუ „მპფ". ერთ მათგანში ფასკუნჯივით ლამაზი ფრინველი შევიცანი, მოსვლისთანავე რომ გააქანეს მეფის დიდებულ პალატაში. ზღვის აქაფებული ზედაპირი ერთგან მკვდარი ფრინველებით დაიფარა. მივუახლოვდი და თითოეული მათგანის თვალიერება ვიწყე. უცებ დედაჩემი შევნიშნე. გარინდებული და მოვალეობაალსრულებული ირწეოდა წყალზე. მისკენ გავქანდი, ნისკარტი ჩავავლე და ნაპირისკენ გამოვქაჩე. მისი ბაგე მომღიმარი მეჩვენა, თითქოს ჩემს საქციელმა აღტაცებაში მოიყვანაო. ჰაერში აზიდვის ძალა აღარ მქონდა და ცურვით განვაგრძობდი გზას, მოახლოებული თოლიების ყამყამმა ყურთასმენა რომ დამიხშო. რა თავში იხლიდნენ ჩემ სათუთ გრძნობებს, სუფრას ვის ააყირავებინებდნენ? ჩემთვის უსათნოესი დედა, მათთვის მხოლოდ თევზების სატყუარა იყო და მეტი არაფერი. ნისკარტები ბასრი ხმლებივით უელავდათ. მალე ყველაფერს ნასუფრალად და ნაჯიჯგნ ნამთებად აქცევდნენ. საკუთარ ანარეკლებს ამაყად დაჰფარფატებდნენ, თითქოს ერთი უმნიშვნელო მოძრაობაც არ უნდოდათ გამოჰპარვოდათ. მერე ჩემკენ გამოექანნენ. სახეს ფრთებით ვიმალავდი, თვალები რომ არ ამოეკორტნათ. ერთმა მათგანმა მხარში ნისკარტი გამკრა, სისხლი თქრიალით წამომომივიდა და მთელ სხეულში ტკივილმა დამიარა. თუმცა დიდხანს აღარ მომცდარან, მალევე შემეშვნენ. მკვდარ ფრინველებზე მეტი რა იყო, ცოცხლის მოკვლაზე რომ არ ენვალათ. ეტყობა, გონება დავკარგე. თვალი რომ ავახილე, რიყის ქვებზე ვიწექი. მრისხანე შეძახილები მიმწყდარიყო. აღარც თევზები ჩანდნენ, თოლიებიც კლდეზე გამწკრივებულიყვნენ, თითქოს ჯოჯოხეთური ჭიდილი ღირსეულად გაასრულესო და დაღლილები ყველანი მშვიდად ესხდნენ კალთაში მარადიულობას შეგუებულ სამყაროს. გული ამომუგლიჯა, რადგან ველარსად ვხედავდი ჩემთვის ყველაზე ახლობელ ადამიანს.

- დედაჩემო! - წარმოვთქვი ზღვის მიმართულებით და სიტყვები ქარში ჩაიკარგნენ - შემინდე, ვერაფრის გაკეთება რომ ვერ შევძელი შენთვის. არ იფიქრო, რომ რაიმე წყენა ჩამრჩა გულში. შენ ხომ მხოლოდ კარგი გინდოდა ჩემთვის, ეს მე ვერ ვივარგე და ვერ გაგიმართლე იმედები. საკუთარი უმაქნისობის ამარა დარჩენილი, მხოლოდ თქვენი შვილობით ვარ ამაყი. არა მგონია, ამ ქვეყანას მეც დიდხანს შევრჩე. იქნებ ერთმანეთი ველარასოდეს ვნახოთ, მაგრამ უცხონი არასოდეს გავხდებით ერთმანეთისთვის. მამაჩემსაც ეს ბედი ეწია ალბათ. ახლა ორივენი ერთად იქნებით! მე თქვენი უსაზღვროდ მადლიერი ვარ და ვნანობ, ეს სიცოცხლეში რომ არ გითხარით! - მეტი აღარაფერი მითქვამს, რადგან ცრემლებს ველარ ვიკავებდი.

დედამიწა მწუხრში ეხვეოდა. მას თავისი მასშტაბის შესაფერი საქვეყნო საზრუნავი გასჩენოდა, რომლის განრიგიც, ისევე, როგორც დანარჩენ დღეებში, უცვლელი რჩებოდა. თავად ბუნება იქცეოდა ასე და საზრუნავის გარეშე ვის გააჩერებდნენ? ყველა თავის წილ სავალ გზას უნდა დასდგომოდა, პირველი გზები კი ბილიკები იყო. ზღვა უშფოთველად მიაჩხრიალებდა ნაპირის კენჭებს, თითქოს მონეტებით სავსე ქისა ყოფილიყოს. ცაზე ალმასის ნამცეცებს გაჰქონდათ ბრჭყვიალი. ძლივსღა მოჩანდა ვეება ზღვის კონტურები, რომელსაც კაშკაშა ვარსკვლავები გვირგვინად დასგომოდნენ. ზღვა მოწყალების ხელისგულს ჰგავდა, რომელზეც თითქოს სადაცაა ვარსკვლავები მონეტებივით ჩამოიპნევაო. ციოდა, მაგრამ თავისუფლების შეგრძნება არ მტოვებდა. ეს უკვე სხვა ცხოვრება იყო. მალე ვარსკვლავებმა ტაატით იწყეს ჩამოდნობა და ოქროსფერი თოვლივით ზღაზვნით მი-

ეროვნული

მოილვარნენ მთელ მინაზე. უცნაური შერწყმა ხდებოდა. ეს გასაყარი კი არ იყო, არამედ ჩანაცვლება. დღის სინათლემ მოიცვა შემოგარენი და ომახიანი ხმით მაუწყა, რომ ჯერ კიდევ დიდხანს უნდა მეცხოვრა დედამიწაზე.

6.

ფერდობზე ავუყევი და როცა ფიორდის თავზე აღმოვჩნდი, მოელვარე მზერა ვიგრძენი. არ შემშინებია. მომცრო გამოქვაბულის ზღურბლთან ბებერი თოლია იდგა. არავითარი მტაცებლური აღარ იგრძნობდა მასში, მხოლოდ გარდუვალ სიკვდილს ჩაეფიქრებინა.

- შენი ვინ იყო? - მკითხა უსიცოცხლო ხმით, ეტყობა, მთელი წინა დღის განმავლობაში მაკვირდებოდა.

- დედა.

- ასეც ვიფიქრე. ამქვეყნიური მწუხარების მიზეზი ის არის, რომ ყველაფერს დასასრული აქვს! საკუთარ ჩრდილში ვერ იწებივრებ, ხოლო თავისუფლებისთვის ყოველ წამს საზღაური უნდა გაიღო!

მერე მთხოვა, ჩემზე მომეყოლა. ამბავი ამ სიტყვებით დავასრულე:

- მივდევდი საქმეს, რომლისაც ბევრი არაფერი გამეგებოდა!

- ჰო, მესმის, იმ საქმეს უნდა ემსახურო, რომლისაც გჯერა! მეც მსმენია მეფის კაპრიზის შესახებ! თუმცა თოლიებს არ იღებენ, ზორბა და უვარგის ფრინველებად მიიჩნევენ!

- იქ ათასგვარ ჩიტს წავეწყდომივარ, მაგრამ თოლია არ შემხვედრია, არც ბეღურა და მერცხალი. სხვანაირი შერჩევა ხდება.

ბებერი თოლია ჩაფიქრდა. მე ისევ რამე ჭკვიანურის თქმას ველოდი მისგან, როცა მან მხოლოდ ერთი სიტყვა ამოღერღა:

- მაშერ?

- მაშვი მინახავს! მაგრამ უმეტესად მაინც ეგზოტიკით ინტერესდებიან!

- მიკვირს, ამდენი ჩიტი რომ კვდება სამეფოში, სადაც ფრინველები დიდ პატივში ჰყავთ. - ჩაიჩიფჩიფა მან. - ცხოვრება წიგნია, რომელიც ყოველ დღე უნდა გადაფურცლო და ერთხელაც უკანასკნელ გვერდს მიადგები! ყველანი, ვინც ამ მინაზე დავიბადეთ, ოდესმე ვიტყვით, რომ აქ ნამყოფი ვართ. სიცოცხლეშივე უნდა იქცე არარად, სიკვდილის მერე არარამ თავისად რომ მიგიჩნიოს! იმდენი ვიტიროთ, რამდენსაც ჩვენი ცრემლი გასწვდება. ისევე, როგორც ყველა, ფრინველებიც საზოგადოების მძლავრი მექანიზმის ჭანჭიკებად ქცეულან და მხოლოდ იმას ემსახურებიან, საყოველთაო ერთფეროვნებას მეტი ძლევამოსილება შესძინონ. რატომ აკეთებენ ამას? ნუთუ სიკვდილის შიშით? სიკვდილი ხომ გარდუვალია, ეს იგივეა, გეშინოდეს მზის ჩასვლის, ან ამინდის ცვლილების, მაგრამ განა ყოველი საღამო არ გვართმევს განვლილ დღეს? განა გუშინდელი დღე ჩვენ გვეკუთვნის?

მე ვუსმენდი და ზღვას გავცქეროდი, რომელიც მისგან განსხვავებით ერთსა და იმავეს ჩამჩიჩინებდა.

-ახლა რას აპირებ? - მკითხა ბოლოს.

- იქნებ ჩემს მშობლიურ მხარეს მივაგნო, აქაურობა, როგორც ვხედავ, თოლიებს ეკუთვნის! ხომ ნახე, როგორც მომექცნენ!

- მშობლიური მხარე? სადღაა ეგ დიდებული ცნება? აი ჩვენი ერთადერთი სამშობლო! - თქვა მოხუცმა თოლიამ და მარჯვენა ფრთა ზეცისკენ [illegible]

- მტერი იმდენად საშიში არ არის, რამდენადაც მოყვასი, რადგან მტერი იცი, რომ გიმტრობს და მოერიდები, მაგრამ მოყვასს სად წაუხვალ? ჩვენს ძვლებსაც იგივე შემადგენლობა აქვთ, რაც შაქარს და მარილს. ამ სამ ელემენტს ეყრდნობა სიცოცხლე. სამივე სპეტაკი ფხვნილივით თეთრია და მოელვარე და დღის შუქზეც კი რენტგენის გამოსხივებასავით გჭრის თვალებს. ღრუბლის ქულებს ჰგავს, კარგ ამინდში ტაატით რომ დაცურავენ ცის კაბადონზე და ელებზე შეტოვებული ფაფუკი მატყლივით ძვირფასი ნათება აქვთ. თეთრზე მნიშვნელოვანი ფერი არ მოგონილა. მე დიდხანს ველარ გავატან და მირჩევნია თევზების ლუკმად ვიქცე, ვიდრე ამ უტყვ ქვებზე გავიხრწნა. ჩემს ძვლებს და ხრტილებს ფსკერზე მიმოეფენ, ნიჟარების ყრუ ქვეყანაში... შენ კი, შეგიძლია ამ გამოქვაბულში განაგრძო ცხოვრება. მართალია სიცივეს ვერაფერს მოუხერხებ, მაგრამ თავზე მაინც არ დაგაწვიმს. არც ორპირი ქარი შეგაწუხებს. თუ წინააღმდეგი არ იქნები, შენთან ერთად გავატარებ ჩემს უკანასკნელ დღეებს! - მერე შეიშმუშნა და კედელს ზურგით გაეხახუნა - ცხოვრების წესია, ზურგი ყოველთვის იმ ადგილას გექავება, სადაც ვერ წვდები! ერთი საიდუმლო მაინც ამოვხსენი: სიკვდილის წინ ყოველი არსება რაღაც უცნაურ ბედნიერებას გრძნობს, რადგანაც აქ სიცოცხლის პერსპექტივას ველარ ხედავს, სიკვდილი კი ახალ შესაძლებლობებს სთავაზობს!

ბებერი თოლია ორ დღეში გარდაიცვალა. ისე მშვიდად გარდაიცვალა, თითქოს კარგა ხნის წინ გარდაცვლილი ყოფილიყოს. ანდერძის თანახმად ზღვას მივაბარე. მისი სხეული დგაფუნით ჩაეშვა ჭავლებში. დაე, აღსრულებულიყო უკანასკნელი ნება. ახალგაზრდობა ხომ გმირობის ჩადენის დროა, ხოლო სიბერე - დაჯილდოების. მთავარ საიდუმლომდე სიცოცხლეში მაინც ვერ გავაღწევთ, გავიფიქრე მე და ეჭვებმა შემიპყრო. ხანგრძლივი ცხოვრება ალბათ იმისთვის გვეძლევა, რომ სამყაროს შემეცნება მოვასწროთ! - მერე იქაურობას ზურგი ვაქციე. ერთი ხანობა მეზობელ დასახლებას მივაკითხავდი ხოლმე, სადაც ათასგვარ ხარახურას ყიდდნენ. ყვავები ხარბად შესეოდნენ კაჭლის ვეება ხეებს. ნაყოფი ასფალტზე ეხეთქებოდა და იმსხვრეოდა. ყვავებს იმის შიში არ ჰქონდათ, რომ მათ ოდესმე სამეფო ორკესტრში მიიწვევდნენ. სანაპიროზე ზოგან ცეცხლი ენთო და წვიმაში სველი ფერფლი შავ სალებავად ქცეულიყო. სანიაღვრე არხები რუხ ჭავლებს მიაშხეფებდა. რაც კალაპოტში ველარ ეტეოდა, ზევით ილვრებოდა და შავ ასფალტს კრიალა ხალიჩებივით ეფინებოდა. ბუმბული მისველდებოდა და იძულებული ვიყავი, დილამდე იქ დარჩენაზე მეზრუნა. მდინარის თავზე სივრცე ღრუბლის რუხი ნაფლეთებით ივსებოდა. მოტორტმანე ნავები ჭავლების დგაფუნით და ნიჩბების ჭრიალით შორდებოდნენ ნაპირს, სადაც რამდენიმე ადგილას ცეცხლი ისევ ტკრციალებდა. ადამიანები ხმაურობდნენ. სადღაც შორს, რეპროდუქტორები ყურთასმენას ახშობდნენ და ვეება ხეებიც ისე გალუმპულიყვნენ, წყალმცენარეები გეგონებოდა.

ადგილობრივმა ფრინველებმა თვალში ამომიღეს, ძირს კატები დაძრწოდნენ აპრეხილი კუდებით და ერთი სული ჰქონდათ, მოვეხელთებინე. მერე შინ ვბრუნდებოდი, გამოქვაბულში, და ვცდილობდი, გარეთ ხშირად არ გავსულიყავი. მხოლოდ იმისთვის ვიძინებდი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ძალა მომეკრიბა და მხოლოდ იმისთვის ვიღვიძებდი, სიკვდილს გავმკლავებოდი. მთავარი იყო, ვერაგ ფრინველებს არ ჩავვარდნოდი ხელში. რა გენიალურ დასკვნამდეც არ უნდა მივსულიყავი, ეს იმას არ ნიშნავდა, რომ სწორ პასუხს მივაგენი. როცა შიმშილით თითქმის უკვე სული მხდებოდა, იმასლა ვფიქრობდი, სხვისი ლუკმა მაინც არ გავმხდარიყავი. თავისუფლებასაც ნიჭი სდომებია, მე კი ისე უუხეიროდ ვიყენებდი მას, როგორც სამეფოში „მპფ"-ს წევრობას. მოულოდნელად საზიდრის ჭრიალი გავიგონე. ისევ ნაგავი და მკვდარი ჩიტები მოჰქონდათ. სამეფოში იმდენი ჩიტი კვდებოდა, სპეციალური შტატიც კი დაუშვეს მათ გადასაყრელად. შორიდან ზვინივით ჩანდა ნაგავსაყრელი. მზიდავმა კბოდეზე საზიდარი ისე ოსტატურად გადააპირქვავა, გამიკვირდა, რომ არ გადავარდა. მკვდარ ფრინველებში ლიდა შევნიშნე, დედაჩემის გულითადი მეგობარი და ერთიც „მპფ"-ათავმომწონე წარმომადგენელი სამეფო ორკესტრიდან. სოციალური სტატუსის მიუხედავად, გვერდიგვერდ განისვენებდნენ. სევდიანად დავცქეროდი მათ სხეულებს, როცა უცებ მზიდავმა შემნიშნა და ხელი ჩამავლო. გულზე გაცვეთილი იარლიყი მაშინვე მოხვდა თვალში.

- აქ საიდან გაჩნდი? - ჩაილაპარაკა თავისთვის.

მობუზული შევყურებდი, გათავისუფლება არც მიცდია. დაე, მათი ხელით აღსრულებულიყო განაჩენი. იმ გზას დავადექით, რომლის გავლაც ყოველ ჩიტს მოუწევდა ოდესმე, ოღონდაც საწინააღმდეგო მიმართულებით. გზის დიდი ნაწილი ქვაფენილით მოეკირწყლათ. როგორც არ უნდა მეცხოვრა, ფინალი მაინც ეს იქნებოდა - მლაშე ტალღების მსხვრევის ხმა რიყის ვეება ქვებზე, თევზებისგან დაჯიჯგვნა და დაქუცმაცება და თოლიების ბასრი, გამყივანი ჭყივილი, თითქოს ჯოჯოხეთის ზღურბლთან მეგებებოდნენ. ისედაც გადაჩვეული ვიყავი ზანზალაკების ჟღარუნით ჩავლას და ლამის ჩამთვლიმა. შორიდან გალავანი დავინახე, სამეფოს გარს რომ ერტყა. მხოლოდ ერთ მხარეს მოჩანდა ჭიშკარი, სადაც ორიოდე ჯარისკაცი დააბოტებდა უგულისყუროდ. მზიდავმა სწორედ იმ ბებერ სანიტარს გადამცა, ოდესღაც ვისაც გამოვექეცი. ხელზე ხაოიანი ხელთათმანი ეცვა, მეტი მოჭიდება რომ ჰქონოდა. თითები „მზრუნველად" ჩამავლო, ხელიდან რომ არ დავსხლტომოდი. ისე მიჭერდა, ტკივილისგან ფრთები და ნისკარტი მეღრიცებოდა. უცებ მთელი არსებით დავიწყე გალობა და ვეცადე, კარგად გამომსვლოდა.

- შთამბეჭდავია! მაესტროს ვუჩვენებ, ეგებ ორივენი ბედს ვეწიოთ! მერე კი ისეთი საამო კითხვა დამისვა, ნამდვილად გულთმისანი იქნებოდა - გეშიება ალბათ!

ჰოდა, ახლა აქ ვარ და რკინის ჯამში ჩაყრილ უბრალო ხორბალს დიდი სიამოვნებით შევექცევი. ზედმიწევნით ვიცი, როგორ უნდა გამეგრძელებინა ცხოვრება გულმკვდარს იქ, სადაც უკეთესი პირობების შესაქმნელად ფრინველებისგან გალობას მოითხოვდნენ. ჩემ გასწვრივ გალიების მწკრივი მოჩანდა. ისევ ძველებურად იყო ყველაფერი. ვინც გარეგნობით არ გამოირჩეოდა, გალობაში ვარჯიშობდნენ, ოღონდაც კი ელიტაში მოხვედრილიყვნენ. მათთვის იქ უფრო გემრიელი პური ცხვებოდა და სანახაობაც შთამბეჭდავი იდგმებოდა, მაგრამ ყოფიერების მიმართ ამგვარი მიდგომა ჩემთვის გუშინდელ დღესავით ნათელი, მიუღებელი და უმნიშვნელო იყო. ცხოვრების არანაირ უცნაურ გამოვლინებებზე პროტესტი აღარ გამაჩნდა. ეს ხომ იგივე იქნებოდა, ზღვას მიედავო, შენი ტალღები ზედმეტად ხმაურობენო.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ცირა ყურაშვილი

# არჩივი



მოიკითხა ბებიამ თავისი არჩივი. საწოლის გვერდით, იატაკზე გაწერთხა თეთრი, მსხვილი და ტუკებივით სწორი ფეხები. ასე ჩვეოდა, იატაკზე არჩევდა დაბუდებას, თუკი გარეთ ცხელოდა.

გაფითქინებულ და მოკრძალების აღმძვრელ, კოხტად გადაგებულ საწოლს, რომლის ნიკელის თავზე იატაკის რყევისას ფართო, შავი, თეთრყვავილებიანი სრიალა კაბები ცოცავდა ხოლმე, არც კი შეეხებოდა, საწოლზე არ ჩამოჯდებოდა, ბავშვებსაც კი გვიკრძალავდა შეხებას.

დედა ბრინჯის ფაფას ამზადებდა, რძიანს, ტკბილს. მაშინ ხომ ბრინჯი სულ სხვაგვარი იყო და გემოც სხვანაირი ჰქონდა. ხარშვისას მეტად ფართოვდებოდა და თუ ვინმეზე იტყოდნენ - "გადაბრინჯული", უნდა მიმხვდარიყავი - მის ამოფუებულ სხეულზე იყო ლაპარაკი.

რძიანი ფაფა თითქმის მზად იყო და ასეც ვახარე ბებიას, იგი ბრინჯით მოპირთავებული დიდი და გულღრმა თეფშით უნდა მიმერთმია.

შეისხით ტრ-ში! - ისეთი მოსხეპით მითხრა ბებიამ, თითქოს კარი უკანმოუხედავად გამოაქანა და ზედ სახეზე მომაჯახა. მას ხომ ხორციანი კერძები მომეტებულად უყვარდა და დანარჩენს მხოლოდ ჩალა-ბულას ეძახდა...

შევცბი, ასე ახლადგამოკვირტული ნერგი თუ შეცბება, მოულოდნელად ყინვა-თოში რომ დაარტყამს.

თურმე ერთ სიტყვას შეუძლია მოგკლას, ან დაგარჩინოს, წარგწყმიდოს ან გაცხოვნოს.

ყველა ბავშვი განიცდის მშობლის ხელმოკლეობას, სიღარიბე გადიდებული თვალებით უცქერს, თაობათა შორის მისით მოვარდნილ ამღვრეულ მდინარეს, ხიდების ჩაშლას. მე კი ხელმოკლეობაზე მეტად ბებიას ნაიბარაზე წამოსროლილი ამგვარი სიტყვები მაშფოთებდა, რადგან ამ სიუხეშეს ჰქონდა ძალა ჩაექრო ირგვლივ ყოველგვარი ნათელი, დაემახინჯებინა ბებიას ედელვაისივით მშვენიერი სახეც - ახალგაზრდობაში თითებზე გადაკვანტილებული ძაფებით ბუსუსებისგან არაერთგზის "დახვეწილი" და ის ღიმილიც, სახიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირმცინარე ყვავილივით რომ გამოუკრთოდა.

ყური არ უნდა შემეგუებინა ამ სიტყვებისთვის, უნდა ამესხლიტა, მხოლოდ კარგი შემეთვისებინა, რომ ბებიას ნათლისთვის ჩრდილი არ მიმეყენებინა. მან ხომ მთელი ბავშვობა ნახირში, ტყისპირებზე ძროხების დევნაში, დაუდევარი, ტლუ გოგო-ბიჭების გვერდით გაატარა.

თუმც ბებიას თავისახლი ჩვენგან იქვე, კარიყურში, ათიოდე კილომეტრის მოშორებით იყო, ის მაინც გამუდმებით ენატრებოდა. სული სულ იქით, თავისი ახლობლებისკენ მიუწევდა.

იმ სოფლამდე ნახევარი გზა ავტობუსით, ნახევარი ფეხით შეგვეძლო გაგვევლო.

ბებია თავისახლს ნასვლამდე ტანს დაიბანდა, დაფორაჯებულ, სავსე სხეულს ღრუბლის ნაჭრით ბავშვებს კარგად გაგვახეხინებდა, მერე თავის რომელიმე შაეფონიან, დიდ ბარდლალაყვავილებიან კაბას ჩაიცვამდა და უკან გაგვიდევნებდა. სადგურამდე გზას ბებია თითქმის შუა ქუჩაში გაივლიდა. ჩვენ ქუჩის კიდისკენ მივექაჩებოდით, ის კი თითქოს გზა ვერ იტევდა, ამაყად მაინც შუაგულისკენ მიიწევდა, რადგან დარწმუნებული იყო, რომ აქა-იქ კანტიკუნტად მიმავალ ავტომობილთა მძღოლები გზას თვითონ დაუთმობდნენ და ასეც ხდებოდა.

თავისახლს მისვლამდე, ის ავტობუსში მგზავრებს გულითადად გამოელაპარაკებოდა, ამ საუბარში თავისახლისადმი მთელ თავის მონატრებას და სინაზეს დააფრქვევდა, ილიმებოდა - უხდებოდა.

იმ დროს დაუპატიჟებელი, გაუფრთხილებელი მისვლა-მოსვლა ჩვეულებრივი ამბავი, მოთხოვნილებაც კი იყო.

ბებიას თავისახლს მივყავდით, რომ თავისი ძმისშვილიშვილები - ორი გოგონა და ერთი ბიჭი გაეცნო, რათა ერთმანეთთან გვეახლობლა და თუკი მომავალში ცხოვრების გზა ისევ გადაგვყრიდა, არ დაგვვიწყებოდა, რომ ერთი სისხლის ხალხი ვიყავით..

ტყისპირას მდგარ სახლში იესე ბაბუა და ლიდა ბებია ცხოვრობდნენ. ცისფერთვალება, ლამაზი ბიჭი იესე ბაბუას მოსახელე იყო და სოსოია ერქვა. სახლი აგურის სვეტებზე იდგა, სახლქვეშ მიწა ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ ბუნებრივად დაფერდებულიყო. აქ, სახლქვეშ, ამოუშენებელ და ოთხივ კუთხით ღია ადგილას ბავშვიც კი ვერ გაიმართებოდა, თუმც წელში ისედაც მოხრილ-მოკუკულ ლიდა ბებიას ამ მომინწულზე ხვინჭა უჯანგარას ცოცხით ისე გადაეხვეტა, მიწის ზედაპირი ისე გადაესუფთავებინა, ქინძისთავი რომ დაგვარდნოდა, იმასაც კი იოლად იპოვიდი.

სახლსგვერდით ბოსტანში ზაფრანა ღვიოდა მზისგულზე, მწვანე საშკვლავი, მუქი იისფერი რეჰანიც ადენდა სურნელს და როგორც დახუჭობანას მოთამაშე ბალღები, აქა-იქ დარჭობილ სარებთან მიკუნჭული ჩანდნენ მწვანეჭიპიანი კვერცხისოდენა წითელი პომიდვრები.

ეს პაწია ბოსტანი ისეთ სურნელს აზავებდა ჰაერში, ისე განუყოფელს, მთლიანს და დაუშრეტელს ხდიდა ადამიანის სიცოცხლეს ამ გულტკბილ მზეში, ვერაფრით იფიქრებდი, თუ ამ ქვეყნად მხოლოდ დროებით შემოხეტებული სტუმარი იყავი.

ბოსტანს იქით, კარგა მოშორებით, წვრილი ბილიკის ბოლოში, საქონლის საბმულის გვერდზე ხის ფიცრებით შემოკავებულ ადგილას ნაკელი მოეზვინათ. იმის იქით კი ხის საფეხურებიანი ფეხსადგილი იდგა კედელზე მიჭედებულ ლურსმნის თავზე წამოცმული დაჭრილი გაზეთ "სოფლის ცხოვრების" ფურცლებით.

სახლნინ გვერდნითელი მსხალი - დაბალი, კაკვით იოლად მოსაწევი ტოტებით. ბლომად ჩამოცვენილ მსხალს ფუტკარი ესეოდა - ჩვენი ტერფების მტერი.

გადაღმა ტყეში კი, მუხის ფოთლებქვეშ, სველ ნეშოში პაწია ნალმებივით ფეხებთან გვიფეთქდებოდა: სოკო მტრედუა, ისეთი ფერის, განთიადისას ბაცად, მტრედისფრად რომ იცის ამონთება, ღვინისფერი ღვინუა, ბუკივით ძირბუკა, ნუკრის დორბლიანი დრუნჩივით ხაოიანი ირმიტუჩა, მეფესავით ერთიანად ჩამრგვალებული და იშვიათი ნიყვი-სოკოწითელი და მეფის ასულივით, ბალერინასავით ცალ ფეხზე შემდგარი, ნვრილად დაპლისულქაბიანი, თავზე გახეხილ შოკოლადიეთ ნაფერთალებმოყრილი-წერეწო-წეროსუა. და მწარე არყა, ჩვენი თვალების მტერი, თუკი არყიან ხელს თვალში ამოვისვამდით, სიმწარე თვალებს თითქმის ნახევარ საათს აღარ გაგვახელინებდა.

ტყის გადაღმა, სოფლის მეორე მხარეს ბებიას მეორე ძმისშვილი და ძმისშვილიშვილები ცხოვრობდნენ, კნაჭა, გრძელთმიანი გოგონები, რომელთაც მთელი სასოება თავიანთ თმებზე დაემყარებინათ. მაგრამ სანამ გინდა თმები იზარდო? მით უფრო თუ შიგ მკბენარი აგიფუთფუთდა და თმის ძირებში პაწია კვერცხებიც მიაწილა. სწორედ მათთან სტუმრობის დღეს ჩვენს, მათსავით პატარა გოგონების თვალწინ შეკრიჭეს ის გრძელი, შლილი თმები.

- მიმაბი ჩემი თმებიი!

- რავარც გინდა მიმაკერეე!

- გამიმთელე, რაფერც გინდაა! - უნიოდნენ სარკეში ჩახედვისას გაბრაზებული გოგონები დედას და არ ეშვებოდნენ - გინდათუარა, გაემთელებინა ან უკვე ყოფილი და კითხვის ნიშნებივით დაგრეხილი, სადღაც თითო ოროლა მკბენარნაპოვნი კრიალა და მბზინვარე თმები.

გაგიგია ეს სიტყვები: მდგნე და ქანვარე?

როცა მდინარე ისე ზანტად მიედინება, თითქოს დგას - მდგნეა.

და ქანვარეა, როცა სწრაფად მიექანება.

ასე მდგნე იყო ჩვენი ცხოვრება, თითქოს იდგა, არ იძვროდა, ისე ვცხოვრობდით...

თუმც ბებია ერფუტის თვალით იმ მდგნე დროიდან, ქანვარე დროსაც გამოჭვრეტდა და წერაკითხვის უცოდინარი, მკითხავივით გვიმისნებდა:

საქართველოს პარლამენტის

- კაცი ასულა მთვარეზე და ერფუთი ამბობს, მზე და მთვარე ჩამოიყრება...

დროდადრო იესე ბაბუა და ლიდა ბებიაც გვესტუმრებოდნენ. ჭიშკართან უცხოს დალანდვისთანავე სახლში შემალულები და ჩუმ-ჩუმად გამოპარულნი, დედის თეძოს მიტუზულები მერე კიდეც დავფაცურობდით, მოხუცებს ტაბურეტებს ვუდგამდით და დაფერდილზე გადაყანთრულებს ცალ მხარეზე ფეხებს ქვებით გავუმაგრებდით, თლილი ჭიქით წყაროს წყალსაც მივაწოდებდით და მათ თვალწინ ჩავმწკრივდებოდით - სამი გოგონა და ორი ბიჭი.

იესე ბაბუა ხილის კანფეტებისთვის ჯიბისკენ წაიღებდა ხელს და მის ამოღებამდე უკვე სულწასულებს სათითაოდ დაგვირიგებდა. კანფეტის შესაფუთ ქაღალდზე სანატრელი მუქი ლურჯი, ლოლნაშოსფერი ქლიავი ეხატა. ჩვენთვის ყველაზე გემრიელი და სასარგებლო ხილი, ოღონდ მომავალში რატომღაც ისევე სასაცილოდ აგდებული სიტყვა, როგორც ბევრი კარგი, ძვირფასი რამ...

დედა გაიხსენებდა, თუ როგორ უვლიდა ლიდა ბებია, როცა ავად გახდა, როგორ ზრუნავდა, თან ჰყვებოდა მას. როგორ წუხდა იესე ბაბუაც, როცა დედას ბავშვობაში და-ძმა გარდაეცვალა, პატარა ნოდარი და ტატუნია. წუხდა, რომ ვერ იზრუნა მათზე, რომ თავისთან ვერ წაიყვანა დისშვილები და ასე დაუდევრობით ხელიდან გამოეცალათ.

იხსენებდნენ ძველ ცხოვრებას, ჰყვებოდნენ, ახსენებდნენ ბებიას სხვა და-ძმებსაც - თეოფილეს, ემელიონს, თამარას, თინას...

ასე იყო ზაფხულობით - გარეთ, ამ დაფერდილ ეზოში ვსხდებოდით, ზამთარში კი იმ ვიწრო ბუხრისპირას დავსხამდით სტუმრებს, რომელზედაც დედა იტყოდა: "ბუხარი და ორი კაცი... ეს მინიშნება იყო და გუნებაში უნდა მიგვერითმა: "თუ მესამეც მოგემატათ, ადექით და გადით კარში..."

ბუხრის თავზე მაღალფეხა ნავთის ლამპა იყო შედგმული. საღამოობით, ანთებისას მისი მუშა იოლად იბზარებოდა, ტყდებოდა კიდეც, ამის გამო ანთებული ფითილი ჭრაქივით ხრჩოლავდა ჩამოტეხილი შუშიდან. ლამპის გვერდით გამურული ჭრაქი, ჭრაქის გვერდით ნაძვის ხის სურნელოვანი კვარის რამდენიმე ნაფოტი იდო და გული მწყდებოდა, რომ ჩვენი გამჭვარტლული ბუხრის თავი არ იყო ისე მდიდრულად მორთული, როგორც ლიდა ბებიასი, რომელსაც გაზეთი "კომუნისტი" ისე აჟურულად დაეჭრა და დაენიკბა, ისე გაელამაზებინა თავისი ბუხრის თავი, ვფიქრობდი, როცა გავიზრდებოდი, პირველ რიგში ვისწავლიდი, როგორ გამემშვენებინა ჩემი ბუხრის თარო ასეთივე აჟურულად დაჭრილი ფურცლით...

ბუხარი ჩვენი ბავშვობისა...

მასთან ზამთარში, საღამოობით სალეს ქვასავით გაბლიკვებულ ლეიბს და საბანს ვათბობდით, რადგან ოთახში ძალზე ციოდა და მერე ასე გამთბარ ქვეშაგებს ბავშვები ვეკონწიალებოდით, რომ გაყინულ საწოლამდე მიგვეთრია და ზამთრის გრძელ ღამეთა სუსხში ჩავმთბარიყავით.

იმ ზაფხულის თარანება დღესავით, როცა ზედა-სანყისში ვყვებოდი, დედამ დაკლა ახალი ქათამი, ბუხარში სამფეხზე შედგმულ თუჯის ქვაბში წყალი ადუღა-ააკვაჩხალა, მერე ქათამი შიგ ამოავლო, კარგად მოდგინა, ამოპუტა. არაყში დასველებულ, ლამბაქზე დაფენილ აალებულ ბამბაზე გატრუსვის ნაცვლად, იქვე, ცეცხლის ალზე გარუჯა, მჭადის ფქვილით და ხორომში მარილით კარგად გარეცხა, გამოშიგნა, გაასუფთავა, მარილი უსვა.

მერე ბუხარში კეცები გადგა, ოფლით ღვარულმა მჭადის ფქვილი მოზილა, შქერის ფართო და პრიალა ფოთლები ცალ ხელში მწყობრად დაიჭირა, კეცები ნაკვერჩხლებივით ოქროსფრად გაღვივდნენ თუარა, საკეცით ბუხრის წინ გადმოალაგა, ოდნავ შეანელა და შქერის მოტკაცუნე ნეშოზე კოხტად მომრგვალებული კოკრები დასვა, რომელსაც ირგვლივ მარჯვენა ხელის გულით სულ ტყაპა-ტყუპით ჩამოუარა, გასწი-გამოსწია. ნეშოდაფენილი და მჭადდაკრული კეცები ერთმანეთზე შეალაგა, პატარა კოშკივით შეაკოლიკა და საბიჯგად, რომ არ წამოქცეულიყო, აკაციის ხისგან გათლილი საკეცე, იგივე ცეცხლის საჩრეკი შეუყუდა.

მერე ახალი ქათამი ტაფაზე გემრიელად შეაწითლა, დაუწურა მაყვალი, დაუნაყა ნიგოზი და ნიორი, სურნელოვან წვენში ჩააბუყბუყა ხორცი, დასხდნენ უფროსები დიდ სუფრასთან, ჩვენ პატარები ჯორკო სკამებზე - მამის ხელით ფიცრებისგან გაკეთებულ პატარა სუფრასთან.

ამ დროს ჭიშკართან მოდგა მაღალი კაცი, ხელში მუქი, თხელი ფურცლის პატარა განივი ზოლით, რომელზეც მუქი იასამნისფერი "კაპიროვკით" ბევრჯერ გამრავლებული ბეჭდური, მკრთალი ასოებით ეწერა რაღაც, ეტყობა ავისმომასწავებელი. მაღალმა კაცმა დედას რაღაც უთხრა და ეს პატარა, განივ ზოლად ქცეული ფურცელი გადასცა. დედას მუხლები დაუმძიმდა და ნელა წამოვიდა სახლისკენ.

ბებიამ კერძი გადაიღო და ის იყო, პირისკენ წაიღო ხორცის ნაჭერი.

- არ ჭამო დედა ხორცი! - უთხრა შემობრუნებულმა დედამ.

ბებიას ხელი გაუშეშდა, ფერი ეცვალა და სახე გაუქვავდა... მიხვდა.

ქმრის და შვილების მერე ის თავის სისხლს და ხორცს ნელ-ნელა, თანდათან კარგავდა. ზოგიც წასულიყო - თეოფილე, თინა, თამარა და ახლა იესე მიდიოდა, მერე ემელიონი...მერე თვითონ გაჰყვებოდა.

მოსულიყვნენ ცოტა ხნით მის სისხლად და ხორცად, ასაყვავებლად თუ ფოთოლგანსაძარცვად, გასახარელად თუ ასატირებლად, და მიდიოდნენ მისგან, მიჰყვებოდნენ იმ მდინარეს, რომელიც ბოლოს ყველას გაგვიყოლებდა.

მიდიოდნენ, ტოვებდნენ თავიანთ სხივს, იცვლიდნენ წუთიერ საცხოვრისს და მარადისობის კარზე აკაკუნებდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაკა ცხვედიანი

# მიტოვებული სახლების სევდა



ასე, უცნაურად აიხირებენ ხოლმე თანამედროვე არტისტები. როგორც ჩანს, რომელიღაცამ შემთხვევით მიაგნო და პოეტური ვნებები აუშალა. აბა, სხვამ რამ უნდა მიგიზიდოს სოფელში, სადაც ხე არ დგას. ვიღაც ყვებოდა, 70-იან წლებში, როცა აქ საავარაკე მიწის ნაკვეთები დაარიგეს, ხეხილი ყველამ დარგო, ვინც სახლი ააშენა, მაგრამ მარილიანი ნიადაგის გამო ერთიანად გახმაო.

ყოველ შემთხვევაში, ვერ წარმოეიდგენდი, რომ უფოთლო შემოდგომაც არსებობს. მანქანებიდან გადმოვედით თუ არა, სტატიის პირველი ნინადადებაც გავიფიქრე: ლოკაცია - ტრამალი.

ეს ნახევრად ხუმრობით. ვორქშოპის მონაწილეებმა კი ჩამოსვლისთანავე შეიგულეს სასურველი სიერცეები. ზოგს ვიცნობდი, უმეტესობას - არა. ერთ-ერთი დანახვისთანავე სიგიჟემდე მომეწონა. ფოტოგრაფი. კუბოკრული, ყავისფერ-თეთრი პერანგი ეცვა და ყავისფერი ჟაკეტი.

მერე ვსვამდით და ვიცინოდით, ზოგი ხატავდა, ზოგიც ფოტოებისთვის ვიწრო ქუჩას დაუყვა. მეც წამოვდექი.

უსახელო ქუჩები დაუნომრავია, ყველა სახლი - ერთნაირი, ბელეტაჟზე. წინ შუშაბანდი და ცალ მხარეს - ერთი დიდი ფანჯარა. გადახუნებული ფარდებით ვცდილობ პატრონის გემოვნების ამოცნობას. ალბათ, ახირებულობად ჩამეთვლება იმ ადამიანებზე ფიქრი, რამდენიმე ათეული წლის წინ ამ ფანჯრებს ზოლიანი, ყვავილებიანი ან სულაც რუხი ფარდები რომ შეურჩიეს. წელიწადში ერთხელ მაინც ჩამოხსნიდნენ, დარეცხავდნენ, ფანჯრებსაც საგულდაგულოდ დანმენდნენ და ბუტბუტით მიუალერსებდნენ უპრეტენზიო ალოეს ან ბალბიფოთოლას.

ისე, აქაურობას გვიმრა უფრო მოუხდებოდა. ველური გვიმრა.

ოთხი ჭიქა არაყი, როგორც ყოველთვის, ახლაც სრულიად საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ თითქმის უკაცრიელმა სოფელმა მარტოსული მოხუცივით ამიჩუყოს გული. ვდგავარ და ტირილის დაწყებას ვაპირებ. რატომ, რისთვის, ვერც ამიხსნია, მაგრამ ოთხი ჭიქა რომ ნამდვილად მათრობს, ის ვიცი და ეგზისტენციალურ დარდებს რომ წამომიშლის ხოლმე, ამასაც დაკვირვებული ვარ. ჰოდა, ვდგავარ და ვდარდობ, რომ მარტოხელა მოხუცს მაგონებს ეს სოფელი. დავიწყებულსა და შეგუებულს.

ცარიელი ქუჩები უკაცრიელობის განცდას ხომ ამწვავებს და თან იმაზე მაფიქრებს, როგორ უნდა მოაგნოს ამ დაუნომრავ სახლებს სასწრაფომ, თუ ავად გახდა ვინმე. ნეტა როგორ უხსნიან ხოლმე? ჯერ მეთოთხმეტე სახლი გადაათვალე, მერე მარჯვნივ რომ შეუხვევ, კიდევ მეხუთე და მანდ ხარო? მეც მანდ ვარ და ამ მიტოვებული სოფელივით ვკვდებიო? არა, ასე, ალბათ, არ იტყვის არავინ.

ღამით კი გაიოლდება უფრო. განა რამდენ ფანჯარაში ანთია სინათლე.

კატა გამოტყვრა საიდანღაც. შემომკნავლა და გაჩერდა. აგიყვან ხელში, ილლიაში ამოგიდებ და წაგიყვან სახლში. ცხრა სიცოცხლიდან ერთი მაინც მომიძღვენი. შემეჩვიე და წლები რომ გავა, გრავიტაცია თავისას რომ გაიტანს, ნაღვლიანად რომ დაეკიდებიან შარვალში ცელქი დუნდულები და გაბუნდოვნებულ თვალებში სასიყვარულო მზადყოფნას რომ ველარავინ ამოიკითხავს, მაშინაც შემორჩი ნუგეშად ჩემს მარტოობას. ასე მასწავლეს - ყოველ მიზეზს გარეშე მოვიდოდა ვინმე, ვინც გალავანს შემოამტვრევდა ჩემს ციხესიმაგრეს, დაარღვევდა დუმილს და თავისუფლებას უწყალობებდა პატიმრობამისჯილ სურვილებს. ვინ, თუ არა შენ, ულვაშიანო მაურო! შენ გეუბნები, კი.

კარი ღიაა და თავს ისე ვგრძნობ სხვის მიტოვებულ, გამოცარიელებულ სახლში, როგორც საკუთარში. ერთი ზამბარიანი საწოლია და ბუკლეს სტაფილოსფერნაჭერგადაკრული ჩატეხილი სკამი. როცა პატარა ვიყავი, დეიდაჩემს ჰქონდა ამ ნაჭრის პიჯაკი. ყოველთვის განსხვავებულად ეცვა, საინტერესოდ. ადრე ქამრები უყვარდა და ყველა კაბაზე სხვადასხვა ფერის განიერ ქამარს იკეთებდა. სინქრონული თარგმანის სპეციალისტია. თავის თაობაში ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც არასამთავრობო ორგანიზაციაში მუშაობა და ევროპაში მოგზაურობა დაიწყო. რაც თავი მახსოვს, სულ საუკეთესო სუნამოები და კოსმეტიკა ჰქონდა, ძალიან ლამაზი ტანსაცმელი. მეც სულ მისი გემოვნებით მეცვა. ერთი, რასაც ვერაფრით ვხსნი, ისაა, როგორ დაუშვა, რომ ქორწილში ნაღების ტორტს ვგავდი. მე კი ვოცნებობდი, რაც თავი მახსოვს, დიდ და გაფუშუშებულ კაბაზე, მაგრამ ამ საკითხში როგორც წესი, მაიას არგუმენტები ბლოკავდა ხოლმე ჩემს გოიმურ სურვილებს. ერთი ქორწილი აღმოჩნდა გამონაკლისი. იმ მხრივაც გამონაკლისი იყო, რომ მაია პირველად ვნახე ატირებული. ახლა ვფიქრობ, იქნებ ჩემი კაბა ატირებდა, მაგრამ არა, უფრო მგონია ხოლმე, რომ მე, 19 წლის, მის მაგივრადაც გავთხოვდი და ამან აუჩუყა გული. თვითონ არასდროს ყოფილა გათხოვილი, ჩვენ დღემდე ერთად ვცხოვრობთ. ჩემი მშობლები, მე რომ ორი წლის ვიყავი, მაშინ დაშორდნენ ერთმანეთს. მე და დედა დედაჩემის მშობლების სახლში წამოვედით. იქ იყო მაიაც. მახსოვს, როგორ იხატავდა ხოლმე თვალებს, მე საწოლზე ვიჯექი, თვალს არ ვაშორებდი და ერთი სული მქონდა, დროზე გავზრდილიყავი და წითელი პომადა წამესვა. მახსოვს, ბორბლებიანი ჩემოდანი რომ ჩამოიტანა ბარსელონიდან, იმის მერე კარგა ხანს სულ მოგზაურობანას ვთამაშობდი: ქამარს ვიჭერდი, მწვანე ბერეტს ვიხურავდი და მაიას ქუსლებიან ფეხსაცმელში გამოწყობილი დავარიხინებდი ჩემოდანს სახლში. ყველა ასეთი დეტალი ზედმიწევნით მახსოვს. მაგრამ არ მახსოვს, მაგალითად, ის, თუ როგორ შემოვიდა ფრეზენტ ქონტინიუსი და ფასტ ფერფექთი ჩემს ცხოვრებაში. საერთოდ არ მახსოვს, როდის, რა მომენტში ვისწავლე ინგლისური

ისე, რომ მერვე კლასში ქართულივით ვკითხულობდი მაიას ინგლისურენოვან ლიტერატურას. სულ ვმეგობრობდით და სულ ვიცინოდით. აი, ტირილიც რომ შეეძლო, ჩემს ქორწილში გავიგე და მერე კიდევ ერთხელ ვნახე ატირებული, - ქმრის სახლიდან რომ მოვდიოდი, მაშინ. დედაჩემი და დეიდაჩემი მოვიდნენ, ჩალაგებაში დამეხმარნენ და უსიტყვოდ წამოვედით. გზაში გავიხედე და საქეს დაძაბულად ჩაფრენილი დეიდაჩემი ტიროდა. მაშინ ვიფიქრე, რომ იმედგაცრუებული იყო და მეც ცრემლები მომაწვა. უფრო მოგვიანებით მივხვდი, იმედგაცრუებაზე მეტად იმის შიში ატირებდა, არ გავბოზებულიყავი. ცხადია, მთლად უსაფუძვლოც არ იყო მისი შიში. თვითონაც არაფერი დაუკლია და იმიტომ. და მაინც, ეს რომ პირველად გავიფიქრე, სასტიკად გავცეცხლდი,- რა კარგია! პირდაპირ ჭკუას ვკარგავ ადამიანებზე, თვითონ რომ კარგად მოიბოზებენ და მერე შენი პატიოსნების სადარაჯოზე გაიმწესებენ თავს!

ბოლმა მომაწვა ახლაც ამის გაფიქრებაზე, გული დამწყდა, მარტო რომ წამოვყელეტე და არ ვუთხარი იმ ფოტოგრაფ ბიჭს, წამომყოლოდა. მოვუყვებოდი ყველაფერს. რა ხეირი იქნებოდა, არ ვიცი, მაგრამ მთელი გულით მომინდა მისთვის რაიმე პირადისა და პიკანტურის გამხელა. საერთოდ, სიმთვრალეში ასე ვიცი ხოლმე. მაგრამ თვითონ ის ბიჭიც რაღაცნაირია, - ისე აცვია, დედები რომ ბაღის ასაკის ბავშვებს აცმევენ ხოლმე. ჩემი დაქალების შვილებს აცვიათ ასე და, მე მგონი, სიახლოვის განცდას მიმძაფრებს ის კუბოკრული პერანგი და ყავისფერი ჟაკეტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს უბადრუკი საბჭოთა აგარაკიც ისეთ უადგილო სენტიმენტებს ალმიძრავს, დეიდაჩემის გარდერობზე მოგონებებს თავს ვერაფრით ვაღწევ. სუნამო „ელიფსი" მახსენდება, - იმ დროს ძალიან მოდური, - და სურნელს ისე მკვეთრად ვგრძნობ, თავბრუ მეხვევა. განიერ ქამრებს ვხედავ, ზოგი წითელია, ზოგი ყვავილებიანი, ზოგი მწვანე, ზოგიც პანტერის პრინტით. მაშინ ძალიან ვიწრო წელი ჰქონდა მაიას, ლამაზად გამხდარი იყო. ბოლო ხუთი-ექვსი წელია მოიმატა. ეგ და დედაჩემი შუაღამემდე ფილმებს უყურებენ და თან ჭამენ ყველაფერს, რაც გაუხარდებათ. გენეტიკაც ხელს გვიწყობს, ეტყობა, - ბებიაჩემიც უგამხდრესი იყო და რაღაც ასაკის მერე მოიმატა, მაიაზე ხომ ვთქვი და მერე, ალბათ, მეც ეგრე ვიქნები. ზუსტად მაიას ვგავარ აღნაგობით. დედაჩემს სხვანაირი ტანი აქვს, ბაბუასნაირი. წვივები იმდენად უგაეთ, გაგეცინება. მსუქნები კი არ არიან, რალაცნაირი ხორციანი, შეკრული აღნაგობა აქვთ.

არ უნდა დამელია. ამ დროს მიტევს ხოლმე აევდა. ამ სახლებივით მიტოვებული მეჩვენება საკუთარი თავი. რა სამწუხაროა, რომ ამ მიტოვებულობის განცდას არ შეელის ახალი კაბა. ზუსტად ისევე, როგორც ახალი ფარდა უმნიშვნელოდ თუ გამოაცოცხლებს ჩაჟამებულ ფასადებს. და ეს გამოცოცხლება, როგორც წესი, არაბუნებრივია ხოლმე, ყალბი და უადგილო. კიდევ უფრო სამწუხაროა ის, რომ მე ვერ მივატოვებ ჩემს თავს, მე უნდა გავიყვანო ბოლომდე.

შუშაბანდიდან ბერიკაცებივით დაფეხვილ ერთნაირ სახლებს ვაყოლებ პანორამულ მზერას. ორგან სინათლე აანთეს. საიდან უნდა ვიცოდე, მაგრამ რატომღაც მგონია, რომ ვიცი - ერთ სახლში ოთხმოც წელს გადაცილებული მარტოხელა კაცი ცხოვრობს, მეორეში - არც ისე ხნიერი ქალი. ეს ქალიც თითქმის სულ მარტო იქნება, ხანდახან, შაბათობით, შვილი, რძალი და შვილიშვილი ჩამოაკითხავენ ხოლმე, 9 წლის გოგო. მარტო იქნება იქამდე, სანამ შვილიშვილი არ გაიზრდება, ფოტოგრაფია არ გაიტაცებს, იდუმალ, ბუნდოვან რომანატიკას არ იპოვის ამ უფოთლო სოფელში და ფოტოგამოფენისთვის მასალის შესაგროვებლად არ დარჩება ბებიასთან. სანამ არ დაუძახებს აქაურობა.

მეც მეძახიან. ოჰ, დაუმახსოვრებია ჩემი სახელი! აქ რა გინდაო, მეკითხება. რა ვუთხრა, მთვრალი ვარ და დეიდაჩემზე ვფიქრობ-მეთქი? ან ვიცოდი, რომ გამომყვებოდი-მეთქი, ეგ? ან ის ხომ არ ვუთხრა, ჩემს ყოფილ ქმართან სულ ათ თვეს რომ ვიცხოვრე, ან ის, დედამისს რომ საკუთარ ლაბრადორთან ჰქონდა რომანი? თითქოს მთვრალიც აღარ ვარ, მაგრამ რატომღაც ვერ ვხვდები, რა იქნება უფრო შესაფერისი ამ სიტუაციისთვის. იმის გამხელაც მინდა, რომ ნამდვილ სახელს სიამოვნებით დავარქმევდი ამ დაქლიავებული მხატვრებისა და ფოტოგრაფების იდიოტ ვორქშოპს. თუმცა, აბა, ეს რა სათქმელია, ამაზე უარეს უბადრუკობებზეც მიწერია. რამდენიც გინდა. აღარაფერს ვამბობ, ვუახლოვდები და ვკოცნი.

უთეთრეულო ზამბარიან საწოლშიც ისე იოლდება ნაცნობობის გაღრმავება!.. მერე ვიძინებთ. ჩახუტებამაც ვერ გვიშველა, - სიცივე გვაღვიძებს. გათენებულია და ჩიტები ჭყლოპინებენ შუშაბანდს მიღმა. წადი და მოვალ ცოტა ხანში მეც, - ვეუბნები.

ვიწრო, დაუნომრავ ქუჩაში სიცარიელეა. მხოლოდ ერთგან, მზისგან განათებული სახლის წინ მოკლედ თმაშეჭრილი ხნიერი ქალი ზის და მომჩერებია. ვინ ხარ, შვილო? - მეკითხება, როცა ვუსწორდები. ვუღიმი და მინდა ვუთხრა: ბოზი ვარ ქალბატონო, მერე?! ამის მაგივრად კი თვალს ვუშტერებ ხის ტაბურეტზე დახვავებულ მწვანე კონას და ვამბობ: ეს ველური პიტნაა, დეიდა?



ეროვნული ბიბლიოთეკა

## ალეკო ცქიტიშვილი

# მიმოწერა საკუთარ თავთან

* * *

დროა მოხუცო (მოგიკითხეს ბუკინისტებმა)
მისტერ S, ჩვენი ლექსებიდან მტვერილა დარჩეს.
ღამეა. მძიმე ასოების დაგვირისტებით
ვწერ მემუარებს და უაზროდ ვკითხულობ სარჩევს
დღეთა მათ ძველთა გარდასულთა. ნუხელ შევიტყვე
ბატონი კინის უეცარი გარდაცვალება.
მადლობა ეშმაკს. გმირი იყო. ვიცი, შენ იტყვი,
ვწუხვარო, მაგრამ სამომავლოდ დაგევალება
ძველთა მათ შენთა ზმანებათა შორის მოძებნო
ის ვაჟბატონი. აპირებდი ცოლის შერთვასაც.
რად არ მომწერე, საკუთარი ლანდი რომ ცემე?
ადოლფმა მითხრა, დაბერდაო კვლავ და ამ თვესაც
თუ გადაიტანს, წავიდეთო ეკლესიაში,
წარმოიდგინე - სულის შენის, მისტერ, საოხად.
ვიცი, თანა გაქვს დაღუპულთა მოკლე სია შენ,
მარქვი, მას შემდეგ ქვეყანასა ზედა რა მოხდა.

* * *

ნეკროლოგები დავუგზავნე გაზეთებს. კინი
ამჟამად, ალბათ, სააქაოს მიღმა იქნება.
დიახ, მე ვწუხვარ, ძველებურად მაწუხებს სპლინი,
სახსრებისმტვრევით მთქნარება და ძილად მიგდება
და (თითქოს ჭია დაყიალობს რწმენის ბორცვებზე)
ოდეს მოდიან დღეები და ხდებიან ავად,
ფერმკრთალდებიან ცათა შინა სხვათა ლოცვები,
ხოლო სიცოცხლე ბორგნეულობს სხეულში ლავად
და ვულკანივით დიადია სურნელი მინის,
რომელიც დგას და ერთგულივით მზრუნველობს ჩვენზე,
მან ალბათ უფრო უკეთესად და ზუსტად იცის,
რომ როგორც ქვაზე დაცემული მინა ან პენსნე,
გადავიმსხვრევით ათასწილად, როს ჟამი მოვა
და სასაცილო ახირებად გვექცევა გულზე
სოკოებივით ამოსული დარდების გროვა...
ხოლო ცხედარი სათამაშოდ დარჩებათ ბუზებს.

* * *



მოხუცო (ახლა გავისტუმრე ფოსტალიონი),
ქვეყნისას გთხოვ და ცისას ამბობ, დალახვროს ნიცშემ.
ამანათისთვის გმადლობ, მახსოვს, ეს ყალიონი
მეძველმანისგან შეიძინე შარშან ნიცაში.
მოკლედ, დღეები გაცილებით უფრო მოკლეა,
ბებერი ძვლების გაციებაც გახდა საშიში.
ლუდს მივეძალე. ახლაც გვერდით მიდგას ბოკალი
იაფი ლუდით სავსე - ჩემთვის, როგორც ჰაშიში,
მათრობელია სულ ოდნავი რამ ამ ცხოვრების.
ადამიანებს დაღუპულებს და მათ აურებს
მე ვაკვირდები კვლავ და მიჭირს დამახსოვრება
ყოველი წუთის და ყველაფრის, რაც არ ხმაურობს,
რასაც შემორჩა სურნელება ძველის, ნამდვილის.
ხოლო შენ, ვიცი, ცხადზე მეტად სიზმრებს უჯერებ,
მათ შორის ყოფნა შენთვის უფრო არის ადვილი,
მაგრამ ოდესმე ეგ სიზმრები დაგამუნჯებენ...
მომწერე (პალმებს მიიტანდა, ალბათ, დარგავდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავის ეზოში მეგობარი შენი, ჩენდლერი)
ყველა წვრილმანი, უმნიშვნელოც, თუ არ დაკარგა
შენთვის რაიმემ მნიშვნელობა. იყავ დღეგრძელი!

* * *

ადრე მოვიდა შემოდგომა. გარეთ ქარია,
რომელიც ქალაქს მოეხვია თავსაბურავად.
ამან ძალიან შემაწუხა, როცა ცარიელ
ეზოში ძაღლმა დაიყეფა თავისებურად
და არაფერი არ მოხდება, თუ ახლა მოგწერ,
რომ არსებითად კარგადა ვარ და თუმცა, მინდა
ცოტაოდენი აღელვება, მე მაინც მომწონს
ეს არსებითად კარგად ყოფნა, სისუსტე, ბინდი
თვალებზე, როგორც დაკეტილი ოთახის კარი,
როცა სიჩუმე ისადგურებს და ფიქრი მოდის
საკუთარ თავზე, მოვლენებზე, შენზე. აშკარად
დაუჯერებელ ამბავს მოგწერ: სარკე, კომოდი,
მაგიდა, სკამი მაგიდასთან, ფანჯარა, ფარდა,
ტელევიზორი, მაცივარი (ჩამოთვლას შევწყვეტ) –
ეს ყველაფერი სიმართლეა, ფაქტია, ანდა
ჩვენ არაფერი აღარ გვჯერა და ველარც შევძლებთ
საგნების გულში ჩაღრმავებას, გაშიფვრას, განცდას
იმისას, რასაც იფიქრებდნენ ისინი ჩვენზე...

* * *

დღეს დილმის ველზე გამახსენდი, როდესაც მწყემსმა
კეთილმა კეტით გადარეკა ქარების ფარა.
ვიგრძენი, როგორ გაიტრუნე, როგორ მოგესმა
ჩემი უხეში ჩახველება, თითქოს ფანჯარა
მოვიჯახუნე. ახლა დროა, გამოფხიზლდე და
დაუყვე დაღმართს არაფრისკენ - არ იხმაურებს
არც ერთი წამით ეს დრო, ეს გზა. გაგიძნელდება,
მაგრამ ამაღამ მაინც დაწვავ შოპენჰაუერს
და ფერფლშიც ისევ დაინახავ სიკვდილს - შეცდომას.
კიდევ რა?.. ახლა ვზივარ ჩემთვის, არქეოლოგის
თვალით დავყურებ საკუთარ თავს. აღარ მეცნობა.
ალბათ, ეს არის მოსაწყენი წიგნის პროლოგი,
სადაც მე, ერთი პერსონაჟი, მთქნარებით ვკვდები,
მერე კი აზრიც ეკარგება გმირის მოლოდინს.

* * *

მე გეკითხები (გარეთ რაკი არ გამოვდივარ.
დეკემბერია, მთები თოვლმა უნდა დაბამბოს.
არეული მაქვს თვე და წელი, საღამო, დილა,
ალცჰაიმერით, ფსორიაზით): ხალხი რას ამბობს?!
ხალხი! და მე აქ არ ვგულისხმობ სტომატოლოგებს,
ვისთანაც გვინევს ჩვენ ბოლო დროს ურთიერთობა,
თუმცა კი წლები კბილებს მაინც ჩამოგვილაგებს.
ბედი მდევარი ჩვენით, როგორც ბურთით, ერთობა.
ბედი მდევარი! წიგნებიდან თითქოს ამოხტა
ყორნის ხმით გზებზე მოძახილით, ფრთების ფართხუნით.
უცაბედად რომ დაგვიპიროს სულის ამოხდა,
ვინ იცის, იქნებ დავეთანხმოთ თავის კანტურით.
ვინ იცის, იქნებ დროც არ არის ამ თვალბედითი
ფრინველის ქვებით, ყავარჯნებით მოგერიების!
რაღა მოხდება ამის შემდეგ, თქვი, დადებითი?
მე ჩემსას გეტყვი პირდაპირ, არ მოგერიდები:
დროა, რომ ერთად ვიქირაოთ ერთი მომვლელი,
ისეთი, დილით ნამცხვართან რომ ნელა ჩაის სვამს





ეროვნული ბიბლიოთეკა

და შეუძლია მოვლა თვალის ერთი მოვლებით,
სულაც, აიღებს ჩვენს სხეულს და თვალში ჩაისვამს.

* * *

კი მეკითხები, მაგრამ პასუხს ჩემგან რას ელი?
ვხედავ სარკმელთან მუხლუხივით მოცოცდა მთვარე.
აგნოსტიკოსობს ეს ამინდიც, როგორც რასელი,
რომელიც ბოლოს გრიპით მოკვდა ოთხმოცდათვრამეტ
წელს მიღწეული. ხალხი ბრმაა, ასევე - მუნჯი,
ამასთანავე - ყრუ, უძალო და უსასოო,
უძირო სკნელის სიბნელეში, როგორც ფასკუნჯი
ფრთების გარეშე, დალასლასებს და უსასრულოდ
დუმს. რა უნდა თქვას ხალხმა ჩვენზე (მეც გეკითხები),
ეპიტაფიად ჩვენ საფლავზე რა დააწეროს,
საფიქრალია დღეს როდესაც სხვა საკითხები:
ტყეები ინვის, პნევმონია გადააქვს წეროს
ერთი ქვეყნიდან მეორეში, ტერორისტები
მემკვიდრეობით დანატოვარ მთხლეს მიირთმევენ,
ზოგი ციხეში კვდება, როგორც მსხვერპლი სისტემის,
სხვაგან დიქტატორს ალმერთებენ, სულაც - ითმენენ.

* * *

დღეს ბაზალეთზე ამოვედი, აგარაკიდან
მოჩვენებითად სხვაგან მოჩანს სიცარიელე.
არ ისმის ჩქამი ნაბიჯების, ლაპარაკი და
ხველება. ჟინჟლავს. ჩიტი კენკრას ათვალიერებს
ლობესთან, სადაც ქვევრებია ნამოწვენილი
ეგზოტიკისთვის, არაფრისთვის. მე ეს დარდი მაქვს -
ბოსტანს მოედო სარეველა, ხოლო მწვანილი
მანქანით მომაქვს ქალაქიდან. შაშის, ნარდის და
ჭადრაკის მღერა მეზობელთან ყოველდღიური
რიტუალია მოხუცისთვის, აქ (მეზობელიც
მოაგარაკე მოხუცია) კოლექტიური
სიძაბუნეა და სიბერე. ხოლო სოფელი
(საწუთრო) ბრუნავს ძველებურად უზნეოდ. ეს ზნე
დასაბამიდან ჭირს... „შამათი!" - ვამბობ და შოთა -
ჩემი ჭადრაკის მეზობელი - მიდის. საუზმეც
აღარ ინება (შამათისას სულ ასე შფოთავს).

* * *

გზადაკარგული ლამეები (როგორც ლანდები
დაუმთავრებელ ნახატზე) ჩანს სხვენის ფანჯრიდან.
უკან ვიბრუნებ მოგონებებს სადღაც გაწდევნილ,
რეპრესირებულ წუთებიდან. აქვე ფინჯნის და
ლამბაქის გვერდით ყალიონი ბოლავს. ამ ბოლსაც
უთუოდ ჰქონდა არსებობის უფლება. მოდი,
ისიც ვთქვათ, კიდევ რას ვინახავთ სხვენში და ბოლოს
როგორ ვპოულობთ ხელმეორედ მას. ეს მოლოდინს
აუბრალოებს, მართალია, მაგრამ ამავე
დროს ძალიან ჰგავს საკუთარი თავის დამარხვას -
წლების წინ თითქოს მიაძინე, დაანანავე,
ახლა კი ასე გიხარია მისი დანახვა.
სხვენი - ცხოვრების ნარჩენების ღრმა ლეთარგია
მხრებზე ანვება სახლს, ისევე, როგორც ჩვენ - წლები,
გადასაყრელი ხარახურა არ ეკარგება,
ჩვენ კი ხელიდან ვუცვივივართ, ანუ - ვეცლებით.

*1995-2017*

**მიმოწერის დიდი ნაწილი დაკარგულია ან განადგურებული**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნინი ელიაშვილი

* * *

სად არის შენი პარაშუტი. შენი ზღაპრებია
კეთილი გმირი. შენი ნავი. შენი მდინარე.
შენი სიცოცხლე. შენი კვდომა. გაუცინარი
შენი ბავშვობა. სპილოები და ჟირაფები.

სად არის ის, ვინც აგატირებს ტკბობით გაქონილს.
გაგალატაკებს. გაგამდიდრება ანდა არმქონეს.
არც სიაუსტე გაქვს, დაიკვეხნო ძალა, არც ღონე.
სოფელში შენი მეგობარი მწყემსავს საქონელს.

და გენატრება ყველა, ვისაც შენი სუნი აქვს,
ვისთანაც, არც კი შეგრცხვენია, გიწუწუნია,

რომ არაფერი გაგაჩნია. რომ უბრალო ხარ
იმ ყველაფერთან, რამაც თვითონ ჩამოგარიგა
ხალხში. ვერავინ შეამჩნია, როგორ არ იყავ.
და გადაწყვიტე ამ არყოფნის ყოფნით გამოხვრა.

სად არის შენი პარაშუტი. შენი დიდობის
გეგმა. არავინ გამოჩნდება. დაემშვიდობე
ოცნებებს. ასე რად გენადა სხვაზე მინდობა.
უამრავ ადგილს გამოუჩენ, როგორც კიდობანს,

გულს. და არაფრის სურვილი გაქვს, თუ არ გპირდება
სიხარულს. უმზერ, სიბნელეში როგორ ინთება

ნათურა და გრძნობ ელოდები. რომ ჭკვიანური
აზრია - იყო.
და არყოფნას აჭიანურებ.



## ლიტოფსი

ქვაც შეიძლება გაყვავილდეს და უცნაური
სიზმრებით სავსე ჩემი გული, შენს მუჭს - ბინად რომ...
შენს თვალებს - წმინდა წყაროებად... შენი კანის ქვეშ
ფეთქვას... და უკვე აღარც იცის როგორ გინატროს.
შენი გულისკენ სახიფათო გზა მიმანიშნე -
სიბნელით სავსე, უნებლიეთ რომ გამინათო.

ქვაც შეიძლება გაყვავილდეს, ახლა ვიჯერებ,
როდესაც შენთან აჩეილება სულ არ მაშინებს.
თითქოს, სახლიდან გამოვდივარ, თითქოს სახლშივე
ვბრუნდები. ახლა, როცა უკვე ორი ნიჟარა
მაქვს, ცხოვრებასთან არაფერი არ მაკავშირებს
და სულერთია ჩემზე ხელი ვინ შეიმშრალა.

ქვაც შეიძლება გაყვავილდეს, ცრემლი განიშნებს,
რომ გაზაფხული დგება ქვაში, რომ ქვა იღვიძებს,
რომ სუნი სცემს და სული სცემს და სისხლიც, სისხლიც სცემს,
რომ ელოდება გაზაფხულის ფერად ქარიშხლებს.

ქვაც შეიძლება გაყვავილდეს და უცნაური
სიზმრებით სავსე ჩემი გული, შენს მუჭს - ბინად რომ...

* * *

გადავეჩვიე სუყველაფერს. ახლა კარლია
იმედით ვცხოვრობ, რომ გინატრებ, ჩემთან გაჩნდები.
ჩემში იმდენი სარდაფია და ოთახია,
დაიკარგები. დაიღლები. და თუ არ ვცდები,
არსებობს ქვეყნად ის ადგილიც, მე რომ დამიტევს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არსებობს ხელიც, სწორი გზისკენ რომ მიმანიშნებს.
არსებობს ის, ვინც კარგად იცის უნდა წავიდე.
არსებობს ისიც, ვინც იცის და არსად გამიშვებს.
გადავეჩვიე სუყველაფერს. ახლა წყალქვეშა
სურვილებით თუ შემიძლია თავის შექცევა.
დაუშვებელიც, დასაშვებიც უნდა დავვეშვა,
რომ არა - რატომ, დაგვენახა როგორ ეცემა
ადამიანი. და ერთმანეთს, როგორც მდგმურებმა,
აღარ დავუწყოთ შეხორება, ხელის შევლება.
არსებობს ქვეყნად, რა თქმა უნდა, უბედურება.
მის გარეშე, თუ მასთან ერთად, ბედნიერებაც...

* * *

იძინე, ჩემო სიყვარულო. მშვიდად იძინე.
იძინე, რომ დრო არ გავიდეს. რომ დროს გავექცეთ.
რომ სიმსუბუქე. რომ იები. რომ შენს სარეცელს
არ მოეკაროს, ჩემთან მომაქვს მთელი სიმძიმე.

იძინე, ჩემო სიყვარულო, რომ ვერაფერმა
გაგაფერმკრთალოს. იძინე, რომ მაგ შენს ძილშივე
ამიხდე. მე სულ ვიფხიზლებ და სულ ვიშიმშილებ.
გიგზავნი ფურცლებს. წვრილ ბილიკებს. შველას და ფერად
ღმერთს. მე არასდროს ჩავიძინებ, ჩემი შიშივით.

იძინე, ჩემო სიყვარულო მშვიდად. ანგელოზს
გიგზავნი, თავთით რომ დაგიდგეს. რომ უნამქეროდ.
რომ უქარბუქოდ. რომ არასდროს იგრძნო სიცივე.
იძინე, ჩემო სიყვარულო... მშვიდად იძინე...

* * *

ის შორი იყო. არადა ჩვენ ვგრძნობდით ორივე,
ერთი სეზონი ვიყავით. ჩვენ - ორი ზამთარი.
მე მისი ღელვა მემიყვარდა. ხან მინდორივით
რომ დაიწყებდა ლივლივს მისი მშვიდი მუსიკა.
ერთი ამინდი ვიყავით. ჩვენ - ორი ავდარი.
ის შორი არის, მაგრამ თითქოს ერთი პულსი გვაქვს.
რომ გავამხილო, ვერაფერი მე ვერ შევძელი.
როგორც უნდოდა, რაც უნდოდა, სულ ის ვიყავი.
ყველა ახალი მოგონილი სახის შეძენით
უფრო და უფრო რთულდებოდა ჩვენი სიშორე.
მე მისი ღელვა შემიყვარდა. და შევიყვარე
ყველა ზღვა. ყველა მინდორი და გავხდი მშიშარა.
მე მეშინოდა სუყველაფრის, რასაც მისი ხმა
ჰქონდა და რაშიც ვერ მოვძებნე, ის არ მინდოდა.
ხან ქარში ვდგები, ხან მშვიდ წყალში კენჭებს ვისვრი, ხან
მივდივარ, როცა არსად არის, როცა არც კი წვიმს,
კი არ მივდივარ, წარმოვიდგენ, დიდ ლურჯ მინდორთან.
და ასე ღამის საათობით ვდგავარ სარკის წინ.

* * *

რაც უფრო მეტი დარდი გავა და დრო დარდების
ჯარებს, ვერცხლისფერ დანებივით, თოკზე გაზმულებს
ააწკრიალებს, უფრო სუფთად მომენატრები.
უფრო ცარიელს. შეისწავლე ჩემი საგული.
და გულში როცა ერთი წყენაც აღარ მექნება,
ვისურვებ მნახო ღირსეული. მნახო, სხვებივით,
როგორ გამომდის რიგში დგომა ან მეხერხება
კარგვა. ვკარგავ და ვერ ვიხსენებ. ვკარგავ, წლებია.
რაც უფრო მეტი დარდი გავა ჩემი შიშველი
გულიდან, რაც შენ არ იქნები, არ მეყოლები,
შენ გენდომება ჩემი შველა და ვერ მიშველი.
მე, რა თქმა უნდა, მეყვარები.
მე მეყვარები.



ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

ვერ აღვიდგინე ვეღარც გული.
ვეღარც - სურვილი.
მე სულ ვიდგები. სულ ვიწვები.
ანდა სულ ვივლი.
კარი გახსენი. სარკმელი და
ხმა და ცრემლები.
გადაცურვები. გადასვლები.
გადაფრენები.
იქნებ, მიზეზიც კი იპოვო
რატომ მისურვე.
რა დარდი გაგვდევს სიხარულთან
მარტო მისულებს.
ან რა გვახარებს. ან რა გვტკივა.
ან რა გვამძიმებს
ასე სევდიან, მდუმარე და უკმეხ
ნაძირლებს.
იქნებ, ისიც კი გაარკვიო
რად ვერ მიმეტებ
ცის უფსკრულთან მდგომს.
არც მიშვებ და არც მაიმედებ.
უნდა აწეიმო. უნდა მოხდე.
უნდა ათოვო.
უნდა მიმიღო. შემიკედლო.
და მიმატოვო.



* * *

არ გაგიხსენებს მაინც არავინ
შენი სკამით და ძველი პიჯაკით.
გჭამს სიჯიუტე ხელმომცარავი.
იხსენებ, უხმოდ როგორ იჯექი.
როგორ გსურდა და როგორ გაცია
შენი სურვილის ვერასრულებამ.
გმართებს სიცოცხლე და დისტანცია
მთელი სიცოცხლე მასთან, რაც შენი
უფრო, ვიდრე ვისაც ეკუთვნის.
მხოლოდ იმიტომ არ ჩაეხუტე
გაყინულ ჰაერს, რომ განაჩენი
უკვე იცოდი, წინ რაც გელოდა
ერთი გამშრალი ღამის წყალობით.
გულაღმა წევხარ. თითქოს, გალობენ.
გალობენ მკვდარი ანგელოზები.
გულაღმა წევხარ და იმედი გაქვს
გაგიხსენებენ. გაგიხსენებენ
ან ქარის ხმაზე ანდა რამეზე
გაახსენდები. ოღონდ ლამაზად.
შენ წევხარ უფრო დასასვენებლად,
ვიდრე სხვა რთული მიზეზის გამო.
წარმოიდგენ, რომ ანგელოზი ხარ
და მათთან ერთად სიცოცხლეს გალობ.

* * *

ჩვენ ვცხოვრობთ სახლის სახურავზე. მტრედებივით ვართ.
მხოლოდ ერთ მარცვალ ცრუ სიხარულს ვეძებთ დილიდან
ღამეებამდე.
და ღმერთმა კი თითქმის მიგვილო.
თითქმის ვუყვარვართ.
თითქმის სჯერა ჩვენი და მასაც
არ უნდა ჩვენი დაშორება.
იქცა თამაშად.
საშიშ თამაშად იქცა ჩვენი მონატრებები.

თვალებით ვკენკავთ, დაბლა მყოფებს თუ რამ დარჩებათ
გარეთ. ყველასგან მიტოვებულ ნივთებს ვაგროვებთ.
მათ მიიხურეს სიყვარული ყდებად. ფანჯრებად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და სიმარტოვედ.

ჩვენ ვცხოვრობთ სახლის სახურავზე. ჩვენ სახლი არ გვაქვს.
ჩვენში ბოლომდე ვერც ჩაიხშო. ვერც აღიარდა,
რომ ჩიტები ვართ.
რომ გაფრენას თუ დავაპირებთ,
ხელს ვერაფერი ვერ შეგვიშლის.
რომ ჩიტებივით,
გვხიბლავს ახალი მხარეები, თუმც თავდაპირველ
სიხარულს ვეძებთ. და უბრალოდ დროს ვიზეპირებთ.

თვალებით ვკენკავთ, დაბლა მყოფებს თუ რამ დარჩებათ
გარეთ. ყველასგან მიტოვებულ ნივთებს ვაგროვებთ.
მათ მიიხურეს სიყვარული ყდებად. ფანჯრებად.
და სიმარტოვედ.

* * *

თუ აუყვები ამ მდინარეს, ნახავ საიდან
იწყება ჩემი სიყვარული. თუ ამ მდინარეს
ქვევითაც ჩასდევ, ნახავ წრის შეკვრას.

მოდი, დავბრუნდეთ იქ,
სადაც ჩვენი აწმყო მომავალია.

და დამერწმუნე, მივხვდებით, რომ წარსულში მოვხვდით.
და ერთმანეთის უხერხულობა ღიმილს თუ მოგვგვრის.
შეიძლება, რომ არაფერი არ შევიმჩნიოთ, მაგრამ ყოველთვის,
როდესაც თვალებს დახრი...
როდესაც
თვალებს დახრი...
როდესაც
თვალებს დახრი...
მე მოგიყვები სამომავლო სიხარულებზე.
და ავტირდები.
თუ აუყვები ამ მდინარეს, ნახავ რამდენი
რამე გამოგვრჩა მომავლისთვის.
დღეს მე მიყვარხარ.
და მაშინაც, ვშიშობ, მიყვარდი.
უბრალოდ მერე...
ჩემს გულს ნაჭუჭი შემოამტვრიე
და შიშველი გულით მიყვარხარ.
და მზისფერი გულით მიყვარხარ.



## სიტყვების მსხვერპლი

ველარაფერი გააცოცხლებს, მაგრამ ყოველთვის
შეძლებს იქ ყოფნას, სადაც მისი გული მარხია.
თან იმდენადვე, რამდენადაც ცოცხლებს გამოსდით.

მაშინ, როდესაც ხელს ისვრიდა, გულის ჯიბეში
ედო ყვავილი და უბეში ჰყავდა მერცხალი.
და როცა ბოლო დასაყრდენი გამოეცალა,
ჩიტი გალიას მიაბარა, ყვავილი - ქოთანს.
მას არც თუ ისე ბევრი ჰქონდა, მაგრამ რაც ჰქონდა,
დაკარგა. მშვიდად კარგავდა და აუღელვებლად
ყველაფერს, რასაც ღირებული, შეძლო, დაარქვა.
და გროვდებოდა მის დამსხვრეულ, შავ-თეთრ ხელებთან
ნივთები, ხმები. დაემსგავსა ბნელ ნაქალაქარს.

ველარაფერი გააცოცხლებს, მაგრამ ყოველთვის
შეძლებს იქ ყოფნას, სადაც მისი გული მარხია.
ვფიქრობ, რომ ეგრძნო, რამეს მაინც დაიტოვებდა,
თუნდაც ცივ, თუნდაც მოუხეშო ან ცრუ სახიანს.

მაშინ, როდესაც ხელს ისვრიდა გულის ჯიბეში
ედო ყვავილი და უბეში ჰყავდა მერცხალი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

დურმიშხან ტაბატაძე

# სასაცილო ლექსები

## ეროვნული სააგენტო სუნელების დაცვის სამსახურში

1.

ნიუ-იორკის ჯანდაცვის დეპარტამენტის განცხადებით,
ტყვიის საგანგაშო დოზა საქართველოში ნაყიდ
ან საქართველოდან აშშ-ში გაგზავნილ სუნელებში აღმოჩნდა.
ინფორმაციას on.ge ავრცელებს.

ნიუ-იორკის ჯანდაცვის დეპარტამენტის ინფორმაციით,
ისინი უკვე წლებია ამოწმებენ საქართველოში წარმოებულ,
სხვადასხვა სახის სუნელს ტყვიის შემცველობაზე
და დარღვევებს რეგულარულად პოულობენ.



მათ შორის, „საგანგაშო ოდენობის" ტყვია აღმოჩნდა
2017 წელს შემოწმებულ სუნელებშიც.

ნიუ-იორკის ჯანდაცვის დეპარტამენტის ცნობით,
მათ მიერ შემოწმებულ ერთ-ერთ ნიმუშში
აღმოჩენილი ტყვიის საგანგაშო ოდენობა იყო 27/000 ppm
(27/000 ერთეული მილიონზე) მაშინ, როცა, მაგალითად,
ტკბილეულში ტყვიის დასაშვები, უსაფრთხო ზღვარია 0,1 ppm.

2.

ნიუ-იორკის ჯანდაცვის დეპარტამენტისგან განსხვავებით,
პრობლემის არსებობას უარყოფს
საქართველოს სურსათის ეროვნული სააგენტო.

"სურსათის ეროვნული სააგენტო
სრული პასუხისმგებლობით აცხადებს,
რომ ქართულ სუნელზე დღეს არანაირი შეზღუდვა არ მოქმედებს.

სააგენტო მუდმივად აწარმოებს მონიტორინგს
და ლაბორატორიულ კვლევას.

დღეს ქართულმა მედიასაშუალებებმა
გაავრცელეს ნიუ-იორკის ჯანდაცვის დეპარტამენტის განცხადება
ქართული წარმოების სანელებლებში
ტყვიის მაღალი შემცველობის შესახებ,
რაც არის 2015 წლის ინფორმაცია
და არავითარი საერთო არ აქვს დღევანდელ რეალობასთან.

სურსათის ეროვნული სააგენტო მოუწოდებს მედიასაშუალებებს,
თავი შეიკავონ გადაუმოწმებელი ინფორმაციის გავრცელებისაგან
და ნუ შეიყვანენ საზოგადოებას შეცდომაში", -
აცხადებენ სააგენტოში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჯანსაღი ერი და ონავარი მანქანები

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით,
ჰაერის დაბინძურებით გამოწვეული დაავადებებით
ყოველწლიურად დაახლოებით 2 მლნ ადამიანი იღუპება.

ჯერ კიდევ 2003 წელს ბრიტანული კომპანიის კვლევების შედეგად,
თბილისი ევროპაში ყველაზე დაბინძურებულ დედაქალაქად აღიარეს.
ჰაერის დაბინძურებაში 90% მანქანების წილია.
საქართველოს მასშტაბით თბილისში ტრანსპორტის 40% მოძრაობს.

საზღვარგარეთიდან ჩამოყვანილი მანქანების უმრავლესობას
არ აქვს სპეციალური ფილტრი,
რომელიც მავნე გამონაბოლქვს მინიმუმამდე ამცირებს.

ასეთი მანქანა 15-ჯერ მეტი რაოდენობით მავნე ნივთიერებას აფრქვევს. თბილისში, ქალაქის მოცულობის მიხედვით,
11 სანვავის შემმოწმებელი პუნქტი უნდა იყოს,
თუმცა მხოლოდ 2-ია.

ყველა მხარე მხოლოდ ერთ საკითხზე თანხმდება -
თბილისი ეკოლოგიური კატასტროფის წინაშეა,
მაგრამ სავალალოა პრობლემის განხორციელების პროცესი -
იმის ნაცვლად, რომ ახალი რეკრეაციული ზონები იქმნებოდეს
და არსებული ფართოვდებოდეს,
"ურბანული განვითარების" მოტივით
ათასწლოვანი ხეები კვლავ იჩეხება...

## თავისუფლებისმოყვარე ერი და ცუგრუმელა სტატისტიკა

მსოფლიოს ეკონომიკური ფორუმის კვლევის თანახმად,
2060 წლისთვის 4-5 წამში ერთხელ
ჰაერის დაბინძურების შედეგად ერთი ადამიანი გარდაიცვლება.



ეკონომიკური ფორუმი იმ ქვეყნების ჩამონათვალს აქვეყნებს,
სადაც ჰაერის დაბინძურების შედეგად
ყველაზე ბევრი ადამიანი იღუპება.

სერბეთი - 100 000 მოსახლეზე 137.2 გარდაცვლილი
რუმინეთი - 100 000 მოსახლეზე 138.2 გარდაცვლილი
უკრაინა - 100 000 მოსახლეზე 139.1 გარდაცვლილი
სიერა ლეონე - 100 000 მოსახლეზე 142.3 გარდაცვლილი
ჩინეთი - 100 000 მოსახლეზე 163.1 გარდაცვლილი
ალბანეთი - 100 000 მოსახლეზე 171.4 გარდაცვლილი
ბულგარეთი - 100 000 მოსახლეზე 174.8 გარდაცვლილი
ბოსნია და ჰერცოგოვინა - 100 000 მოსახლეზე 223.6 გარდაცვლილი
ჩრდილოეთ კორეა - 100 000 მოსახლეზე 234.1 გარდაცვლილი
საქართველო - 100 000 მოსახლეზე 292.3 გარდაცვლილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ამაყი ერის უვარგისი ხორცი

ექსპერტები საგანგაშოდ მიიჩნევენ
თბილისის ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებას.
გარემოს დაცვის სააგენტოც არ უარყოფს,
რომ დაბინძურების დონე აღემატება ზღვრულად დასაშვებ ნორმას.

გაურკვეველია, სახელმწიფო მალავს
ქალაქში შექმნილ მდგომარეობას
თუ მოძველებული ტექნიკის გამო ვერ ახერხებს
ზუსტი ანალიზის გაკეთებას.
პრობლემა უხარისხო საწვავისა
და მეორადი ავტომანქანების იმპორტით
კიდევ უფრო მწვავდება.



თავს იჩენს შიდა პრობლემებიც,
როგორიც არის დაუსუფთავებელი ქუჩები
და უკონტროლოდ მიმდინარე მშენებლობები.

2010 წელს ჰაერის მოწამვლით გარდაცვლილთა
ეკონომიკური ღირებულება 35.2 პროცენტს გადასცდა.
შედეგად, „მსოფლიოს ეკონომიკური ფორუმის" მონაცემებით,
საქართველო მსოფლიოში ყველაზე დაბინძურებული ჰაერით გამოირჩევა.

## ერი, სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველი

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების
სამინისტროს ინფორმაციით,
ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებას
უმთავრესად ავტოტრანსპორტი იწვევს.

მრავალი კვლევით დადგინდა,
რომ თბილისში მოძრავი ავტომობილების უმეტესობა
ტექნიკურად გაუმართავია
და დიდი რაოდენობით საწვავს მოიხმარს.

ძველ მანქანებს ხშირ შემთხვევაში
არც აქვთ კონვერტერი (იგივე გარდამქმნელი),
რომელიც ზოგიერთი მავნე ნივთიერების გამოყოფას შეამცირებდა.

რამდენიმე წლის წინ ხელისუფლებამ გააჟღერა ინიციატივა
ავტომობილების ტექნიკური დათვალიერების აუცილებლობის შესახებ,
თუმცა აღნიშნული საკითხი გაურკვეველი დროით გადაიდო.

როდესაც ხელისუფლების ვალდებულებებზე ვსაუბრობთ,
მნიშვნელოვანია ასოცირების შესახებ
საქართველოსა ევროკავშირს შორის
2014 წელს მოწერილი ხელშეკრულებაც,
რითაც ქვეყანამ აიღო ვალდებულება გაატაროს რეფორმები
გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების სფეროში.

ჰაერის დაბინძურების საკითხი
მთელი სიმწვავით განსაკუთრებით მაშინ დგება,

ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა იმ ზიანზე ვიღებთ ინფორმაციას,
რასაც დაბინძურებული ჰაერი იწვევს.

ამერიკის გარემოს ეროვნული ინსტიტუტის თანახმად,
იმ დაავადებების ჩამონათვალი,
რასაც დაბინძურებული ჰაერი იწვევს, საკმაოდ გრძელია.
ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება იწვევს
ასთმას, ფილტვის კიბოს.
ჰაერში შეწონილი მტვრის ნაწილაკების მუდმივი ზემოქმედება
ზრდის გულსისხლძარღვთა დაავადებებს.

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის ინფორმაციით,
ქალაქებში სადაც ჰაერის დაბინძურების დონე მაღალია,
სიკვდილიანობის მაჩვენებელი 15-20% -ით მაღალია
სუფთა ქალაქებთან შედარებით.

ცნობისათვის, International Energy Agency-ის კვლევის თანახმად,
ჰაერის დაბინძურებით გამოწვეული სიკვდილიანობის მიხედვით,
100 ათას მოსახლეზე საქართველო პირველ ადგილზეა.

## მშვიდი დედა თამარი, მშობელი

გარემოს დაბინძურების მონიტორინგის
დეპარტამენტის უფროსის მოადგილე თამარ მაღლაკელიძე
ზღვრულად დასაშვებზე 2,6-ჯერ მეტ მაჩვენებელს
საგანგაშოდ არ მიიჩნევს.

ჯანდაცვის ექსპერტ-ტოქსიკოლოგი ინგა ღვინერია ამბობს,
რომ დედაქალაქში ქრონიკულად დაბინძურებული ჰაერია.
შედარებით სუფთა უბნებშიც კი არასახარბიელო მდგომარეობაა,
რაც უშედეგოდ არ ჩაივლის.



თავს იმით ვიმშვიდებთ,
რომ არ აღემატება ათჯერ და ოცჯერ დასაშვებ ზღვარს.
ამბობენ, მაჩვენებლები საგანგაშო არ არისო,
აბა, გაეცნონ სტატისტიკას,
დაესწრონ ონკოლოგების კონფერენციებს
და მერე თქვან, არის თუ არა თბილისში დაბინძურებული ჰაერი,
ნახონ, როგორ გახშირდა ბავშვებში ალერგია
და რესპირატორული დაავადებები.

მავნე ნივთიერებების შესუნთქვას
უეცარი ეფექტი არ ახლავს,
მაგრამ განსაზღვრული ხნის შემდეგ
სერიოზული პრობლემები იჩენს თავს.

საშიშია ბავშვების მდგომარეობა,
რომელთა ორგანიზმშიც ყველაზე მეტი რაოდენობით ხვდება მტვერი,
რადგან მიწასთან ახლოს არიან.

თბილისში ცხოვრება ასევე რთულია
ქრონიკული ავადმყოფებისთვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მალხაზ ხარბედია

# შალამოვი და შიმშილი




ალბათ არაერთხელ გვითქვამს ერთმანეთისთვის, „ნუ გეშინია, შიმშილით არ მოვკვდებით" – დამაიმედებელი სიტყვები, რომელიც უძლურებისა თუ შესაძლებლობების გარდა გარემოს, ღმერთს, მეგობრებს, ნათესავებსა და სხვ. რამეებსაც გულისხმობს. სიტყვები, რომელიც ყოველთვის გარკვეულ თავისუფლებას, ღია მოლოდინს გულისხმობს. მაშინაც ასე ვამბობთ, როცა დახმარებას ველით, როცა გარშემო ადამიანები ცხოვრობენ. მაგრამ როცა სტალინურ გულაგში ხარ და ყველანაირი იმედი უკვე დავიწყებულია, გულაგში, სადაც თავისუფლება აღარ არსებობს, გამქრალია, ასეთ სიტუაციაში სიტყვები „ნუ გეშინია, შიმშილით არ მოვკვდებით" აზრს კარგავს, რადგან რეალურად მოხვდი ადგილას, სადაც შიმშილით შეიძლება მოკვდე. მეტიც, შიმშილით მოგკლან. შალამოვის მოთხრობების ყველა კრებულს ეს საფრთხე გასდევს, შიმშილით სიკვდილის რეალური საფრთხე. ხშირად მასთან მთავარ თემად იქცევა შიმშილი და სხვა თემებიც, როგორც წესი, შიმშილთან კავშირში იშლებიან.

გულაგში ყველა ადამიანური გრძნობა ქრება – სიყვარული, მეგობრობა, შური, კაცთმოყვარეობა, კეთილშობილება, გულმოწყალება, დიდების წყურვილი, სამართლიანობა. ქრება ხორცის უკანასკნელ ნაჭერთან ერთად, ბოლო გემრიელ ლუკმასთან ერთად ტოვებს პატიმარს ეს გრძნობები. მათ სხეულში მხოლოდ ბრაზი რჩება, რისხვა, ყველაზე ხანგამძლე ადამიანური გრძნობა.

მის მოთხრობებში არაერთხელ შეხვდებით მდგომარეობას, როცა საკვები ზუსტად იმდენ ენერგიას იძლევა, რომ მხოლოდ ბრაზი ასაზრდოოს, ხშირად დათრგუნული, ჩახშობილი ბრაზი. მოთხრობაში „სენტენცია", რომელიც ნადეჟდა მანდელშტამს ეძღვნება, შალამოვი თავის თავზე ამბობს, სხეულს ძალიან ცოტა სითბო ჰქონდა შერჩენილი, ჩემს ძვლებზე კი ხორცის თხელი ფენა იყო გადაკრული, რაც მხოლოდ ბრაზისთვის იყო საკმარისი. შემდეგ რაღაც პერიოდის მანძილზე ნელ-ნელა ხორცს იკიდებს მთხრობელი, რადგან ახალ, ნაკლებად მძიმე სამუშაოზე გადაიყვანეს და ბრაზის გარდა კიდევ ერთი გრძნობა ჩნდება, შიში, რომ არ დაკარგოს ეს სამუშაო. შემდეგ შური უბრუნდება პატრონს, გულგრილობაც ბრუნდება. სიყვარული არ ბრუნდება. ვინ იცის, შეიძლება არც არასდროს დაბრუნდეს. სიბრალულის გრძნობაც ბრუნდება, მაგრამ სიყვარული არა. სხვათა შორის, ცხოველებისადმი სიბრალული გაცილებით ადრე ბრუნდება, ვიდრე ადამიანებისადმი.

მწერალი გადასახლების პირველ დღეებს იხსე-

ელექტრონული
ბიბლიოთეკა






ნებს, როდესაც მავთულხლართებიდან უყრიდნენ პურებს ახალ პატიმრებს და ისინი, ნამგზავრი, დაღლილი, მოშიებული „ახალბედები" ხარბად ჭამდნენ პურს, თუმცა ერთმანეთსაც უტეხდნენ და სთავაზობდნენ, იყოფდნენ ულუფებს. მათ არ იცოდნენ, რომ ამ კეთილშობილ ჩვევას მალე დაივიწყებდნენ. რომ ცოტა ხანში პურის ყოველი ნამცეცისთვის ბრძოლა გახდებოდა საჭირო.

ისევ გრძნობებს დავუბრუნდეთ, დაკარგულს თუ შერჩენილს. მოთხრობაში „შედედებული რძე" (Сгущённое молоко) შალამოვი წერს, რომ შიმშილისგან შურიც კი ჩლუნგდებოდა და უძლური ხდებოდა, როგორც ჩვენი ყველა სხვა გრძნობა. პატიმრებს ძალა არ ჰყოფნით გრძნობებზე, ძალა არ ჰყოფნით უფრო ადვილი სამუშაოს მოსაძებნად, სასიარულოდ, სარბენად, საჩალიჩოდ, გაკითხვებისთვის და თხოვნებისთვის. შიმშილისგან თავბრუ ესხმით, გულისრევის შეგრძნება აქვს, სხვადასხვა ტკივილი აწუხებთ. ერთმა პერსონაჟმა შეშა დაუჩეხა მოსახლეს და იგი არაფრით გაუმასპინძლდა, წუხილით თქვა, სუპი და პური გოჭებს ვაჭამეთო. ეს ამბავი აგიჟებს ვასკას („ვასკა დენისოვი, ღორების გამტაცებელი"), სულ ამაზე ფიქრობს, გოჭებმა შეუჭამეს სუპი და პური. როგორ მოხდა ეს? ნუთუ შესაძლებელია ასეთი უსამართლობა? ბოლოს ადგება და შეიპარება საკუჭნაოში, ჯერ ხახვის ტომრებს მიადგება, ბურღულის ტომრებსაც აღმოაჩენს და უცებ ხედავს გაყინული ღორებია დახვავებული. ვასკა სიბრაზისგან ღმუის, რადგან ამ ყინულის ლოდებს ნამცეცსაც კი ვერ აცლის. ერთი მთლიანობაა, ყურსაც ვერ აახევ ისე არიან ჩაკირული. ხსნა მალე გამოჩნდება, რადგან იქვე გაყინული გოჭებია, ხვდება, რომ პატარას უფრო მოერევა. ვასკას თვალთ უბნელდება, მეტს ვეღარაფერს არჩევს, მოაგლეჯს ერთ გოჭს ძირითად გროვას და ხელში უკავია, გულში ჰყავს ჩაკრული, როგორც თოჯინა, როგორც ბავშვი და გასასვლელისკენ მიდის, მაგრამ ხალხს ვერაფერს გამოაპარებ. ხალხი გამოეფინება და ვასკას მოსდევს. ვიღაცა ისვრის, ვიღაცა ყვირის, ვასკა კი გარბის, არაფრის დანახვა და გაგონება არ უნდა. გოჭით ხელში ერთ–ერთ დაწესებულებაში შევარდება, ხელს კრავს მორიგეს, გაირბენს დერეფანს და კულტურის განყოფილების გამგის კაბინეტში შევარდება, გაივლის კაბინეტსაც და წითელ კუთხეში გამოიკეტება. კარგად ჩარაზავს კარს, სკამებით და ტრიბუნით ჩახერგავს, ჩაჯდება იატაკზე, მოიმარჯვებს უმ, გაყინულ გოჭს და ღრღნის, ღრღნის... როცა მსროლელების რაზმი გამოიძახეს და კარები შეამტვრიეს, ვასკას უკვე ნახევარი გოჭი ჰქონდა შეჭმული.

გულაგის რაციონსაც შევეხოთ. შალამოვი აღნიშნავს, ოქროს ფხვნილს უფრო მეტს მოვიპოვებდით, ვიდრე შაქრის ფხენილს გვაძლევდნენ პატიმრებსო. ცხიმი აქ თითქმის არ არსებობს. პური სველია და ნებოვანი, კალორიების მთავარი წყარო ბურღულეულია, ასევე თევზი, რომელიც ხორცის მაგიერია – დაჟანგებული ქაშაყი, ცილების ლამის ერთად–ერთი წყარო. ამ ცილების, ცხიმების, ვიტამინების და ა.შ. რაოდენობრივი ნორმები ცალკე ცხრილშია ჩამოწერილი. ეგ კიარა, ნორმა ყველაზე ერთნაირად ვრცელდებია, დაბლებზეც და მაღლებზეც, დიდებზეც და პატარებზეც. მოთხრობაში „მოკური თერაპია" ავტორი კითხულობს, თუ რატომ არ ითვალისწინებენ ცოცხალ წონას, როცა ცხიმების, ცილების და ვიტამინების ცხრილებს აკეთებენ. ეს საშუალო დოზა მხოლოდ დაბალ, გამხდარ ტიპებს ერგებოდათ. ერგებოდათ, რა თქმა უნდა, ხმამაღალი სიტყვაა, მათ უფრო თავი გაჰქონდათ. მაღლები კი ცუდ დღეში ვარდებოდნენ. ყველაზე ბოლოს „პატარები" კვდებოდნენ. სამუშაოზეც, დავარდნილ „პატარას" იშვიათად ნახავდი. სამი კოვზი ფაფა ხომ მარტო მადის აღსაძვრელად თუ გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოადგებოდათ დიდებს. რაც არ უნდა მიჩვეული ყოფილიყავი მძიმე ფიზიკურ შრომას და რაც არ უნდა გამოცდილება გქონოდა, თუ დიდი იყავი, ნასული იყო შენი საქმე. ამიტომ უსუსური ინტელიგენტი უფრო დიდხანს ძლებდა, ვიდრე კალუგელი გიგანტი, რომელიც მთელი ცხოვრება მიწას თხრიდა. თუკი მათ ერთნაირი რაციონი ექნებოდათ, აუცილებლად ასე მოხდებოდა. როგორც წესი, პირველები ესტონელები, ლატვიელები და ლიტველები კვდებოდნენ. ზოგი ამბობდა, ეს ბალტიისპირელები რუსებზე გაცილებით სუსტები არიანო, არადა უბრალოდ, უფრო დიდები იყვნენ.

იმისთვის, რომ უკეთ გეჭამა, უკეთ უნდა გემუშავა და პირიქით, უკეთ რომ გემუშავა, უკეთ ან მეტი უნდა გეჭამა. ვინც ნორმას შეასრულებდა, კილოგრამ პურს იღებდა და კიდევ ერთი კილოგრამის ყიდვა შეეძლო მაღაზიაში. თუმცა ნორმის შესრულება წარმოუდგენელი რამ იყო, მიუღწეველი ამოცანა. ამიტომ ზოგიერთებმა ეშმაკობაც მოიფიქრეს. ერთ დღეს ერთი მეორეს ეხმარება, ცდილობს იმ ერთს შეასრულებინოს ნორმა და შედეგად იღებენ 2 კგ. პურს, ამას მიუმატეთ დამხმარესთვის გამოწერილი საჯარიმო 300 გრამი და თითოეულისთვის უკვე ნორმალური ულუფა გამოდიოდა. შემდეგ დღეს პირიქით ხდებოდა და ასე წყვილ–წყვილად ახერხებდნენ ერთმანეთის გატანას. ერთხელ თურმე მთელი თვე ასე ჭამდნენ პურს. აიწყვეს ცხოვრება. თან ათისთავი კარგი კაცი იყო, ხვდებოდა ეშმაკობას, მაგრამ არ იმჩნევდა. აწყობდა კიდეც ასე, რადგან ადამიანები ძალიან არ სუსტდებოდნენ, ყოველთვის ჯანზე იყვნენ, შრომისუნარიანები და შედარებით მხნეები. გამომუშავებაც არ კლებულობდა. ბოლოს ვიღაცამ გაიგო ეს ამბავი და მორჩა ერთმანეთის დახმარება და პურისჭამა.

იმ წლებში ლაგერის შესასვლელებში უზარმაზარი ტრანსპარანტები იყო გამოკრული: "შრომა ღირსების, დიდების, სიმამაცისა და გმირობის საქმეა". არადა ეს იყო ადგილი, სადაც ფიზიკური შრომის სიძულვილს ასწავლიდნენ. ზოგადად შრომას აუულებდნენ. აქაურ შრომას არანაირი შედეგი არ მოჰყვებოდა. არც მატერიალური სარგებელი, არც მდგომარეობის გაუმჯობესება, არც კათარსისი. არაფერი. ამიტომ ყველა ცდილობდა თავი აერიდებინა შრომისთვის, მაგრამ ეს მხოლოდ „ბლატარებს" და ათასი ჯურის რეციდივისტებს გამოსდიოდათ კარგად. წლების მანძილზე ცოდნა და გამოცდილება ბევრი დაუგროვდათ პატიმრებს, სად, რომელ სამუშაოზე სჯობდა წასვლა, რამდენკაციან ჯგუფში და ა.შ. მაგრამ ამ ცოდნას იშვიათად იყენებდნენ. მაგ. ყველამ იცოდა, რომ საუკეთესო სამუშაო ისაა, სადაც სულ 2, 3, 4 ადამიანი მიჰყავდათ. 20–40 კაციანი ჯგუფები, როგორც წესი, ყველაზე მძიმე საქმეზე მიდიოდნენ. ხერხებიც ჰქონდათ როგორ მოხვედრილიყვნენ პატარა ჯგუფებში. ამ დროს ყველა ღასწრებაზე იყო. სხვათა შორის, დიდ ბრიგადებშიც იყო გამონათებები, როცა მიწაზე სამუშაოდ კი არა ბოსტნეულის საწყობში ან პურის ქარხანაში მიჰყავდათ. ერთი სიტყვით, იქ, სადაც საჭმელი იყო.

გულაგში არაფერი გახარებს. სიხარული და მოსვენება არაფერს მოაქვს. თავიდან ვერ იძინებ, იმიტომ, რომ ფეხები გაქვს გაყინული, მაგრამ დროთა განმავლობაში გაყინული ფეხებითაც ახერხებ ჩაძინებას. ერთი კარგი ცნება აქვს შალამოვს, „სიახლის მყრალი სუნი", რაც ნიშნავს, რომ ახალ ნივთს რაღაც სიმყრალედ აღიქვამენ. არ შეუძლიათ მისი დანახვა. ღიზიანდებიან. აქ ხეებიც კი შეიძლება გამაღიზიანებელი იყვნენ. მაგ. რომელიმე დაბალი ხე, მზისკენ ტრიალით გატანჯული. ეს ხეები თოკებივით იყვნენ დაგრეხილი ამ ბრუნვა–ტრიალისგან, ამიტომ აღარაფრისთვის ვარგოდნენ. გადახერხავდი, მაგრამ ნაჯახით მისი დაჩეხვა შეუძლებელი ხდებოდა უცნაური ტანის, უსწორმასწორო, დაწნული ქსოვილის გამო. სამაგიეროდ, ხეები ჩრდილოეთში ადამიანებივით კვდებოდნენ და ზოგჯერ ამით იწვევდნენ თანაგრძნობას, ისინი დაწოლილები კვდებოდნენ.

ბანაკში ყველაზე მეტად, რა თქმა უნდა პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულები იტანჯებიან. მათ არაფერი ესაქმებათ პროდუქტების მაღაზიებთან, სადაც მხოლოდ ყოფით დამნაშავეებს (бытовик) და რეციდივისტებს შეუძლიათ პროდუქტის ყიდვა. ეს ბევრს მოსვენებას უკარგავს და იმის ნაცვლად, რომ სამუშაოს შემდეგ ნარებზე იწვნენ და ისვენებდნენ, მაღაზიასთან დგანან და შოკოლადისფერ გიგანტურ პურის თავებს, „ბუხანკებს" აშტერდებიან. თავბრუ ესხმით ამ სურნელისგან და მაღაზიიდან გამოსასვლელადაც ვერ პოულობენ ძალებს. ხანდახან მათ თავი ანგელოსები ჰგონიათ, რადგან ლაგერის წლებით ყველა ცოდვა გამოისყიდეს. და კიდევ ერთ მნიშვნელოვან რამეს ჩაწვდნენ: ფიზიკურად ძლიერი ადამიანი ყოველთვის უკეთესია ფიზიკურად სუსტზე, მათ უფრო აფასებენ. მეტი შანსი აქვთ ყველაფერში. იგი უფრო ფასეულია და თქვენ წარმოიდგინეთ, ზნეობრივადაც უფრო მაღლა დგას. გულაგში ასეთი სწავლებაა ყოველ შემთხვევაში. ამიტომაცაა გაკვირვებული ვინმე ივან ივანოვიჩი, მოთხრობიდან „მშრალი ულუფა", რომელსაც საბადოებზე მუშაობის პირველი თვეების მანძილზე პატივს სცემდნენ, მაგრამ ახლა, შედარებით ასაკოვანი და დაუძლურებული, ვერ ხვდებოდა, რატომ იგდებდა ყველა აბუჩად, რატომ ნამოარტყამდნენ ხოლმე – ხან მედღევე, ხან დალაქი, განმწესებელი (нарядчик), მამასახლისი (староста), ბრიგადირი თუ მებადრაგე.

პატიმრები (მათ შორის დაუძლურებულებიც) ჩუმ–ჩუმად თავადაც ამზადებენ საჭმელს. ძნელია მას კერძი დაარქვა. შალამოვი წერს, საჭმლის მომზადება პატიმრისთვის ყველაზე გამორჩეული, განსაკუთრებული სიამოვნებააო. შენი ხელით მომზადებული ხომ გაცილებით გემრიელად იჭმება, ვიდრე ყველაზე გამოცდილი მზარეულის მიერ მომზადებული კერძი. მათ არაფერი იციან კერძის მომზადებისა, მაგრამ მაინც საოცრებებს ქმნიან, ასე ჰგონიათ. მართალია იმავე ქვაბში ამზადებენ თავიანთ მწირ ულუფას, რომელშიც თეთრეული გამოხარშეს (ტილების დასახოცად), მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს, მთავარია ოცნებას იხდენენ.

ისინი ადნობენ თოვლს, ადუღებულ წყალს სვამენ, შეიძლება ერთი ან ორი ქლიავის ჩირი ჩააგდონ და მოხარშონ. ზოგი პურის კანს ხარშავს და ცხელ

ეროვნული ბიბლიოთეკა




წყალს აყოლებს, რომელსაც წვიმის და პურის სუნი აქვს. ვიღაცას გაყინული კომბოსტოს რამდენიმე ფოთოლი აღმოაჩნდება – ეს უკვე ბორშია ამხანაგებო. ისინი სულ ერთმანეთის ჭურჭელში იყურებიან, მაგრამ ვინ გაცლის საკუთარი შემოქმედებით ტკბობას ან სხვის ქვაბში ცქერას. ლაგერის უფროსი კოვალენკო და საბადოს „ნაჩალნიკი" რიაბოვი შემოცვივდებიან, გადმოაპირქვავებენ ყველაფერს და თითოეული ქვაბის ფსკერს გახვრეტენ. არის ქვაბები, ესეიგი ისიც არის, რაც ქვაბში შეიძლება მოამზადო, ეს კი კმაყოფილების ნიშანია, ხოლო კმაყოფილებას ჩვენ არ დავუშვებთ! დაზარალებულები იატაკზე დაყრილს აგროვებენ, ყველა თავის კერძს ჭამს, გუბარევი კომბოსტოს ნაფლეთებს, შალამოვი აზელილ შავქლიავს და სინცოვი – პურის ფაფას. მუჭა–მუჭა ფხეკენ და ჭამენ თავიან კულინარიულ შედევრებს.

კიდევ რას ჭამენ? იჭერენ თაგვებს, ყორნებს, თოლიებს, ციყვებს და მათ მიირთმევენ. თუმცა მანამდე ცოტა ხნით მიწაში მარხავენ, რადგან თურმე სპეციფიკურ გემოს ნებისმიერი გარეული ცხოველი მხოლოდ მიწაში დამარხვის შემდეგ კარგავს. არსებობს დესერტიც, ყველაზე გემრიელი და სასარგებლო. ეს კენკრაა. ზამთრის კენკრა. შალამოვი ასკილს აღწერს ერთიორგან გემრიელად, მოყინულს, გამუქებულს, ასევე წითელ მოცვს, კიდევ უფრო გემრიელს, გადამწიფებულს, მონაყინს, ყინვით ნაფერებს. ლურჯ მოცვს, მტრედისფერი რომ დაკრავს ან ხასხასა ლურჯი ფერისას, მოკუჭულს, დანაოჭებულს, შეჭმუხნილს, როგორც ტყავის ცარიელი საფულე. იგი თავის თავში მუქ, მოლურჯო–მოშავო წვენს ინახავს, ენით აღუწერელი გემოს წვენს. ზამთრის მონაყინ კენკრას სულ სხვა გემო აქვს, მწიფობის პერიოდის კენკრისგან განსხვავებული, როცა უფრო ქორფა და წვნიანია კენკრა. ზამთარში, ყინვებისას გემო გაცილებით დახვეწილი ხდება. პატიმრები კონსერვის ქილაში აგროვებენ კენკრას, ზოგს, მაგ. რიბაკოვს მოგროვებული კენკრა მზარეულისთვის მიაქვს, ის კი სამაგიეროდ პურს აძლევს. შალამოვს ასეთი დამკვეთები არა ჰყავს, ამიტომ პირდაპირ ბუჩქიდან ჭამს კენკრას, ენით აჭყლიტავს სასაზე, კენკრა სკდება და შალამოვი წამიერ ექსტაზში იძირება. კენკრის მოგროვებისას შეიძლება ზონის საზღვრებთანაც გახვიდე, სადაც დაცვა აუცილებლად გესვრით. ერთხელ ასე ესროლეს რიბაკოვს, მოკლული რიბაკოვის შეუვსებელი ქილა კი შალამოვმა აიღო. ალბათ სწორედ მას შეხვდა იმ დღეს შეპირებული პური, ან პურის ნახევარი. ამ მოთხრობაში ბოლოს კიდევ ერთი დეტალია, ვინმე სეროშაპკა, ვინც ისროლა და მოკლა რიბაკოვი, მთხრობელს ეუბნება: „შენთვის მინდოდა მესროლა, მაგრამ არა და არ გადააბიჯე საზღვარს, სვოლოჩ!"

თითქოს ციხის ულუფა წმინდათა–წმინდად ითვლება. მას ბლატარებიც არ გართმევენ, ამ ულუფის დაწერება არ შეიძლება, არაა კარგი საქმე, მაგრამ ლაგერში სხვანაირადაა, აქ ხელსაც მოგაჭრიან თუ მუჭიდან არ გაუშვი პური. ამიტომ პურს წამშივე ჭამენ, არავინ რომ არ წაართვას. როგორია წამიერად 500–600 გრამი პურის გადაყლაპვა? თან მთლიანად ვერ გადაყლაპავ, არც თოლიები ვართ ადამიანები და არც ანაკონდები. უნდა დატეხო და ისე ჭამო, რაშიც ძვირფასი დრო იკარგება, ამასობაში ბლატარებმა შეიძლება ხელიდან გამოგტაცონ პური. არ დათმობ და გცემენ, მოგკლავენ, მაგრამ მაინც წაგართმევენ.

ამანათების ამბავი კიდევ უფრო მძიმეა. ჩამოსულ ამანათებს ყოველთვის ხსნიან და ამოწმებენ. გახსნა მტვრევას გულისხმობს. ავტორს არასდროს დაავიწყდება ამ ფანერების აძრობის, ყუთების მსხვრევის ხმები. ასე ხვდებოდნენ მრავალთვიანი მოგზაურობის შემდეგ ამანათებს, ასე ამტვრევდნენ მზრუნველი ხელით ჩალაგებულ ამანათებს. ხანგრძლივი მოლოდინის შემდეგ ყუთი პატრონთან კიარ ხვდებოდა, ჯერ მას იატაკზე ანარცხებდნენ მოხერხებული თანამშრომლები, ანარცხებდნენ ისე, რომ მეორედ დახეთქება არც დასჭირვებოდათ და ყუთებიც სკდებოდნენ, ტკაცანით სკდებოდნენ და მოცვიოდა, იფანტებოდა იატაკზე შაქრის ნატეხები, ჩირი, დამპალი ხახვი, მახორკის დაჭეჭყილი, დაპრესილი შეკვრები. ეს ვითომ შემოწმება იყო. ბევრი რამ იქვე რჩებოდა დაყრილი, ადრესატებს მხოლოდ ნაწილი ერგებოდათ ხოლმე. ერთ–ერთ მოთხრობაში შალამოვის ამანათიც ასე გასკდა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადმოიყარა შავქლიავის ჩირი, თითქოს ტყავისგან დამზადებული, ელვარე. მაგრამ იგი რომ შაქარს უფრო ელოდა? შაქარი სადაა? თან ეს შავქლიავიც აულ ერთი მუჭაა. იქვე იყო თბილი ჩექმები (ბურკე-ბი). რად უნდა ბურკები? რა თავში იხლის? ბურ-კებს ხომ ან ქურდი წაართმევს, ან ზედამხედველი. ამიტომ ახლა სასწრაფოდ უნდა მოასწროს და გა-ყიდოს ეს დათბუნული ჩექმები, იყიდოს შაქარი, კი-ლოგრამი კარაქი და კილოგრამი პური.

ამავე სცენაშია, მთხრობელი გაბნეულ შაქრის ნატეხებს უყურებს და ფიქრობს, რომ ეს შაქარია და არა ყინული ან თოვლი, რომელიც ყელში ამოვი-და უკვე. იგი ხელებში კი არ დადნება, არამედ წუწ-ნისას. უყურებს შაქარს და ითვლის რამდენ ხანს ეყოფა ერთი ნატეხი. ზუსტად შეუძლია განსაზღვროს ეს დრო, რადგან მის მდგომარეობაში გათვლებს და მათემატიკას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. მოთხრო-ბაში „მშრალი ულუფა" სამუშაოდ ტყეში მიდიან და მშრალ ულუფას ატანენ, „სუხოი პაიოკს" – პურ-ღულეულს, შაქარს, თევზს, ცხიმებს. ეს ყველაფე-რი ტომარაშია და როგორც სოსისები, ისეა დაყო-ფილი თოკებით. ბრიგადის წევრები ყველა თავის ულუფას ინაწილებს, ზოგი აკურატულად ახვევს და ანაწილებს თავის წილს, სხვები კი ბუშლატის ჯი-ბეებში იყრიან ყველაფერს, მაგ. პურღულეულს. შა-ქარს „პორტიანკაში" ახვევენ, შიდა ჯიბეში მთავარ განძს ინახავენ – სიგარეტის ნამწვებს, „ბიჩოკებს". ეს ულუფა 10 დღიანია და წარმოიდგინეთ რა საში-ნელებაა, როცა ამ ერთი ბეწო საკვების მრავალ ნა-წილად გაყოფა გიწევს. აქ იწყება შიმშილის მთელი მათემატიკა. თუკი ვიანგარიშებთ, რომ დღეში სამ-ჯერ უნდა ჭამონ, რა თქმა უნდა 30 ნაწილი გამო-დის. საუზმე–სადილი–ვახშამი. ზოგი ფიქრობს, რომ ჯობია 20 ნაწილად დაყონ და დღეში ორჯერ ჭამონ. პური მხოლოდ 2 დღის სამყოფი აქვთ, მას ათისთა-ვი ჩაუტანს ხოლმე. მათ უკვე მობეზრებული აქვთ ბარაკის საჭმელი. მობეზრდათ ყოველდღიური ლოც-ვა იმის შესახებ, რომ სუპი თხამპალა კიარა, სქელი მოიტანონ, რომელსაც წამიერი ხვრეპით კიარა, ნე-ბა–ნება, ნელ–ნელა მიირთმევენ. თან რაღაცნაი-რად უნდა შეირგონ ეს ტყის სამუშაოები, ისინი ხომ დროებით არიან აქ, „კურორტზე", მალე მათ სხვები შეცვლიან „გამასაჯანსაღებელ სამუშაოებზე", ისი-ნიც უნდა მოვიდნენ აზრზე, მათაც უნდა „ამოისუნ-თქონ".

მალე გაარკვევენ, რომ წამოღებული პურღული არ ჰყოფნით, რადგან იძულებული არიან მხოლოდ ორჯერ მოხარშონ დღეში, ამიტომ კენკრას და სო-კოს აგროვებენ, იჭერენ თაგვებს და ფრინველებს, თუმცა არც ეს ყოფნით და თითო დღეს მარტო პურს ჭამენ. იმაზეც ფიქრობენ, სრული შიმშილობის ერ-თი დღე ხომ არ გამოვყოთ მეტი ეკონომიისთვისო. შემდეგ ასკვნიან, რომ სჯობს თხელი ფაფა გააკე-თონ. ყველაზე მთავარი და კარგი კი ის არის, რომ აქ ოთხივე მეგობრობს და ერთმანეთს არაფერს მო-პარავენ, აქ არ არიან რეციდივისტები, ლოთი მზა-რეულები, ქურდბაცაცა მესაწყობეები, გაუმაძღა-რი ზედამხედველები. ერთი პირობა იმასაც გაივ-ლებენ გულში, ყველა პროდუქტი ერთიანად ხომ არ შევჭამოთ, დავბრუნდეთ, მოვიხადოთ სასჯელი კარ-ცერში და შემდეგ ისევ გამოვიდეთ სამუშაოდო. მაგ-რამ არა, ვერ ბედავენ ასეთ თამამ ნაბიჯს, რადგან ბედისწერაში ნებისმიერი ჩარევა, ღმერთების ნე-ბის წინააღმდეგ მოქმედება მათთვის ულირსი საქ-ციელი იყო და თან ლაგერის ქცევის კოდექსსაც ეწინააღმდეგებოდა.

ასეთ ბედისწერაში ჩავარდნილები ხშირად ოც-ნებობენ საკვებზე. მათი სიზმრები, ფიქრები, საუბ-რები გასტრონომიით ივსება. ჩნდება გასტრონო-მიული იგავ–არაკები, ნატვრები, ერთიდაიგივე სიზ-მრები იმაზე, თუ როგორ მოფრინავენ ჭვავის პუ-რის უზარმაზარი თავები და როგორ ჩაუფრენენ ეს „ბუხანკები" პატიმრებს.

მოთხრობაში „დეიდა პოლია" მთავარი გმირი ბანაკში სახელმოხვეჭილი მზარეულია. ერთხელაც ავად გახდება და პატივისცემის ნიშნად ამანათებს უგზავნიან პატიმრები. დეიდა პოლია ძღვენს მხო-ლოდ გემოს უსინჯავს, დანარჩენს კი სანიტარ გო-გოებს აძლევს. წევს პალატა N 2–ში და სადილსა და ვახშამს შორის პერიოდში აუცილებლად იწყება ხოლმე რაიმე გასტრონომიული ამბის თხრობა. რო-მელიმე ავადმყოფი აუცილებლად წამოიწყებს გემ-რიელ ისტორიას, არა იმდენად მადის გაუმჯობესე-ბისთვის, რამდენადაც მშიერი ადამიანის მოთხოვ-ნილებისთვის, კვებითი ემოციების გასაცოცხლებ-ლად.

სხვათა შორის, ამდენი შიმშილითა და ცუდი საკ-ვებით პატიმრის მუცელი სულაც არაა გაქვავებუ-ლი და გაუხეშებული. პირიქით, მშიერი პატიმრის გემური მგრძნობელობა დაუჯერებლად ძლიერია



ეროვნული ბიბლიოთეკა




და ზუსტი. იგი სადეგუსტაციო ლაბორატორიასავითაა, დეტალებში შეძლებს განსაზღვროს შაქრის რაოდენობა საკვებში, მისი მჟავიანობა, ცხიმიანობა და ა.შ.

ოცნებობენ რომელიღაცა ზღვისპირა ადგილზე მოხვდნენ. იქვეა, კოლიმაზე, მაგრამ მაინც შორსაა მათგან. იქ თევზაობენ, ე.ი. საჭმელია, ნადირობენ, ე.ი. კიდევ ერთხელ საჭმელია. კოლმეურნეობებია – სამგზის საჭმელი! და ირმების ჯოგებიც ჰყავთ – ოთხგზის საჭმელი! იქ კეტა და გარბუშა აქვთ. ერთხელაც, სულ ბოლოს, გათავისუფლებისას, ეს ოცნება ახდება, სწორედ ამ ორი ორაგულისებრის, კეტასა და გარბუშაზე თევზაობის პერიოდში ჩადის შალამოვი იქ. ამ თევზით ვერ უმასპინძლდებიან, მარტო თევზის სუპი გვაქვს, ისიც გუშინდელი, ალბათ არ შეჭამო. როგორ არ შეჭამს!

ეს ამბავი გათავისუფლებისას ხდება, თუმცა ერთიორჯერ მცირე შვება პატიმრობისასაც ეწვევა ავტორს. ზემოთ „შედედებული რძე" ვახსენე, მოთხრობა, სადაც ვინმე შესტაკოვი გაქცევაზე „ეჩალიჩება" შალამოვს, გეგმასაც წარმოუდგენს, სინამდვილეში კი მატყუარაა, გაქცეულებს როგორც წესი დაცვას ან მდევარს უგდებს ხელში, თვითონ კი სხვაგან გადაჰყავთ, უფრო თბილ ადგილას. შალამოვი მალე ხვდება ჩანაფიქრს და მოითხოვს, ცოტა უნდა მოვძლიერდე, ისე ვერ გავიქცევიო. იქნებ „შედედებული რძე" მიშოვოო. 2 ქილას დააყუმბარებს მთხრობელი და ბოლოს ეტყვის, გადავიფიქრე „გაქცევაო". შესტაკოვი რამდენიმეს მაინც დაიყოლიებს. ერთ კვირაში გაიქცევიან, 2–ს მოკლავენ, 3–ს დაიჭერენ და ერთი თვის შემდეგ გაასამართლებენ, შესტაკოვი კი სხვაგან გადაჰყავთ. 6 თვის შემდეგ შეხვდება შალამოვი ამ ტიპს, სუფთად გაპარსულს, გამაძღარს, კუზოკრულ წინდებში. არც კი ესალმება სიამაყით სავსე და შეიძლება ნაწყენიც, იმით, რომ 2 ქილა „სგუშონი მალაკო" ტყუილად აჭამა პატიმარს.

ძალების აღდგენაზე კიდევ ერთი ეპიზოდი გამახსენდა. შალამოვი იმდენად მისუსტებულია, საავადმყოფოში აწვენენ. მოთხრობა აწონვით იწყება, არავის სჯერა, რომ ადამიანი ასეთი მჩატე შეიძლება იყოს. აწონვას დიდხანს ძილი მოსდევს. ჭამის თავიც კი არა აქვს. გამოღვიძებულს ყველაფერი ერთად დახვდება ლოგინთან, იატაკზე – რამდენიმე დღის საუზმეები, სადილები, ვახშმები. იწყებს თქვლეფას და პურის პატარ–პატარა ნაჭრებს აყოლებს. შემდეგ ისევ იძინებს, ისევ ჭამს და მალე სიარულსაც იწყებს, დადის და ეძებს ადამიანებს, რომლებიც ღეჭავენ, ყლაპავენ, კბეჩენ... პირში უყურებს მათ, და რაც მეტს ისვენებს, მით უფრო უნდება ჭამა.

მოთხრობებში არაერთხელ შეხვდებით განსჯებს კერძის კონსისტენციის შესახებ. მაგ. ლაგერში კოვზებს არ იძლეოდნენ, „ბორტიდან" ჭამდნენ, მოყუდებით. არც სუპი და არც ფაფა არასდროს ყოფილა ისეთი სქელი, რომ კოვზი დასჭირვებოდათ, თხამპალა იყო და მოყუდებითაც ადვილად იცლებოდა. შემდეგ თითები, პურის კანი და ენა ერთვებოდა საქმეში, მათი დახმარებით ხდებოდა ჯამის მოპრიალება. თუმცა ფსკერისკენ სუპი საკმაოდ სქელი ხდებოდა. ეს საუკეთესო ნაწილი იყო, რომელიც არასდროს ხვდებოდათ პოლიტიკურებს, რადგან ბლატარების ბარაკებში მიდიოდა. ისეთებიც იყვნენ, ვინც მოითხოვდა, რომ ფსკერის სუპი ყველაზე სუსტებისთვის და მშრომელებისთვის დაერიგებინათ. კამათებიც იყო ზედამხედველებს შორის. ექსპერიმენტებსაც ატარებენ, მაგრამ საბოლოოდ ისეთ დასკვნამდე მიდიან, რომ ხალხს ყინვა ამუშავებს და არა კარგი კვებაო.

აი ერთი ასეთი ექსპერიმენტი. აჭმევენ მისუსტებულებს ამ ფსკერის სუპს თუ ფაფას და მებადრაგე უმტკიცებს ოპონენტს, აზრი არა აქვს და ჩაფლავდება შენი ექსპერიმენტიო. მოთხრობის ბოლოს საინტერესო დასკვნაა. ის ადამიანი, ვისაც ეს საცოდელი ფსკერის ფაფა აჭამეს, თავს იკლავს და შალამოვი ფიქრობს, ეს იმიტომ მოხდა, რომ ძალა შეიძინა, ძალა და გაბედულება, რომელიც თვითმკვლელობისთვის სჭირდებოდაო. ფაფის ეს პორცია საკმარისი აღმოჩნდა სიკვდილის გადაწყვეტილების მისაღებად, ის ხომ უბრალოდ ნისლში წავიდა, იმის იმედით, რომ ესროდნენ. ასეა, ხანდახან უნდა იჩქარო, რათა სიკვდილის ნება არ დაკარგო ადამიანმა.

„სიკვდილის ნებაზე" ერთ–ერთი ყველაზე შთამბეჭდავი მოთხრობაა „შერი–ბრენდი", ოსიპ მან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დელშტამის ბოლო დღეების შესახებ. სათაურიც, როგორც ხედავთ, მისი ლექსიდანაა გამოტანილი: მომაკვდავ პოეტს მოშივდება, მაგრამ ახსენდება, რომ სუპი სხვას მისცა. აქვს მხოლოდ ადუღებული წყალი. პური ძალიან დიდი ხნის წინ აილო. გუშინდელი პური კი მოპარეს. ვიღაცას, როგორც ჩანს, კიდევ ჰქონდა ქურდობისთვის ძალები შემონახული. დილით ფანერის ლანგრებით პურს ჩამოატარებენ. უკვე აღარ განიცდის პურის მოსვლას, ნაჭრებს აღარ არჩევს, არ ადარდებს ყუა შეხვდება (საყვარელი ნაჭერი) თუ სხვა ნაჭერი, აღარ ტირის, თუკი ჯუას ვერ პოულობს. აღარ იტენის სურნელოვან ჭვავის პურს, აღარ დნება ეს პატარა ნაჭერი პირში, არ ქრება. აღარ ხდება ეს სასწაული. ხომ არსებობს სასწაულები, ჰოდა აქ, გადასახლებაში ეს იყო სასწაული, თუ როგორ ქრებოდა ენაზე პური, როგორ დნებოდა. უკვალოდ. უცებ მას ხელში პურის ნაჭერი ჩაუდეს, დღიური ულუფა, და მან თავისი უსიცოცხლო თითებით პირთან მიიტანა, პირზე მიიკრა ეს ნაჭერი, ცინგიანი კბილებით ცდილობდა ჩაკბეჩას, მაგრამ კი არ კბეჩდა, კბენდა. სისხლი სდიოდა ღრძილებიდან, კბილები ერყეოდა, მაგრამ ტკივილს ვერ გრძნობდა. ძალით იტენიდა პურს, წოვდა, გლეჯდა, ღრღნიდა. მეზობლები ეუბნებიან, ნუ, სულ ნუ შეჭამ, მერესთვის შემოინახე, მოგვიანებით შეჭამე: „და პოეტი მიხვდა. ფართოდ გაალო თვალები, თან ჭუჭყიანი მოლურჯო თითებით ისევ გასისხლიანებული პური ეჭირა.

როდის მერე? – გარკვევით და ცხადად თქვა და თვალები დახუჭა.

საღამოს მოკვდა".

შალამოვი ბოლოს მაინც შენიშნავს, რომ ეს ისტორია სიკვდილით არ სრულდება, ისევე როგორც არც.ერთი სიცოცხლის ამბავი არ სრულდება მხოლოდ სიკვდილით. ამბის ბოლო კი ასეთი იყო, პოეტი კიდევ ორი დღე იწვა მკვდარი თავის ლოგინში, მეზობლებმა მოახერხეს და კიდევ ორი დღის მანძილზე მიცვალებულის ულუფას იღებდნენ. მის წილს ჭამდნენ. მიცვალებული ხელს წევდა, როგორც მარიონეტი და მას პურს უტოვებდნენ: „აქედან გამომდინარე – პოეტი უფრო ადრე გარდაიცვალა, ვიდრე ამას მისი გარდაცვალების თარიღი გვეუბნება – ეს კი საკმაოდ მნიშვნელოვანი დეტალია მისი მომავალი ბიოგრაფებისთვის".

რა თქმა უნდა, შალამოვის პროზაში ასეთი ეპიზოდები არაა ყველაზე დამთრგუნველი და მძიმე. გაცილებით უფრო რთული ალსაქმელია კანიბალიზმის შემთხვევები, ხანდახან მასობრივი კანიბალიზმისაც, რომელსაც მწერალი არაერთგან აღწერს. თუმცა დავანებოთ თავი კანიბალიზმს და გავიხსენოთ მომენტი, როცა მაგ. ქაშაყი ჩამოატარეს ბარაკში. წარმოიდგინეთ, ქაშაყის დღეა და უზარმაზარ ფანერაზე დახვავებული თევზის ნაჭრები მოაქვთ. შუაზე გაჭრილი ქაშაყები. ქაშაყს დილაობით გასცემდნენ, დღეგამოშვებით, ნახევარ–ნახევარს. კალორიების და ცილების რა გათვლები იყო ამ პორციაში, კაციშვილმა არ იცოდა და არც არავის აინტერესებდა ეს სქოლასტიკა. როცა ჩამოატარებდნენ, ყოველი მხრიდან ისმოდა ასობით ადამიანის ჩურჩული – „კუდები, კუდები...". ორივე ნაჭერს თავისი უპირატესობა ჰქონდა. კუდებში, [illegible] ზობდნენ მეტი ხორცი იყო, მაგრამ თავი სანაგიეროდ მეტ სიამოვნებას განიჭებდა, სანამ ლაყუჩებს გამოწუწნიდი და თავის ქალას გამოაკრიალებდი, თვალებიანად. ქაშაყი გამოუშიგნავი რიგდებოდა და ეს ყველას მოსწონდა. ძვლიან–კანიან–ფარფლიან–შიგნეულიანად ჭამდნენ. ყველაზე მეტად მაშინ განიცდი, მაშინ ნერვიულობ, როცა ფანერის ეს უზარმაზარი ლანგარი გიახლოვდება (ზემოთ მანდელშტამთანაც იყო ამგვარი ეპიზოდი, და საერთოდაც არაერთგანაა შალამოვთან მსგავსი განცდები). ფიქრობ, პატარა რომ შეგხვდეს? გამოცვლა კი არ შეიძლება. ვიღაცას, ვინც ამ თევზს ჭრის, წარმოდგენა არა აქვს, ამ ათგრამიან განსხვავებას რამხელა დრამა შეიძლება მოჰყვეს, ხანდახან სისხლიანი დრამაც. იღებ ნაჭერს და ეფერები, ცდილობ გაიგო, მშრალი ნაჭერი შეგხვდა თუ ცხიმიანი, თუმცა ეს სასწაულის მოლოდინია, რადგან ოხოტის ზღვის ქაშაყი არასდროს არაა ცხიმიანი. თავიდან ჭამა გენანება და ლოკავ, მანამ სანამ ხერხემლის ძვალი არ დარჩება მხოლოდ. შემდეგ ძვლების ღეჭვა იწყება, ნელა, ფრთხილად და სულ მალე ძვლებიც ქრებიან. დგება პურის ჯერი. 500 გრამია მთელს დღე–ღამეზე. როგორც ვიცით, პურს ყველა მაშინვე ჭამს. ასე უფრო საიმედოა, არც არავინ მოგპარავს და ვერც წაგართმევენ. და არც ძალები გაქვს მის დასაცავად. ოღონდ არ უნდა იჩქარო და წყალი არ უნდა დააყოლო. არ უნდა ღეჭო. უნდა წუწნო პური, როგორც შაქარი, როგორც შაქარყინული. შემდეგ უკვე შეგიძლია ჩაის ტოლჩა მოიყუდო. ეს ჩაი არაა, უბრალო თბილი წყალია, რომელსაც ფერი პურის დამწვარი კანით აქვს მიცემული.

პური, როგორც ხედავთ, შალამოვის წიგნების ერთ–ერთი მთავარი გმირია. ისტორიებიც ბევრი აქვს პურთან დაკავშირებული: ერთხელაც სამუშაოდ პურის ქარხანაში წაიყვანეს და ლამისაა შეიშალოს სურნელის გამო, რომელიც ნესტოებს, ტვინს, ყველა გრძნობას აფეთქებს. ერთ–ერთი თანამშრომელი, ოსტატი, ჩაიდანს, ხილფაფიან ქილას და დიდ თაე თეთრ პურს მოუტანს. როცა ოსტატი წავა, ცეცხლფარეში გამოჩნდება და იტყვის, რა წუწურაქია, უმაღლესი ხარისხის პურის მოტანა დაენანაო და გავა, ცხელ–ცხელს შემოიტანს, ყველაზე მაღალი ხარისხისას. იმ ძველ, ოსტატის შემოტანილ პურს ლუმელში შეუძახებს და გაიცინებს. ცეცხლფარეში იცინის, პატიმრები კი გაოგნებულები იყურებიან, რატომ შეაგდე, ჩვენ წავიღებდითო. ის პასუხობს: ნუ გეშინიათ, წასაღებადაც მოგცემთო. გადის დრო და მთხრობელს კიდევ დიდხანს დაესიზმრება ცეცხლფარეშის მხიარული სახე და ლუმელში შეგდებული პური. აქ ერთი დეტალია კიდევ. იმდენად უძლურები არიან პატიმრები, რომ პურის „ბუხანკასაც" კი ვერ ტეხავენ. ცეცხლფარეშს ეკითხებიან, დანა ხომ არა გაქვსო და მას უკვირს, რად გინდათ დანაო და მარტივად უტეხავს პურს. ეცემიან ორთქლიან სასწაულს. ჭამენ. ცხელი ოფლი სდით.

ჭამისას ხშირად ასლოკინებთ და ოფლიანდებიან. ჭამენ ყველაფერს, ცხენებს პარავენ ქერს და ფაფას ხარშავენ. თუ გამოიჭირეს, სჯიან. დღესას-

ნაულებზე ფაფას სუპზე ადრე ჭამენ, პურს კი ცეცხლზე წვავენ ან წყალში ხარშავენ. გაზაფხულობით ხასიათზე მოდიან და ერთმანეთსაც იგდებენ, ხრიკებს უწყობენ სხვა პატიმრებს. დადებენ პურს და როგორც თაგვს, ისე იჭერენ რომელიმე დამშეულს. შემდეგ ცემენ და ამცირებენ. ერთი ხანობა ამერიკული ძღვენიც ჩამოდის, ჩაშუშული ხორცის კონსერვები (ტუშონკა), ძეხვი, სოლიდოლი და სხვ. „დელიკატესი". გარდა ამისა, შიგადაშიგ ნადირობენ კიდეც. ამ შემთხვევითი ნადირობისას იჭერენ მაგ. კაკაბს და თვითონ არასდროს ჭამენ, უფროსის ცოლს აძლევენ, რომელმაც შეიძლება ცოტაოდენი პური ან შაქარი გაიმეტოს. ასევე უფროსის ცოლს მიართმევენ იხვს, რაშიც შჩის და 2 ნაჭერ პურს მიიღებენ.

უფროსობის რაციონი, რა თქმა უნდა, განსხვავებულია. ჯერ ერთი მათ სახლებში (ოთახებში) მთელი ზამთრის განმავლობაში ქათმები და ღორები დაუდით. და კიდევ, არც ერთი უფროსი სპირტის გარეშე დღეს არ გაატარებს. 200 ლიტრიანებით უდგათ ეს სპირტი და ნელ–ნელა თუ ჩქარ–ჩქარა ჩადიან ფსკერამდე. არაყს აქ, ჩრდილოეთში, არავინ კადრულობს. მხოლოდ სპირტი.

განსაკუთრებული თემაა შალამოვთან მოწევა და მასთან დაკავშირებული სიამოვნება. მოწევას ორმაგი დატვირთვა აქვს. თავიდანვე უნდა ითქვას, რომ „პერეკური" დამოუკიდებელ ცნებად ყალიბდება მასთან და შეიძლება საერთოდაც არ იყოს დაკავშირებული თამბაქოსთან და მოწევასთან. „პერეკური" უბრალოდ დასვენებაა, შესვენება, ხანდახან არც თამბაქოა და არც მახორკა, მაგრამ პერეკურია. სიტყვა „დასვენებაზე, შესვენებაზე" ტაბუ იყო დადებული, ძალიან ოდიოზურად ჟღერდა, ამიტომ პერეკური ჰქონდათ. საათში ერთხელ დასვენება დანაშაულია, ხოლო საათში ერთხელ პერეკური ჩვეულებრივი ამბავი.

როცა თამბაქო არაა, მწეველები შავი მოცხარის ფოთლებსაც აშრობენ და იწყება დისკუსიები, როგორც წესი ცხარე (იქ ხომ სულ ცხარე დისკუსიებია), თუ რომელი უფრო გემრიელია, მოცხარის ფოთლები თუ წითელი მოცვისა. არიან ისეთებიც, რომლებიც იტყვიან, რომ არც ერთი არ ვარგა, რადგან ორგანიზმი კვამლს კიარ ითხოვს, არამედ ენამს, ნიკოტინს, და ტვინის უჯრედებს კენკრის ფოთლებით ვერ მოატყუებდი. თუმცა ეგ არ იყო მთავარი, არამედ ის, რომ ხშირად, მოცხარის გამომშრალი ფოთოლიც ბუნებრივი „კამუფლიაჟი" იყო. თავისუფლების, სულის მოთქმის საშუალება.

ამანათით მიღებული, „მატერიკიდან გამოგზავნილი" მახორკა ძალიან ძვირად ფასობდა. ნამდვილი, „ბელკა" ან „კრემენჩუგ N2". მთხრობელი ოცნებობს ამ მახორკაზე, ოცნებობს როგორ გაიბოლება, მოწევს და მოწევს, ყველას მოაწევინებს, პირველ რიგში მათ, ვინც თავად უმასპინძლდებოდა და მთელი წელი გადაავგორებინეს. ხანდახან პატიმრებს თამბაქოს ურიგებენ კიდევაც, გადაძველებულ, უვარგის თამბაქოს, ჯარის საწყობებიდან მოხსნილს, ვადაგასულს.

ბოლოს ისევ გრძნობებს მინდა დავუბრუნდე და შალამოვის კიდევ ერთი მოთხრობა გავიხსენო, „ათენის ღამეები". ავტორი ტომას მორის „უტოპიიდან" ადამიანის ოთხ ძირითად გრძნობას იმოწმებს, რომელთა დაკმაყოფილებაც უდიდესი ნეტარებაა. პირველ ადგილზე იგი შიმშილს აყენებს. შემდეგ სქესობრივ გრძნობას ახსენებს, შარდვას და დეფეკაციას. ამ გრძნობებზე ბევრს ლაპარაკობს შალამოვი, მაგრამ გრძელი განსჯებისა და დაწვრილებითი მოგონებების შემდეგ ერთ დასკვნამდე მიდის, რომ მორს კიდევ ერთი გრძნობა დაავიწყდა, მეხუთე. ესაა ლექსის წაკითხვის, ლექსის მოსმენის მოთხოვნილება, სიამოვნება, რომელიც შიმშილის მოკვლის, სქესობრივ მოთხოვნილებებს, შარდვასა და კუჭში გასვლის უკან დგას. მესმის, ვილაცისთვის შეიძლება უადგილო იყოს ამ მეხუთე ელემენტის დამატება, მაგრამ ვინც შალამოვის პროზას კარგად იცნობს, დამეთანხმება, რომ არაფერი ამაღლებული და უხერხული ან ყალბი ამაში არაა. ბევრს გამოგიცდიათ ალბათ თავი ასეთ სიტუაციაში. როცა შიმშილში და გაჭირვებაში, მიტოვებულობაში, სიმწარეში და გაურკვევლობაში საყვარელი ლექსის სტრიქონს იმეორებთ. ხშირად კი უბრალოდ რიტმის დაჭერას ცდილობთ. საკუთარი თავის, არსებობის აწყობას, დალაგებას მარცვლებად და მახვილებად.



ელექტრონული ბიბლიოთეკა

ნანა კობაიძე

# თამარ ჯაფარიძე – „ცუდი თარგმანი მწერალსაც კლავს და მკითხველის გემოვნებასაც ანადგურებს"



წლებია ეს წიგნი სახლში მიდევს, მაგრამ მთარგმნელის (უფრო სწორად, მთარგმნელების) ვინაობა მეხსიერებაში მხოლოდ მასთან შეხვედრის შემდეგ ამომიტივტივდა. რადიარდ კიპლინგის ცნობილი ზღაპრების - "აი, როგორ და რატომ" 2006 წლის გამოცემა, გაფორმებული ანტონ ბალანჩივაძის მშვენიერი ილუსტრაციებით, რომლის კითხვა და თვალიერება ერთნაირად გვიყვარდა მეც და იმ დროს ჩემს შვიდი წლის შვილსაც, თამარ ჯაფარიძის მთარგმნელობითი დებიუტია. პირველად 1988 წელს დაიბეჭდა და არაერთი მოზარდის გული დაიპყრო. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა. თამარ ჯაფარიძემ ჰენრი მილერიც თარგმნა, მარგარეტ ეტვუდიც, ჯონ ფაულზიც, ირვინ უელშიც და არუნდატი როიც, თუმცა ოცდასამი წლის ასაკში გადმოქართულებული კიპლინგის ზღაპრები დღემდე მისი უსაყვარლესი ნამუშევარია.

## შექსპირული ისტორიები

პროფესიის ხიბლს ოჯახში ეზიარა: დედა, ნელი საყვარელიძე მთარგმნელი გახლდათ. თავადაც მის კვალს გაჰყვა. მანამდე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაამთავრა, ინგლისური ენისა და ლიტერატურის განხრით. იქვე სტილისტიკის კურსსაც უძღვებოდა. დისერტაციას წერდა, როდესაც დედამ კიპლინგის ზღაპრებზე დაიწყო მუშაობა. სწორედ მაშინ დაინტერესდა ამ საქმიანობით. თარგმნის პროცესი ძალიან მოეწონა. მის მიერ თარგმნილი ზღაპრები დედის თარგმანთან ერთად გამოქვეყნდა და უამრავი ბავშვის საყვარელ გამოცემად იქცა. ორიოდე წელიწადში კიპლინგს სხვა, არანაკლებ მნიშვნელოვანი ავტორი მოჰყვა, რომლისკენაც გზა ასევე მნიშვნელოვანმა პიროვნებამ გაუკვალა.

**"ნიკო ყიასაშვილმა, რომელიც ჩემი მასწავლებელიც იყო და ოჯახის მეგობარიც, შექსპირის ბოლო პიესა - "ჰენრი მერვე" მათარგმნინა. იმ პერიოდში ხელახლა გამოდიოდა ინგლისელი დრამატურგის ხუთტომეული, სადაც დედას მიერ გად-**

**მოქართულებული ორი პიესაც ("როგორც გენებოთ" და "აურზაური არაფრის გამო") შევიდა. 80-იანი წლების დასასრული იდგა, მძიმე წლები. სამწუხაროდ, პოლიტიკური ვითარება გამწვავდა, დაფინანსება შეწყდა და მხოლოდ სამი ტომის გამოცემა მოესწრო. ბევრი თარგმანი, მათ შორის, ჩემიც, აღარ დაბეჭდილა. ერთად-ერთხელ გამოქვეყნდა ნაწყვეტი ჟურნალ "ჭოროხში".**

ძველ საბეჭდ მანქანაზე აკრეფილი ეს ტექსტი დღესაც შენახული აქვს და ჩახედვის ეშინია, არადა, მოსმენამ დიდი აჟიოტაჟით ჩაიარა. გოგი ნიშნიანიძემ და თამარ ერისთავმა ახალბედა მთარგმნელს ხელობა მოუწონეს, თუმცა სტუმართა შორის კრიტიკულად განწყობილნიც აღმოჩნდნენ. ერთ-ერთი ზვიად გამსახურდია გახლდათ, იმხანად თავადაც დაინტერესებული შექსპირის თარგმნით. რამდენჯერ გადაწერეთ ნამუშევარიო? – უკითხავს დებიუტანტის "თავხედობით" გაღიზიანებულს (მოგვიანებით ტონი შეარბილაო – იხსენებს ქალბატონი თამარი). ქალიშვილის თამამი ექსპერიმენტი დიდად არც დედას გახარებია. საყვედურიც კი უთქვამს ნიკო ყიასაშვილისთვის, მაგრამ დრომ აჩვენა, რომ ცნობილი შექსპიროლოგი არ ცდებოდა.

**„ამ ადამიანმა ღრმა კვალი დატოვა ჩემს ცხოვრებაში. ყველა ნიჭიერი კაცის მსგავსად, ძალიან უყვარდა ახალგაზრდების გამხნევება. არც აღფრთოვანების გამოხატვას ერიდებოდა. საინტერესო პერიოდი გავიარეთ ერთად. იმდენად მენდობოდა, "ულისეს" ერთი ნაწილის რედაქტორობაც კი მანდო. ამ წიგნს დიდხანს თარგმნიდა – 33 წელი. ყველა დეტალს ჩაჰკირკიტებდა. თითოეულ ფრაზაზე, ეპიზოდზე ვმსჯელობდით. ხშირად ცხარედაც გვიკამათია. იმ წლებმა ბევრი რამ მასწავლა."**

"ჰენრი მერეეს" კიდევ ერთი, მანამდე უცნობი ტექსტი - "დაკარგული სტრიქონები" მოჰყვა, რომელიც მედეა ზაალიშვილთან ერთად გადმოაქართულა. ამით გასრულდა მის ცხოვრებაში შექსპირის პერიოდი და დაიწყო დრამატურგიის ხანა. ახმეტელის თეატრში ლიტერატურულ მიმართულებას უძღვებოდა და პიესებსაც თარგმნიდა. არ გახლდათ იოლი საქმე. მუშაობის სხვაგვარ სტილს და განსხვავებულ მიდგომას მოითხოვდა: **"თუ ტექსტის თარგმნისას თავს მკითხველად წარმოიდგენ, აქ მაყურებლად უნდა იქცე და ფრაზა გაიგონო. მარჯვე, ცოცხალი ფრაზის გარეშე პიესა ვერ შედგება."**

თეატრში მუშაობამ მნიშვნელოვანი გამოცდილება შესძინა. ეს წლები მისი ბიოგრაფიის რთული, თუმცა საინტერესო ეტაპია, რომელიც დიდი რომანების პერიოდით გაგრძელდა.

## მილერი და მილერამდე

ფართო მკითხველმა ჰენრი მილერის "კირჩხიბის ტროპიკის" თარგმანით გაიცნო. ამ ტექსტზე მუშაობა პროფესიონალიზმთან ერთად გამბედაობასაც მოითხოვდა. რეპუტაცია ასევე სკანდალური, თუმცა ნაკლებად ცნობილი ნაწარმოებით გაიარა: "მილიონ პატარა ნაწილად" (2003) თანამედროვე ამერიკელი მწერლის, ჯეიმს ფრეის რომანია, სადაც ავტორი, ყოფილი ნარკომანი, თავის მძიმე წარსულზე გვიამბობს. ჟარგონითა და სკაბრეზით დახუნძლული წიგნი საკ-




მაოდ რთული სათარგმნი აღმოჩნდა. იმ პერიოდში ქართულ ენაზე მსგავსი ლიტერატურა არც არსებობდა. მართალია, რომანი, რომლის რედაქტორი ან... ჭაბაშვილი გახლდათ, მხოლოდ ელექტრონული სახით გამოეიდა, მაგრამ სწორედ ეს ნამუშევარი გახდა მისი ვიზა თუ საშვი მილერისკენ მიმავალ გზაზე: სკანდალური და საკულტო "კირჩხიბის ტროპიკის" თარგმნა გამომცემლობა "დიოგენემ" სწორედ მას შესთავაზა.

რომანი მილერის ავტობიოგრაფიული ტრილოგიის პირველი წიგნია, სადაც ამერიკიდან გადახვეწილი მწერალი თავისი პარიზული ცხოვრების დეტალებს აღწერს - სიღატაკის, სიბილწის, გაჭირვების, სექსის სურნელით გაჟღენთილს, ამავდროულად, სიცოცხლის წყურვილით სავსეს. პარალელურად, არც მშობელი ამერიკის კრიტიკას ერიდება, საიდანაც კიდევ უფრო მძიმე ვითარებას გამოექცა. მილერის უხეში ნატურალიზმი და სკაბრეზით სავსე ენა, მთავარი გმირის შეულამაზებელი სახე და დაუფარავი ნააზრევი მიუღებელი აღმოჩნდა მაშინდელი საზოგადოებისთვის. პირველი ტირაჟი სულ რაღაც 1000 ცალი გამოიცა. რამდენიმე ეგზემპლარმა ინგლისსა და ამერიკაშიც ჩააღწია, სადაც მაშინვე აკრძალეს. საბედნიეროდ, დიდმა მწერლებმა ამ ყველაფრის მიღმა მონათესავე სული იგრძნეს და მილერის სახით ახალი ვარსკვლავის დაბადება იწინასწარმეტყველეს. ჯორჯ ორუელმა "კირჩხიბის ტროპიკს" 30-იანი წლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რომანი უწოდა, სემუელ ბეკეტმა – "მონუმენტური მოვლენა თანამედროვე ლიტერატურის ისტორიაში;" ნორმან მეილერმა ასწლეულის საუკეთესო რომანთა ათეულში დაასახელა,

თუმცა მკითხველი დიდი ხნის განმავლობაში ეჭვით უყურებდა ამ უცნაურ წიგნს.

**"კირჩხიბის ტროპიკი" ამერიკაში გასული საუკუნის 60-იან წლებამდე აკრძალული იყო. მიზეზი მხოლოდ უხეში ნატურალიზმი და სკაბრეზის სიუხვე არ გახლდათ, რის გამოც ინგლისისთვის აღმოჩნდა მიუღებელი. ამერიკელებმა მილერს ქვეყნის კრიტიკა არ აპატიეს. სამაგიეროდ, ფრანგები აფასებდნენ, განსაკუთრებით – პარიზელები. პარიზს მასავით ვერავინ გრძნობსო, ამბობდნენ. მიუხედავად იმისა, რომ სიძვის დიაცივით გააშიშვლა, სიგიჟემდე უყვარს ეს ქალაქი. უყვარს ისეთი, როგორიც არის: ცოცხალი, წინააღმდეგობებით სავსე, ამოუცნობი. პარიზელები ხვდებოდნენ ამას და სიყვარულითვე პასუხობდნენ."**

საყოველთაო აკრძალვების ფონზე რომანი რუსულადაც ითარგმნა, თუმცა შემოკლებებით. მანამდე, 1964 წელს, პარიზში დაბეჭდილი 200 რუსულენოვანი ეგზემპლარი პორნოგრაფიის ბრალდებით საზღვარზე გაანადგურეს. როგორც ჩანს, მოგვიანებით ამერიკის კრიტიკამ მორალური ღირებულებები გადაწონა, თუმცა რუსულ თარგმანში სკაბრეზი გარკვეულწილად შერბილებულია, რიგი პასაჟები – ამოღებული. ყველაფრის მიუხედავად, იმ პერიოდისთვის თამამი ნაბიჯი იყო. **"ქართულმა ლიტერატურამ მსგავსი ტექსტების თარგმნა გვიან დაიწყო. საზოგადოების ნაწილისთვის ეს ყველაფერი დღესაც მიუღებელია, მაგრამ თუ გვინდა, რომ მსოფლიო ლიტერატურულ პროცესებს არ ჩამოვრჩეთ, აუცილებლად უნდა ვთარგმნოთ. იცით, რამდენი სკაბრეზია შექსპირთან, მაჩაბლის მიერ გაპატიოსნებული? მართალია, ნართაულად, შეფარვით, მაგრამ აზრი ხომ ეს არის?"**

მილერზე მუშაობა გაუჭირდა, თუმცა სირთულის მიუხედავად, ერთ-ერთ საუკეთესო თარგმანად მიიჩნევს. ეს კრიტიკოსთა შეფასებებმაც დაადასტურა და მოკლე დროში ამოწურულმა ტირაჟმაც. თავი და თავი, რასაკვირველია, ტექსტი იყო.

**"უდიდესი არა, მაგრამ ნამდვილად დიდი ლიტერატურაა. საეტაპო რომანი, რომელმაც გასული საუკუნის ლიტერატურულ ქსოვილში მნიშვნელოვანი სიახლე შემოიტანა და დიდი გავლენა მოახდინა შემდგომი პერიოდის ავტორებზე. სხვათა შორის, ჯეიმს ფრეი, ლეშადქცეული ნარკომანი, რომლის შესახებაც ზემოთ მოგახსენებდით, მძიმე სენისგან სწორედ "კირჩხიბის ტროპიკმა" იხსნა. გაგიკვირდებათ, მაგრამ ასეა და ამის შესახებ წიგნის შესავალშიც წერს: იმ პერიოდში, როცა ყველაზე მეტად მიჭირდა, სიცოცხლის სურვილი მილერის შემოქმედებამ დამიბრუნაო. ბევრი დეპრესიულ ტექსტად მიიჩნევს, არადა, ძალიან ხალისიანი ნაწარმოებია. ხალისიანი იმ თვალსაზრისით, რომ ადამიანის ამოუწურავ შესაძლებლობებზე გვიამბობს. უბრალოდ, სწორად წაკითხვაა საჭირო."**

## გამორჩეული ხმები - როი და ეტვუდი

"ამას წინათ მარგარეტ ეტვუდის "ბრმა მკვლელს" ვკითხულობდი. ისე მშურდა – სიუჟეტი აქვს, მოვლენები ვითარდება, ბედნიერი ისტორიებია... გერმანელები ასე არ წერენ" - მითხრა ორიოდე წლის წინ საუბარში მუზილის, ბროხის, ფროიდისა და იუნგის მთარგმნელმა, მაია ბადრიძემ. და მართლაც, მარგარეტ ეტვუდი აღმოჩნდა ყველაზე იოლი (სხვებთან შედარებით!) და სასიამოვნო სამუშაო თამარ ჯაფარიძის პროფესიულ ბიოგრაფიაში.

**"ძალიან მიყვარს ეს ავტორი, ამიტომ არც თარგმნა გამჭირვებია. ერთ-ერთი საინტერესო თანამედროვე მწერალია. განსაკუთრებით ქალები აფასებენ, რადგან მათთვის მნიშვნელოვან თემებს და პრობლემებს ეხება. არც საქართველოა გამონაკლისი. ჩემ მიერ თარგმნილი ტექსტებიდან "ბრმა მკვლელი" ყველაზე ცნობილი გახდა. ამას ავტორის ნიჭიერება განაპირობებს. ეტვუდი კარგად გადმოსცემს ემოციას, ბევრ ხმაზე წერაც შეუძლია, თუმცა მის ტექსტებში ქალის ხმა მაინც გამოკვეთილად ისმის. ჩემთვის, როგორც მთარგმნელისთვის, ეს ძალზე მნიშვნელოვანია. ყველა ავტორს თავისი ჟღერადობა აქვს, თავისი მელოდია, რაც თარგმნისას აუცილებლად უნდა გაითვალისწინო. არ შეიძლება რილკე შიქასტასავით ჟღერდეს, ეტვუდი – მილერივით. ხშირად მთარგმნელები ამ ხმებს ერთმანეთში ურევენ, რაც არასწორია."**

ქალის ხმა არუნდატისთანაც იგრძნობა, მაგრამ ის სხვა ტიპის მწერალია, ყველასგან გამორჩეული და საოცრად პოეტური. 1996 წელს დაასრულა თავისი პირველი რომანი - "წვრილმანების ღმერთი," რომელმაც არნახული წარმატება და ბუკერის პრემია მოუტანა. გამოცემიდან ძალიან მალე წიგნი არაერთ ენაზე ითარგმნა. თავად გაოცებული იყო მოვლენების ასეთი განვითარებით – უკვირდა, როგორ შეეძლო ამდენი ადამიანის დაინტერესება ესოდენ პირა-



ეროვნული ბიბლიოთეკა

დულ ამბებს. მეტაფორებს თუ არ ჩავთვლით, რომანი, ფაქტობრივად, მწერლის ავტობიოგრაფიაა. მეტაფორებში კონკრეტული ფაქტები იგულისხმება, რომლებიც შეგნებულად შეცვალა. მაგალითად, ძმა ჰყავდა, ოღონდ არა – ტყუპისცალი; დედის ისტორია სინამდვილეში გარდაცვალებით არ დასრულებულა; ინცესტის სცენა, რომელსაც თავისი დატვირთვა აქვს (ძმასთან ერთ სულ და ერთ ხორც გაერთიანების სიმბოლო), მისი გამოგონილია. რაც შეეხება წიგნში აღწერილ ტრაგედიას, ნამდვილად მოხდა, თუმცა "წვრილმანების ღმერთის" პოპულარობა მხოლოდ სიუჟეტის დამსახურება არ არის. არანაკლებ მნიშვნელოვანია ტექსტში გაბნეული დეტალები და ენა, რომელიც პირველივე აბზაცებიდან მორევივით გითრევს და სიღრმეებში გატრიალებს.

**"კითხვა რომ დავიწყე, ცოტა შემეშინდა, იმდენად განსხვავებული ტექსტი იყო. ყველაზე საინტერესო ენის მისეული ხედვაა: ინგლისელი ავტორები ასე არ წერენ. ვერც ასეთ უცნაურ ფორმებსა და შესიტყვებებს იგონებენ. არუნდატი ენის სხვა სიღრმეებს გრძნობს – ინდოელის თვალით დანახულს, გამოხატულად ინდური სურნელით. მსგავსი ხმა პოეტებს აქვთ, მწერლებს – იშვიათად."**

ამ გამორჩეულობის გამო თარგმნა ძალიან გაუჭირდა. ორიგინალის სიღრმის შესანარჩუნებლად ცდილობდა, ჩაღრმავებოდა ავტორის შინაგან სამყაროს: მის გამოსვლებს უსმენდა, ლექციებს აანალიზებდა. საბოლოოდ, მიზანს მიაღწია - "წვრილმანების ღმერთის" ქართული თარგმანი დედანივით პოეტურია. ისევე იგრძნობა ის გამორჩეული ხმა და სურნელი, როგორც ავტორი დაწერდა და მადლობა ამისთვის მთარგმნელს.

## ფრანგი ლეიტენანტის საყვარელი

"ფრანგი ლეიტენანტის საყვარელი" ფაულზის ყველაზე განსხვავებული ტექსტია – საერთოდ არ ჰგავს დანარჩენებს. თარგმნა რომ შესთავაზეს, გაუხარდა, მაგრამ უსიამოვნო მოგონებებსაც შეეხო: **"სტუდენტობისას ამ რომანიდან ზეპირად გვასწავლიდნენ ნაწყვეტებს. ძალიან რთული ნაწარმოებია და ის პერიოდი მწარედ მახსოვს. თარგმნის დასაწყისშიც იგივე განვიცადე: ძნელი იყო, მაგრამ სხვა გზა არ მქონდა - უკან ვეღარ დავიხევდი."**

1968 წელს ინგლისელი მწერალი ჯონ ფაულზი ინგლისის სამხრეთით მდებარე პატარა ქალაქ ლაიმ-რიჯისში დასახლდა. ცხოვრების დიდ ნაწილს ადამიანებისგან მოშორებით, ზღვის სანაპიროზე ატარებდა. სწორედ იქ დაწერა "ფრანგი ლეიტენანტის საყვარელი" (1969), რომანი, რომლის მიხედვით მოგვიანებით ამავე სახელწოდების ფილმი გადაიღეს მერილ სტრიპისა და ჯერემი აირონსის მონაწილეობით. ეს ნაწარმოები მწერლისთვის ერთგვარ ლიტერატურულ ექსპერიმენტად იქცა, რომლის მსგავსსაც, მისივე თქმით, ვიქტორიანული ეპოქის ვერც ერთი რომანისტი ვერ შექმნიდა. და ეს არ იყო ლიტონი სიტყვები. XIX საუკუნის ავტორები იმ პერიოდის ინგლისს საუკეთესო მხრიდან გვიჩვენებენ, ფაულზმა კი ამ საზოგადოების უამრავი სიბინძურე გამოამზეურა. **"ტექსტი საინტერესო აღმოჩნდა ეპოქის თვალსაზრისით. ფაულზის ხედვა მკვეთრად განსხვავდება დიკენსის წარმოდგენებისგან. დიკენსი ინგლისის საზოგადოების ცხოვრებას გარანდულს და გაპატიოსნებულს აღწერს, ფაულზმა კი ქვედა ფენის რეალისტური პორტრეტი დაგვიხატა. რომანში ვიქტორიანული ეპოქის არაერთი საიდუმლოა გამჟღავნებული. ის, რასაც ფაულზი გვიამბობს, თავად ინგლისელებისთვისაც მოულოდნელი იყო - ფაქტობრივად, მთლიანად ამოატრიალა მათი ისტორია. ამიტომაც არის ეს წიგნი მნიშვნელოვანი, თორემ სტილისტური თვალსაზრისით უკეთესი ავტორებიც ჰყავთ."**




სტილს რაც შეეხება, ორიგინალი მძიმე საკითხავი არ არის, თუმცა სხვა ეპოქა იგრძნობა. ფაულზი შეგნებულად იყენებს იმ პერიოდისთვის დამახასიათებელ გრძელ, თითქმის ნახევარგვერდიან წინადადებებს, ვრცელ აღწერებს, გაუთავებელ მეტაფორებს, ავტორისეულ ჩანართებს და ა.შ. ქართულადაც ასე უნდა ყოფილიყო – ძველებური ელერადობისთვის სიმძიმის გარეშე მიეღწია. ტექნიკურად ეს საკმაოდ რთული აღმოჩნდა. ცალკე ისტორია იყო პოეზია - რომანში ჩართული 60-მდე ძველი სტილის, ჩაღვარძნილი ლექსი; ჯოჯოხეთური სამუშაო მთარგმნელისთვის, რომელსაც ბავშვობაშიც კი არ უთამაშია რითმებით. გადატანილი ქარტეხილების მიუხედავად, ფინალი სასიამოვნო აღმოჩნდა: 2015 წელს ამ თარგმანისთვის ლიტერატურული პრემია "საბა" მიანიჭეს. თუმცა ფაულზიც და სხვა ავტორებიც ბავშვურ გასართობად მოეჩვენა იმასთან შედარებით, რაც წინ ელოდა.

## ჩხერკეთელაობა მატარებლის სადგურში

გასული საუკუნის 90-იან წლებში მსოფლიოს Trainspotting-ის ტალღამ გადაუარა. შოტლანდიელი მწერლის, ირვინ უელშის ამავე სახელწოდების რომანი (1993), რომელიც ოთხი ნარკოდამოკიდებული მეგობრის ცხოვრებაზე მოგვითხრობს, ლიტერატურული საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოექცა. ინტერესს ისიც ამძაფრებდა, რომ ახალგაზრდობაში თავადაც ნარკომანი იყო ავტორი და თავისი სამეგობროს რეალურ ისტორიებს გვიყვებოდა. ნატურალისტურად, შელამაზების გარეშე აღწერილმა ეპიზოდებმა მკითხველთა ნაწილი აღაშფოთა, თუმცა, ყველაფრის მიუხედავად, რომანი ბესტსელერად იქცა. პოპულარობას კიდევ უფრო შეუწყო ხელი 1996 წელს დენი ბოილის მიერ გადაღებულმა ფილმმა, რომელიც კრიტიკოსებმა ერთ-ერთ საუკეთესო ბრიტანულ ნამუშევრად აღიარეს (სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ წიგნთან შედარებით კინოვერსია გაცილებით მსუბუქია).

"ჩხერკეთელაობის" მთავარი პერსონაჟები, ედინბურგის დოკერთა ღარიბული რაიონის – ლეიტის მცხოვრებნი – რენტსი, თიშიკო, ქლიავა და ბეგბი ერთი შეხედვით, მხიარული და თავქარიანი ახალგაზრდები არიან, რომელთაც უაზრო და მძიმე ყოფა აქვთ" - ვკითხულობთ ანოტაციაში, თუმცა იმას, რაც რომანში ხდება, მხიარულებასთან საერთო არაფერი აქვს. ეს არის უმძიმესი ნაწარმოები იმაზე, რა ემართებათ რეალურად ნარკოტიკზე დამოკიდებულ ადამიანებს და როგორ ცხოვრობენ ედინბურგის ღარიბი უბნის მაცხოვრებლები. თავად უელში ერთ-ერთი პერსონაჟის, რენტსის პროტოტიპია. მოგვიანებით, დიდი ძალისხმევის ფასად, მწერალმა წამლის "გადაგდება" მოახერხა, თუმცა მისი მეგობრების უმეტესობა ჰეროინმა იმსხვერპლა.

ცოტა ხნის წინ ეკრანებზე ფილმის გაგრძელება გამოვიდა, რამაც რომანის მიმართ ინტერესი ისევ გააღვივა. სწორედ ეს გახდა "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობისთვის" მისი თარგმნის ერთ-ერთი მიზეზი, თუმცა ორიგინალის სიმძიმემ თავიდან სლენგისა და სკაბრეზის "გამოცდილი სპეციალისტიც" (ასე მოიხსენიებს ხუმრობით საკუთარ თავს) კი შეაშინა.

**"წიგნი პირველად რომ გადავშალე, ვერაფერი გავიგე. ეს არ იყო ინგლისურად დაწერილი ტექსტი. ინსტიტუტში ინგლისურის დიალექტებსაც გვასწავლიდნენ, მაგრამ არც შოტლანდიურ დიალექტს ჰგავდა. მერე ფილმი ვნახე და მივხვდი – პერსონაჟების მეტყველება (შოტლანდიური ვარიანტი) ფონეტიკურად იყო ჩაწერილი. დიდი კვლევა-ძიების შემდეგ დავადგინე, რომ საქმე მქონდა შოტლანდიელ მდაბიოთა დიალექტის, ნარკომანთა ჟარგონისა და ახალგაზრდული სლენგის ნაზავთან, თუმცა ამოცანა სამუშაოს არ აიოლებდა. ინგლისელებმა და ამერიკელებმა, წიგნის წაკითხვა რომ ვერ შეძლეს, ტექსტის განსამარტად უელში ლექციებით მიიწვიეს, მე კი მარტოს უნდა გამომევლო ეს ჯოჯოხეთი. სამი თვე ლექსიკონზე ვმუშაობდი. მერე ნელ-ნელა გამოიკვეთა თარგმანის კონტურები".**

ცალკე თემა იყო ჟარგონი და სლენგი. დოკერები, რომელთა წრეშიც მოქმედება ვითარდება, მოსახლეობის უდაბლესი ფენაა დამახასიათებელი მეტყველებით. ამას ემატება არასწორად დაწერილი ფორმები: ოთხივე გმირი განსხვავებული შეცდომებით ლაპარაკობს, რაც საბოლოოდ თითოეულის ენობრივ სტილს ქმნის. უკანასკნელ წვეთად სკაბრეზის წარმოუდგენელი ნაირსახეობა იქცა. თავისდა გასაოცრად აღმოაჩინა, რომ ძალიან ბევრი უცენზურო სიტყვა სცოდნია, თუმცა არასაკმარისი - დედნის განწყობის გადმოსაცემად. ამ მხრივ ინგლისელებმა უსაზღვრო ფანტაზია გამოავლინეს.

**"მხატვრული თვალსაზრისით ნაკლებად მნიშვნელოვანი ნაწარმოებია, თუმცა ძალიან დიდი გამოწვევა მთარგმნელისთვის. ჯერ ერთი, საოცრად მძიმე ტექსტია – ნარკომანია მსგავსი დოზით არსად შემხვედრია. მეორეც – სკაბრეზის, ჟარგონისა და სლენგის წარმოუდგენელი კორიანტელი ტრიალებს. მიშველა იმან, რომ ჩემი თაობის მწერალია და ჟარგონსაც იმდროინდელს იყენებს. რაც მახსოვდა და ვიცოდი, აღვიდგინე, მაგრამ ბევრი რამ შეცვლილია: პირადად მე "ლუდის ბაკალს" არასოდეს დავწერდი. არადა, აღმოჩნდა, რომ "კათხა" აღარაა აქტუალური. ბევრი ვიდავეთ რუსიციზმებზეც, თუმცა იმ დროს სწორედ ეს იყო ჟარგონი. მკითხველს "ლომკის" მნიშვნელობა როგორ უნდა გააგებინო, "მტვრევას" ხომ არ დაწერ? "კრუნჩხვები დაემართაც" არ ვარგა – ყურით არის მოთრეული. მსგავსი თავსატეხი ყოველ ნაბიჯზე მხვდებოდა. დიდი ბრძოლები გამოვიარე."**

კიდევ ერთი თავსატეხი აღმოჩნდა სათაური, არაჩვეულებრივად ნათარგმნი ქართულ ენაზე. ევროპელებმა რომანის სახელწოდება პირდაპირ გადაიტანეს. რუსულად "О 83;5" ჰქვია, რაც მის ორაზროვნებას საერთოდ ვერ ასახავს. თავდაპირველად სამუშაო ვარიანტს "კაიფობანა" დაარქვა. "ჩხერკე-



თელაობა" გაცილებით გვიან, თარგმნის პროცესში მოვიდა.

**"ერთი ცუდი ჩვევა მაქვს, სათარგმნ ტექსტს წინასწარ არასოდეს ვკითხულობ – მუშაობისას ვეცნობი. თეორიულად არასწორია, მაგრამ სხვაგვარად არ შემიძლია – ინტერესს ვკარგავ. ამ შემთხვევაშიც ასე მოხდა. შესაბამისად, არც ის ვიცოდი, რომ ტექსტის შუაგულში პერსონაჟი ამ სიტყვის მნიშვნელობას გახსნიდა: "რას აკეთებთ, ბავშვებო? აქ, ძველ სადგურზე მატარებლების სათვალთვალოდ მოხვედით თუ ყოფილ საწყობში საჩხერკეთელაოდ?" - ეს ფრაზა წავიკითხე და გონებაც გამინათდა".**

Trainspotting ("დისპეტჩერობანა") – სადგურში ჯდომა და შემომსვლელ-გამსვლელი მატარებლების ლოკომოტივის ნომრებისა და სახელების ჩაწერა ბრიტანულ სამყაროში გავრცელებული გასართობია. უცნაური გატაცების აღსანიშნავადაც იყენებენ. თანამედროვე ინგლისურ სლენგში ჰეროინზე "ჯდომის" მნიშვნელობაც შეიძინა, განსაკუთრებით, რომანის გამოსვლის შემდეგ.

"თავად წიგნის ავტორი, ირვინ უელში, როცა სათაურის შესახებ ეკითხებიან, ასე პასუხობს: იმას, ვინც ჰეროინზე არ "მჯდარა," ისევე არ ესმის მომხმარებლისა, როგორც უმეტესობას არ ესმის, რატომ უნდა გაგიტაცოს მატარებლებზე დაკვირვების უაზრო ჰობიმ, ამ ჩხირკედელაობამ. ქართულად რომანს "ჩხერკეთელაობა" ვუწოდეთ – შევეცადეთ, ამ სიტყვით ორივე მნიშვნელობა გადმოგვეცა – ჩხირკედელაობა, ანუ ცუდუბრალოდ საქმიანობა და "ჩხერა," ნარკოტიკის კეთება" - წერს შესავალში მთარგმნელი.

ამ რომანს უფრო ახალგაზრდები ეტანებიან, ფილმი იციან და იმიტომ. თუმცა მისი წაკითხვა არც მოზრდილთათვისაა ინტერესმოკლებული, თუნდაც იმ საშინელი მონსტრის რეალური სახის ალსაქმელად, ნარკომანია რომ ჰქვია. მართალია, რომანი მძიმეა და დამთრგუნველი, მაგრამ შიგადაშიგ პატარ-პატარა გამონათებიც ახლავს იუმორისტული ეპიზოდების სახით, რაც ამ სიმძიმეს გარკვეულწილად ანეიტრალებს და ჩხერკეთელაობის კომმარს ტექსტით თამაშის, ერთგვარი ჩხირკედელაობის ილუზიად აქცევს.

## თარგმანისა და მთარგმნელების შესახებ

მთარგმნელობა რომ თანდაყოლილი ნიჭია, იცოდა, მაგრამ საბოლოოდ რამდენიმე წლის წინ დარწმუნდა, როდესაც ნაბოკოვის "ლოლიტას" თარგმნა დაიწყო. სწორედ მაშინ აღმოაჩინა, რომ კარგი მწერლობა კარგ მთარგმნელობას არ ნიშნავს. მთარგმნელად უნდა დაიბადო. როგორც ჩანს, ნაბოკოვს ეს ნიჭი არ ჰქონდა, ამიტომაც "გაუფუჭდა" რუსული თარგმანი. მარცხი იმანაც განაპირობა, რომ ავტორმა ნაწარმოები თავიდანვე ინგლისურად დაინახა და მისი სხვა, თუნდაც მშობლიურ ენაზე გადატანა ველარ შეძლო.

**"ენა ძალიან ცვლის აღქმას. აღარ ვლაპარაკობ იმაზე, რომ უამრავ რამეს ასახავს, მათ შორის, ერის ფსიქოლოგიას. ენას სქესიც გააჩნია. ფრანგული, მაგალითად, მდედრობითი საწყისის მატარებელია, ინგლისური – მკვეთრად გამოხატული მამრობითის. ნებისმიერ ენას თავისი ხმა
აქვს. შეუძლებელია, ერთი და იგივე ნაწარმოებ
ერთნაირად აღიქვა სხვადასხვა ენაზე. მეტსაც
გეტყვით, შექსპირს, მაგალითად, ქართული ძალი
ან უხდება, იმიტომ, რომ ფილოსოფიური ტექსტია,
თუმცა ორიგინალი ასეთი სიღრმით ვერ დაიკვეხ
ნის. იგივე შემიძლია ვთქვა "ბიბლიის" ქართულ
ვერსიაზეც – არაჩვეულებრივად ჟღერს, მაშინ რო
ცა ძალზე ყოფითია მისი ძველი ინგლისური ვარი
ანტიც კი. სხვა საქმეა, რა მიდგომას ამჯობინებ
მუშაობის პროცესში, მაგრამ ფაქტია, რომ ენას
მთარგმნელისგან დამოუკიდებელი თვისებები აქვს
ამ თვისებების დანახვასა და თარგმანისთვის სწო
რად მორგებაშია მთარგმნელის ტალანტი."**

ნიჭთან ერთად მთარგმნელობა შინაგანი მდგო
მარეობაცაა – ცოდნასთან ერთად ალღოსაც მო
ითხოვს, რომელიც ტექსტს გააცოცხლებს და ერთ
ენიდან მეორეზე გადატანილ სიტყვათა გროვად არ
აქცევს. ისტორიული გამოცდილებიდან გამომდი
ნარე, ქართულმა აღმოსავლური ენები უფრო მო
ირგინა. დასავლურ ენებზე ხარისხიანად თარგმნის
პრაქტიკა ნაკლებად გვქონდა. მე-19 საუკუნის და
სასრულსა და მე-20-ს დასაწყისში გადმოქართუ
ლებული ტექსტები იმდენად საზარელია, თარგმან
საც ვერ დაარქმევ. ყინული გასული საუკუნის 60
იანებში დაიძრა. 1974 წელს დაარსებულმა "მთარ
გმნელთა კოლეგიამ" სერიოზული ნაბიჯები გადად
გა: ითარგმნებოდა მსოფლიო ლიტერატურის საუ
კეთესო ნიმუშები, რომელთაც იმდროინდელი ცე
ზურა არ კრძალავდა. 90-იანებში გამწვავებული სო
ციალ-პოლიტიკური ვითარება ამ სფეროზეც მძი
მედ აისახა: 1991 წელს კოლეგია გაუქმდა და პრო
ცესებიც შეჩერდა, თუმცა 2000-იანებიდან ხელახა
ლი აღმავლობის პერიოდი დაიწყო. ბოლო ათწლე
ულში განსაკუთრებული გამოცოცხლება იგრძნო
ბა: ბევრი პროფესიონალი გამოჩნდა და ნამუშევ
რის ხარისხიც საგრძნობლადაა გაუმჯობესებულ
დაოსტატდა თარგმანი. შედეგად, ადამიანებმა ქარ
თულად კითხვა დაიწყეს, რაც გასული საუკუნის
80-90-იანებში ცუდ ტონადაც კი ითვლებოდა –
უცხოურ ლიტერატურას ძირითადად რუსულად ეც
ნობოდნენ.

**"თარგმანების მომრავლება ენის დახვეწას და
გამრავალფეროვნებასაც უწყობს ხელს, რაც აუცი
ლებელია მისი განვითარებისთვის. ამ პროცესს
გამომცემლობებიც მხარში უდგანან, თუმცა ყვე
ლაფერი ასე იდეალურადაც არ არის: ბევრი ცუდი
თარგმანიც იბეჭდება. ზოგი ისეთია, გეგონება რე
დაქტორს არცკი წაუკითხავს. ძირითადად წვრი
ლი გამომცემლობები სცოდავენ. თარგმნის ყვე
ლა, ვისაც შეუძლია და არ შეუძლია. ეს საქმიანო
ბა მოდური გახდა. ერთი მხრივ, კარგია, რადგან
ასპარეზზე არაერთი საინტერესო მთარგმნელი გა
მოჩნდა, თუმცა ბევრი უარყოფითიც ამოაქვს ზე
დაპირზე. ჩემ ახალგაზრდობაში მსგავსი რამ წარ
მოუდგენელი იყო – ძალიან ცუდ თარგმანს არ ბეჭ
დავდნენ, დღეს კი დაბრკოლება არ არსებობს. სამ
წუხაროდ, ამით ავტორიც ზარალდება და მკითხვე
ლიც: ცუდი თარგმანი მწერალსაც კლავს და
მკითხველის გემოვნებასაც ანადგურებს. ამიტომ
არის ამ საქმის ხელშეწყობა და სწორად წარმარ
თვა მნიშვნელოვანი".**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჩარლზ სიმიკი

# პოეტის ფანქარი

*ინგლისურიდან თარგმნა თამარ ლომიძემ*



ერთი ჩემი ნაცნობი პოეტი ლექსებს მხოლოდ ფანქრის ნატეხით წერს. ოჯახის წევრები და მეგობრები მას კალმისტრებს, საბეჭდ მანქანებსა და ნოუთბუქებს ჩუქნიან, მაგრამ პოეტი, ფანქრის გარდა, სხვას არაფერს ჰკიდებს ხელს. „მისთვის ამ ნივთების ყიდვა ისევე უაზროა, როგორც ძაღლისთვის სამობაოდ მაჯის საათის ჩუქება", განაცხადა ერთხელ პოეტის ცოლმა. შთაგონების მოზღვავებას პოეტი მხოლოდ მაშინ გრძნობს, როდესაც ფანქარს იღებს ხელში. მეგობრებს აინტერესებთ, რატომ ამჯობინებს ის ფანქრით წერას. პოეტის თქმით, ლექსების თხზვისას მას ეხმარება ფანქრის ღრღნა (ბოლომდე ღრღნის ხოლმე), რასაც ვერ მოიმოქმედებს კალმისტრისა და ნოუთბუქის გამოყენებისას. გარდა ამისა, ლექსების წერისთვის იყენებს ძველ ქვითრებს, კონვერტებს და განცხადებებს, რომელთაც აკრავენ ნიუ-იორკის ქუჩებში სწრაფი კრედიტების, მასაჟის სალონების, მკითხავებისა და აუქციონების რეკლამირებისათვის, თუმცა, არც ამა თუ იმ რესტორნის მენიუს ან საბანკო ქვითრებს თაკილობს.

* * *

კიდევ ერთი რამ უნდა გაგიმხილოთ! პოეტს სიამოვნებს ლექსების წერა სამზარეულოში, როდესაც მისი ცოლი სადილს ამზადებს. ფრანგულ რივიერაზე ან შვეიცარიის ალპებში არ დასახლდებოდა - ბუნების მშვენიერება მხოლოდ მთქნარებას გვრის. მაგრამ იმავ წამს, როგორც კი სამზარეულოში მისი ცოლი ნივრის ან ოხრახუშის დაჭრას იწყებს, პოეტს მყისვე ეწვევა ხოლმე მუზა, რომლისთვისაც განსაკუთრებით მიმზიდველია მსუყე წვნიანი კერძები, ღორი და შემწვარი ძეხვი. ლირიკული ლექსის წერას კულინარიასთან ბევრი რამ აქვს საერთო - ისიც საჭიროებს ფაქიზ ყნოსვასა და საკმაზების ოსტატურ გამოყენებას. როდესაც ჰაერში დატრიალებული არომატი პოეტს ნერწყვს ჰგვრის და თვალებს უცრემლიანებს, მას მყისვე გამოაქვს სამზარეულოს კარადიდან ფანქარი და ქაღალდი, რომლებსაც თაროზე ინახავს კბილის საჩიჩქნ ჩხირებთან ერთად. შემდეგ ჯდება, წერას იწყებს და თან ერთ ან ორ ჭიქა ღვინოს წრუპავს. ეს საკმარისია. მთელ ბოთლს არასოდეს ცლის - წინააღმდეგ შემთხვევაში სენტიმენტალური განწყობილება ეუფლება და ლექსების წერის ნაცვლად სიმღერას იწყებს. განსაკუთრებით უყვარს იტალიური საოპერო არიები.

* * *

ფანქრის ნატეხით დაწერილი ტექსტები, როგორც წესი, ძნელად იკითხება. ამიტომ პოეტი არასოდეს განიცდის უხერხულობის გრძნობას დაწერილის გამო. გარკვეული ხნის შემდეგ ის ყურადღებით აკვირდება ხოლმე ნაწერს და ბუტბუტებს, ნეტავ (ჯანდაბა!), რა დავწერეო. თუ ტექსტის წაკითხვას ვერ ახერხებს, საშველად ცოლს უხმობს,

ცოლი კი განუწყვეტლივ აოცებს იმით, რომ იგონებს ისეთ სტრიქონებს, რომლებიც გაცილებით უკეთესია, ვიდრე - პოეტის მიერ ნავარაუდევი ტექსტი. მაგრამ განა პოეზიას რეალურისა და წარმოსახულის ქორწინება არ უდევს საფუძვლად? წლების შემდგომ პოეტი ველარ განასხვავებს, რომელი სტრიქონები შეთხზა თვითონ, რომელი - ცოლმა და რომელი - იმ ღვთაებრივმა კერძებმა, რომლებიც ქურაზე თუხთუხებდნენ და, სიმართლე რომ ითქვას, ისეთივე ავტორები იყვნენ ამ ლექსებისა, როგორც - თავად პოეტი. ისინი ერთად მუშაობდნენ (ისევე, როგორც - შერეკილი მეცნიერები საშინელებათა ფილმებში, რომლებიც სინჯარებთან ფუსფუსებენ ხოლმე), თან უყვიროდნენ ძაღლს, სახელად იგორს, ნუ ყეფო. ამასობაში კი საფოსტო ყუთში გროვდებოდა ბარათები, რომლებშიც პოეტური ჟურნალების რედაქტორები მათი ლექსების გამოქვეყნებაზე უარს უთვლიდნენ.

* * *

ნეტავ, ვინაა ეს იდიოტიო, ალბათ, იფიქრებთ თქვენ. რა თქმა უნდა, ეს მე ვარ. „როგორ წერთ?" - ეკითხებიან ხოლმე მწერლებსა და მხატვრებს. საინტერესოა, ეკითხებიან თუ არა კაცს, რომელმაც მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული დაიმსახურა ლორმუცელობაში, როგორ ვარჯიშობს ის? ალბათ, ეკითხებიან. ხოლო თუ ვინმემ სახელი გაითქვა კარაქისგან გამოძერწილი შედევრებით, ჟურნალისტები ჰკითხავენ, თვითონ აღლვიბა თუ არა კარაქი, რომლისგანაც გამოაქანდაკა თავისი *მტირალი მადონა*, ან იქნებ კარაქი ადგილობრივ სუპერმარკეტში იყიდა? თუკი მოქანდაკე იტყვის, საკუთარი კარაქი გამოვიყენეო, ჟურნალისტები მოინდომებენ იმ ძროხის ნახვას, რომლის რძისგანაც აღლვიბა მოქანდაკემ კარაქი და ფოტოსურათსაც გადაუღებენ სკულპტურის გვერდით.

* * *

პოეტებმა, როგორც წესი, არ იციან, საიდან ენვევათ ხოლმე შთაგონება და არც ის ახსოვთ, ზუსტად როგორ დაწერეს ესა თუ ის ლექსი. ამიტომ იძულებულნი არიან, გამოიგონონ თავიანთი ბიოგრაფიისა თუ გამოყენებული ლიტერატურული ხერხების სხვადასხვაგვარი განმარტებები და რაღაცას
ბურტყუნებენ თავიანთი მკითხველებისთვის დამშვიდ
მაგრამ ყოველთვის ასე როდი იქცევიან. არავის და
უსვამს თომას სტერნზ ელიოტისა ან რობერტ ფროს
ტისთვის ამგვარი შეკითხვები. მახსოვს, როგორ ვი
ხილე ახალგაზრდობისას ერთი ცნობილი პოეტი,
რომელსაც სტუდენტები გარს შემორტყმოდნენ და
მონიწებით აკვირდებოდნენ, ის კი ამასობაში ხმის
ამოუღებლად და გულმოდგინედ ისუფთავებდა
ფრჩხილებს.

* * *

ერთხელ, როდესაც ძალზე ხანდაზმულ დედა
ჩემს ვეწვიე მოხუცებულთა თავშესაფარში, მან
მკითხა, ლექსებს კიდევ წერ თუ არაო. როდესაც
ვაღიარე, რომ ვწერდი, გაოგნებით მომაჩერდა. იძუ
ლებული გავხდი, ჩემი ნათქვამი გამემეორებინა,
მან კი ამოიოხრა და თვალები გადაატრიალა. ალ
ბათ, გაიფიქრა, ეს ბიჭი ყოველთვის შერეკილი იყო.
გამახსენდა, რომ ჩემი პატარაობისას ჩვენს მეზობ
ლებს უყვებოდა, ჩემი უხეირო შვილი მალულად
წერს რაღაც-რაღაცებსო. დედაჩემის თქმით, ის
ცდილობდა, თვალი შეევლო იმისთვის, რასაც ვწერ
დი. ოჯახის სხვა წევრებიც ცდილობდნენ. მე კი,
თურმე, ასეთ დროს, ლოგინში ვწვებოდი, თავზე სა
ბანს ვიხურავდი და ჩემს საქმიანობას განვაგრძობ
დი. როდესაც მეკითხებოდნენ, რას წერო, არ ვპა
სუხობდი ან ვყვიროდი, თავი დამანებეთ-მეთქი. ერ
თხელ, როდესაც სკოლაში ვიყავი, დედაჩემს საწო
ლი გაუჩხრეკია და ჩემს ბალიშში ფანქარი უპოვია.
არაფერი მსგავსი არ მახსოვს.

* * *

კომპიუტერებისა და სმარტფონების ეპოქაში,
როდესაც ფანქრები დავიწყებას ეძლევა, უნდა გა
გიხარდეთ, თუკი რომელიმე საჯარო ბიბლიოთეკა
ში ან მაღაზიაში ძირს დავარდნილ ფანქარს იპო
ვით. დარწმუნებული იყავით, რომ მას თავისი ის
ტორია ექნება (ყველა ფანქარს აქვს). თუ კეთილ
სამარიელი ხართ, ფანქარი შინ წაიღეთ და საიმე
დოდ შეინახეთ თქვენს ოთახში. თავისუფალ დროს
აიღეთ ფანქარი, ხელისგულზე დაიდეთ და ყურადღე
ბით მოისმინეთ მისი თავგადასავალი.

© The New York Review of Books
December 3, 201



# აქ შეიძლება ყოფილიყო თქვენი რეკლამა

ტელ: 577 747-719
ელ-ფოსტა: info@arilimag.ge


